

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი
ქართველოლოგიური
სამეცნიერო კონფერენცია**

**KARTVELOLOGICAL SCIENTIFIC CONFERENCE
DEDICATED TO IAKOB GOGEBASHVILI**

თეზისები/ABSTRACTS

თბილისი - 28.10.2021 - Tbilisi

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ეკატერინე ნავროზაშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

ქეთევან ჭკუასელი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

მედეა დლონტი – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

მაკა ლაბარტყავა – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ზაქარია ქიტიაშვილი – თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ეკა ჩიკვაიძე – თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ნანა მრევლიშვილი – თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ეკა კვაჭანტირაძე – თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

როზეტა გუჯეჯიანი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

ინგა სანიკიძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი;

ლევან ბებურიშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;

სოფიო თოთიბაძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, მთარგმნელი.

The Organizing Committee of the Conference:

Ekaterine Navrozashvili – Associate Professor of the Faculty of Humanities, Head of the Department of Scientific Research and Development of the Faculty of Humanities, TSU, Chair of the Organizing Committee;

Ketevan Chkuaseli – Professor of the Faculty of Psychology and Educational Sciences, TSU, Member of the Organizing Committee; Deputy Chair of the Organizing Committee;

Medea Ghlonti – Doctor of Philology, Deputy Director of TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Member of the Organizing Committee;

Maka Labartkava – Researcher at TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Member of the Organizing Committee;

Zakaria Kitiashvili – Associate Professor of the Faculty of Psychology and Educational Sciences, TSU, Member of the Organizing Committee;

Eka Chikvaide – Researcher at TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Member of the Organizing Committee;

Nana Mrevlishvili – Researcher at TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Member of the Organizing Committee;

Eka Kvachantiradze – Senior Researcher at TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Member of the Organizing Committee;

Roseta Gujejiani – Associate Professor of the Faculty of Humanities, TSU, Senior Researcher at TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Member of the Organizing Committee;

Inga Sanikidze – Associate Professor of Faculty of Humanities, TSU,
Secretary of the Organizing Committee;

Levan Beburishvili – Associate Professor of the Faculty of Humanities, TSU,
Member of the Organizing Committee;

Sopio Totibadze – Senior Specialist of the Department of Scientific
Research and Development of the Faculty of Humanities, TSU,
translator.

თეზისებში დაცულია ავტორების სტილი

Authors' style is retained in the theses

პლენარული სხდომის მომხსენებელთა თეზისები
Abstracts of the Plenary Speakers

დიმიტრი ყიფიანი და იმდროინდელი
საანბანე სახელმძღვანელოები
DIMITRI KIPIANI AND ABC TEXTBOOKS
OF THOSE TIMES

გიორგი გოგოლაშვილი
George Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, სახელმძღვანელო, რეცენზია
Keywords: the Georgian language, textbook, review

XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნული სკოლის ფორმირებაში: 50-იან წლებში იგი ხელმძღვანელობდა სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტთან ჩამოყალიბებულ ქართული ენის განყოფილებას. არქივმა შემოგვინახა დ. ყიფიანის რეცენზიები ვართანოვისა და ი. კერესელიძის საანბანე სახელმძღვანელოებზე; რეცენზენტი მკაცრია და დაუნდობელი ამ რეცენზიებში.

სულ სხვაგვარია დ. ყიფიანის დამოკიდებულება იაკობ გოგებაშვილის „დედაენისადმი“ (1876 წ.). იგი აღიარებს „დედაენას“ საუკეთესო სახელმძღვანელოდ, თუმცა გამოთქვამს ძალიან საქმიან შენიშვნებს, რომლებიც ავტორმა შემდეგ გამოცემებში გაითვალისწინა.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი, ი. (1976). დედაენა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ყიფიანი, დ. (2019). თხზულებანი, ტ. IV. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Dimitri Kipiani, a well-known 19th-century public figure, took an active part in the formation of a national school. In the 50s, he was the head of the Georgian Language Department at the Committee for Compiling Textbooks. The archives of the given period have preserved his extremely critical reviews on the ABC textbooks compiled by Vartanov and I. Kereselidze.

By contrast, D. Kipiani's attitude towards Iacob Gogebashvili's Mother Tongue (1876) is quite different; he regards Mother Tongue as the best textbook. Kipiani's valuable suggestions were taken into consideration by the author in the second edition of the book.

References:

Gogebashvili, I. (1876). Dedaena. tbilisi: gamomtsemloba "ganatleba" [Mother Tongue. Tbilisi: Ganatleba Publishing House].

Kipiani, D. (2019). Tkhzulebani, t'. IV. Tbilisi: sakartvelos p'arlament'is erovnuli bibliotek'a [Works, vol. IV. Tbilisi: National Library of the Parliament of Georgia].

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები
IAKOB GOGEBASHVILI'S CHILDREN'S STORIES

ლადო მინაშვილი
Lado Minashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ქართული
რეალიზმი, საბავშვო ლიტერატურა, იაკობ გოგებაშვილი
Keywords: Georgian literature, Georgian realism, children's fiction;
Iakob Gogebashvili

ბავშვებისათვის გამიზნული ნაწარმოებები ჩვენში ადრეც იწერებოდა, მაგრამ ქართულ მწერლობაში ეს უბანი მეცნიერულ საფუძვლებს იაკობ გოგებაშვილმა დააყრდნო. ი. გოგებაშვილის ტალანტმა არა მარტო პრაქტიკულ და თეორიულ პედაგოგიკურ მოღვაწეობაში იჩინა თავი, არამედ სრულიად დაუძაბავად შეძლო გამოხატულება მხატვრული სიტყვის სფეროში, კერძოდ, საბავშვო მწერლობაში.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების თემატიკა განსაზღვრულია პედაგოგიკური ამოცანებით და მკაფიოდ დიდაქტიკური შინაარსისაა, შეიცავს მეცნიერულად გამართულ ცოდნას და ატარებს შემეცნებით-ესთეტიკურ ხასიათს. როგორც დიდი მოღვაწის, პედაგოგის საქმიანობა, ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედებაც ეფუძნება მის ეროვნულ კონცეფციას.

ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით, მოზარდის ინტერესის გაცხოველება ისეთ მასალას შეუძლია, რომელიც შინაარსეულად ახლოს არის მის გამოცდილებასთან; ერთი სიტყვით, თუ გვინდა, რომ ყმაწვილს გონების გახსნაში დავეხმაროთ, მას უსათუოდ სწავლება იმ გარემოს შესწავლით უნდა დავაწყებინოთ, რომელიც მოზარდთან უფრო ახლოსაა, ამდენად მისთვის საინტერესოა ნაცნობი ბუნება, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები...

გოგებაშვილის მოთხრობები, შემეცნებით ფუნქციასთან ერთად, მკაფიოდ გამოხატული ეთიკური მიზანდასახულობის შემცველია. ბავშვებისათვის გამიზნული მოთხრობები მოწოდებულია, გამოიწვიოს მკითხველში სიბრაულის, თანაგრძნობის, სიყვარულის, სიკეთის ქმნის ზნეობრივი შინაარსის გრძნობები; არ იქურდო, ქადაგებს ერთი მოთხრობა („სანდრო და ვაშლი“), საკუთარი ოფლით მოიპოვე პური შენი არსობისა, მხოლოდ ისაა გემრიელი, ის შეგერგება, – ღალადებს მოთხრობა „პატიოსანი და უპატიოსნესი“. ნუ მოეპყრობი ავად შენზე უმწეოს, ნუ აწვალე, დააცხრე შენი სიბრაზე, გამოუსწორებელი ქმედება რომ არ ჩაიდინო. იაკობ გოგებაშვილის ეთიკურ-შემეცნებით ინტერესებში ის დამოძღვრაც შემოდის, რომ დაგანახვოს, შენი სულწასულობით, მოუთმენლობით რა ზიანი შეგიძლია მოუტანოჯერ შენს თავს და მერე სხვებსაც („მოუთმენლობის

მსხვერპლი“). „ორკეცი ფასი სწავლისა“ – ეს მოთხრობა პატარებს არიგებს, რომ ყბედობა, უაზრო ლაპარაკი საზიანოა. მოთხრობა „სიკეთე ბოროტისათვის“ მოზარდს აფრთხილებს, რომ არავის უნდა დახედო ზემოდან, არ უნდა დასცინო ნაკლის გამო, რომ კარგია სულგრძელობა, ის არ უნდა გაუკეთო სხვას, რაც შენ გულს გატკენს, დაგამცირებს. სუსტი არ უნდა დაჩაგრო („სპილო და ქიანჭველა“). მოთხრობა „თავის განირვა მტრისათვის“ მოზარდს ასწავლის, რომ გიყვარდეს არა მხოლოდ მოყვასი შენი, არამედ მტერიც შენი, მის მიმართ იყავი სულგრძელი, თუ გინდა, სიკეთით მოგიბრუნდეს ყველაფერი. ასეთია ის ზნეობრივი ნორმები, რასაც მოუბეზრებლად და მოუქანცავად ქადაგებს ჩვენი მწერალი თავის მოთხრობებში.

ხშირად, ძალიან ხშირად, მწერალი ზნეობის გაკვეთილებს ყმანვილებს ცხოველთა და ფრინველთა მაგალითებით აძლევს. ბავშვებისათვის ასეთი მაგალითები ძალზედ ეფექტურია, რამდენადაც ცხოველთა და ფრინველთა ქცევები საკუთრივ ბავშვების ბუნებასთან უფრო მიახლოებულია.

ი. გოგებაშვილის მოთხრობების ერთი ნაწილი იგავების ხასიათს ატარებს. ეს იგავური თხრობანი მოზარდებს თანდათან იმასაც აჩვენებს, რომ მხატვრული აზრის გადატანა მოახერხონ ერთი რიგის მოვლენებიდან სხვა რიგის მოვლენებზე; თანდათან აჩვენებენ მხატვრულ განზოგადებას და ხელოვნების ნიმუშთა მიერ ნამდვილი ესთეტიკური ტკბობის სიბრტყეზე აყენებენ.

თუ, მაგალითად, ვაჟ-ფშაველას ბრწყინვალე მოთხრობებში ფანტაზიის საზღვარდაუდებელი თამაში იტაცებს მკითხველს, თუ ვაჟასთან ფრინველები და ცხოველები იუბილეს, „ქორწილს იხდიან, ადამიანებისდაგვარად მოიღებენ, ადამიანებივით რევერანსებს უკეთებენ ერთმანეთს, სადღეგრძელოებს, შემოსასწრებს სვამენ და სიმღერას მღერიან“ (გრ. კიკნაძე), იაკობის მოთხრობებში მწერლის მიზანსწრაფვა, მისი თხრობა, წარმოსახვა მწერლისა სავსებით შეესატყვისება ბავშვების წარმოსახვის უნარს, მათ ფანტაზიას. იაკობ გოგებაშვილი, მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, მის საფუძველზე ისე აშინაარსებს ცხოველთა და ფრინველთა ინსტინქტებს, მათ ბუნებრივ უნარებსა და შესაძლებლობებს, მათ ქცევებსა და მოქ-

მედეებს, როგორც ბავშვები ბუნებრივად წარმოიდგენენ ამას, როგორც ისინი ასულდგმულებენ არა მარტო ცოცხალ ბუნებას, როგორც ისინი უცქერიან, არა მარტო ცხოველებსა და ფრინველებს მათთან დაახლოებულად, დანათესავებულად, მათ ტოლებად, არამედ როგორც ისინი ასულდგმულებენ თავიანთ სათამაშოებს; შესაძლოა, მოზარდისთვის უცნაურად გამოიყურებოდეს გახარული თუ დაღონებული ფრინველები, სამშობლოზე დარდით შენუხებულები, მეხსიერებით და მგრძნობიარობით აღჭურვილები, მაგრამ ბავშვებისათვის ეს ყველაფერი სავსებით ბუნებრივია.

მწერლის მიერ განსახიერებული ცხოველთა და ფრინველთა მოქმედებები და ქცევები შესაძლებლობის ფარგლებში დაახლოებულია ადამიანურ ქცევებსა და მოქმედებებთან და არც მათი ბუნებრივი თვისებებია შეცვლილი, რაც დიდ დამაჯერებლობასაც აპირობებს მის მიერ გადმოცემულისას და, ამასთანავე, მოზარდების ინტერესების მოპასუხედაც გამოდის.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი, ი. (1955). თხზულებანი, ტ. IV. თბილისი: „საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო“.

ევგენიძე ი., მინაშვილი ლ. (2013). ქართული ლიტერატურა (XIX საუკუნე). თბილისი: „საქართველოს მაცნე“.

Children's literature in Georgian literature was based on scientific foundations by Iakob Gogebashvili. Iakob Gogebashvili's talent not only manifested itself in practical and theoretical pedagogical activity but also was able to express itself in the field of literature, in particular, in children's writing.

The themes of Iakob Gogebashvili's artistic work are defined by pedagogical tasks and have didactic content, contain scientific knowledge and have a cognitive and aesthetic value. Iakob Gogebashvili's work is based on his national concept.

According to Iakob Gogebashvili, a teenager can be interested in material that is substantially close to his experience. We should start teaching the young adult the environment that is closest to him. He is interested in familiar nature, plants, animals, birds...

Gogebashvili's stories, along with their cognitive function, have a distinct, ethical purpose. The purpose of stories intended for children is to evoke a sense of compassion, love, kindness; Do not steal - preaches one story ("Sandro and the Apple"), do not treat the helpless badly, do not mistreat others, calm your anger, do not commit irreparable action. Iakob Gogebashvili's ethical-cognitive interests also include what your impatience can do to you and then to others ("Victim of Impatience"). The story "Sacrifice for the Enemy" teaches a teenager to love not only his neighbour but also the enemy, to be kind towards him. Such are the moral norms that the writer preaches in his stories.

Often the writer gives moral lessons to boys with the help of the animals and birds. For children, such examples are very effective, as the behaviours of animals and birds are closer to the nature of children.

Some of Iakob Gogebashvili's stories are fables. This parable also gradually acquaints adults with the ability to transfer artistic thought from one series of events to another; gradually they show an artistic generalization.

The world of nature, animals, birds are not only found in the Gogebashvili's prose, but also with the master of the embodiment of this world, the genius Vazha-Pshavela. If in Vazha's brilliant stories the boundless play of fantasy captivates the reader, if with Vazha birds and animals celebrate the jubilee, "they celebrate the wedding, they eat like people, they drink toasts like people and sing a song", Iakob Gogebashvili, based on scientific knowledge, shows the instincts of animals and birds, their natural skills and abilities, their behaviours and actions, as children naturally imagine it.

The actions and behaviours of animals and birds embodied by the writer are as close as possible to human behaviours and actions, nor have their natural properties been altered, which leads to great persuasiveness and at the same time, responds to the interests of adults.

Iakob Gogebashvili, while writing short stories and compiling reading books for boys, was guided by the idea that he should give as much attractive force as possible to the narrative material, so that, on the one hand, it would be interesting and, on the other hand, enrich a child's mind.

References:

- Gogebashvili, I.** (1955). tkhzulebani, t'. IV. tbilisi: „sakartvelos ssr ganatlebis samminist'ro“. [Works, Vol. IV. Tbilisi: Ministry of Education of the Georgian SSR].
- Evgenidze, I., Minashvili, L.** (2013). kartuli lit'erat'ura (XIX sauk'une). tbilisi: „sakartvelos matsne“. [Georgian Literature (19th century). Tbilisi: “Sakartvelos Matsne”].

იაკობ გოგებაშვილის „თბილისი და სიონის
ტაძარი“ და ლიტერატურული გადაქახილი
ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში

IAKOB GOGEBASHVILI'S "TBILISI AND SIONI TEMPLE"
AND LITERARY ECHOES IN GEORGIAN EMIGRANT
POETRY

რუსუდან ნიშნიანიძე

Rusudan Nishnianidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ი.გოგებაშვილი, ვაზის ჯვარი, ქართული
ისტორიული ემიგრაცია, გრ. რობაქიძე, ს. ბერეჟიანი,
გ. ყიფიანი

Keywords: I.Gogebashvili, Cross of the Vine, Georgian Historical
Emigration, Gr. Robakidze, S. Berezhiani, G. Kipiani

ყოველი ადამიანის ინდივიდუალური ნებაა, თავისი გადასახედოდან დაინახოს მოვლენები თუ ქალაქის სანახები.

თბილისი - რომელსაც ჩაფიქრებული პოეტი ხედავს;

თბილისი - რომელსაც აღტაცებული პოეტი იხსენებს და ხატავს;

თბილისი - რომლის გადარჩენის შესაძლებელ გზებს ეძებენ;

თბილისი - სადაც გადამხდარი ბრძოლებისა თუ შეტაკებების აღწერას

თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიან.

თბილისი - სატახტო ქალაქი... დედაქალაქი... დამარცხებული ქალაქი...

მხოლოდ „შენი“ ქალაქი.

საზოგადოება არაერთი თვალსაზრისის არსებობას უშვებს. მისთვის იგი მხოლოდ კონკრეტული ქალაქის სახელი არაა; ის ერთი მთლიანობაა, ერთი ძალაუფლებისა თუ ნების გამომხატველი. დაეცემა ის და შეიცვლება ფასეულობაც. სიმბოლურად იგი ამ ადამიანთა ერთობლიობას არა მხოლოდ ომში გამოხატავს, არამედ იმ ლექსებში, სადაც, ლეგენდიდან მოყოლებული, ერთი ხაზი არ იხრება, არამედ თითქმის (!) ერთნაირად გადალახავს ყველა ასწლელს: გმირებით, მტრებით, იმ ცოდნით, რომელიც არა მხოლოდ ტფილისის მცხოვრებთ აქვთ, არამედ, ზოგადად, საქართველოსი.

ქართულ ცნობიერებაში ისევ არსებობს ვახტანგ მეექვსის თბილისი, ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების თბილისი, გალაკტიონის, ან კიდევ, გრიშაშვილის თბილისი, ცისფერყანწელთა თუ ფუტურისტების, მოგვიანებით, ლადო ასათიანის თბილისი, ახლა ემიგრანტების მიერ მონატრებული თბილისი.

მართალია, ამ მასშტაბში არაა გათვალისწინებული, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ერთი წერილი მინდა წარმოვადგინო. უფრო ზუსტად, ესაა ერთი თავი წერილების სერიიდან: „კერძოობითი განხილვა. აღმოსავლეთი საქართველო... ქართლი. 4. თბილისი და სიონის ტაძარი“. როგორც აღვნიშნე, ზემოჩამოთვლილ თვალსაწიერს არ მოიცავს. მისი საერთო სათაურია: „ეთნოგრაფიული ნაწარმოებები. საქართველო და მისი ნაწილები“.

იაკობ გოგებაშვილი - უდიდესი პედაგოგი, მწერალი - პატარებისთვის თუ მოზრდილთათვის განკუთვნილი მოთხრობების, ისტორიული პროზაული ტექსტების, ეთნოგრაფიული ნარკვევების

დაკვირვებული ავტორი. მან კარგად იცის, რაზე გაამახვილოს მკითხველის ყურადღება, რომელ დეტალზე დააკვირვოს.

იაკობ გოგებაშვილის „თბილისი და სიონის ტაძარი“. ეს ქალაქია ქართლში მნიშვნელოვანი და ეს ტაძარია ამ ქალაქში გამორჩეული. თბილისი მისთვის „მთელი კავკასიის დედაქალაქია“; საუბრობს ხანგრძლივი არსებობის წლებზე: ვახტანგ გორგასლის დროიდან მის თანამედროვე ეპოქამდე. როგორც მიუთითებს, იმჟამად 250 ათასი მცხოვრები ყოფილა, მათ შორის, 70 ათასი ქართველი. სპარსელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები და სხვები, – ამ თანამიმდევრობით ჩამოთვლის შემოსეულ მტრებს. მხოლოდ ჩამოთვლის და მეტს არაფერს ამბობს. სხვადასხვა დამპყრობლის დასახელება უკვე ლაპარაკობს თავის თავზეც და, იმავდროულად, შემოსეული თავდამსხმელის რაოდენობასაც გულისხმობს. ქრისტიანობა და სამშობლო განუყოფელი ცნებები იყო ამ ქალაქის ძირითადი მოსახლეობისათვის, თუმცა არც სხვა აღმსარებლობის ადამიანებიც არ ზოგავდნენ სიცოცხლეს. მწერალი დეტალურად მიმოიხილავს ქალაქის ადგილმდებარეობას, რომელიც, მისი მოსაზრებით, „სრულიად არ უვარგა“; საუბრობს კლიმატზე, სასწავლებლებზე, ასახელებს არაერთ ეკლესიასაც, მთანმინდა არ გამორჩება. და აქ ორ „დიდებულ მამულიშვილს“ – დიმიტრი ყიფიანსა და ილია ქავჭავაძეს დაასახელებს, ასევე, ალექსანდრე ქავჭავაძის სიძეს – გრიბოედოვს, მაგრამ მხოლოდ სიონის ტაძრის მნიშვნელობაზე შეჩერდება. კონკრეტული ადგილმდებარეობა, სამშენებლო მასალა, ეზო და მისი შემოგარენი საოცარი სიზუსტითაა აღწერილი. ეს ეთნოგრაფიული აღწერილობა არაერთი თვალსაზრისითაა სამომავლოდ მნიშვნელოვანი და ეს კარგად იცის იაკობ გოგებაშვილმა. თავსდატეხილი განსაცდელი (გუმბათის დანგრევა), იქ დაცული არაერთი ძვირფასი საღმრთო საგანი, მაგრამ ყველაზე მთავარი – ჭვარი ვაზისა. დეტალური აღწერა, ზომების დადგენა, მისი ისტორია... კითხულობ ამ მცირეფორმიან ნარკვევს და დიდი ისტორია იშლება.

რწმენა და ეროვნული ნიშანი – ეს იყო მთავარი ქართული ისტორიული ემიგრაციისათვის. წმინდა ნინო, ვაზის ჭვარი – ამჯერად მხოლოდ მასზე ვისაუბრებ. ემიგრანტებმა ქვეყანა (ფიზიკურად) დაკარგეს, მაგრამ არ დაუკარგავთ რწმენა და გენეტიკური, კულტურული მემკვიდრეობის მძაფრი განცდა. პარიზის ქართული

მართლმადიდებლური ეკლესია წმ. ნინოს სახელობისა იქნება. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 30-იან წლებში გამოსცემს ჟურნალს, რომელსაც „ჯვარი ვაზისას“ დაარქმევს. ემიგრანტების მიერ დაწერილ ტექსტებში ანგარიშგასაწევია, როგორაა კომპოზიცია აგებული, რას ენიჭება პრიორიტეტი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში: გეოგრაფიული მინიშნება, პატარა ქვეყნის „რჩეულობის“ ხაზგასმა ან ევროპელთათვის გასაგები კონტექსტის მოძებნა. სტატიაში ვი-საუბრებთ გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ ტექსტებსა და წერილებზე, სიმონ ბერეჟიანისა და გიორგი ყიფიანის ბერლინსა და საფრანგეთში გამოქვეყნებულ პოეტურ ნიმუშებზე. ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ემიგრანტული, არამედ ეროვნული მწერლობის კვლევის თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა:

ბერეჟიანი, ს. (1943). ნაწერები. ბერლინი.

გოგებაშვილი, ი. (1982). საგანძური. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

რობაქიძე, გრ. (1984). კრებული. მიუნხენი: კარლო ინასარიძის გამომცემა.

ყიფიანი, გ. (1965). ლექსები 1930-1965. პარიზი.

It is an individual will of each person to see the events or the sights of the city from his perspective.

Tbilisi – which the conceived poet sees;

Tbilisi – which is remembered and painted by an admired poet;

Tbilisi – looking for possible ways of survival

Tbilisi – where the description of fought battles or clashes is considered as a civic duty.

Tbilisi – the capital city... the capital... the defeated city... Only “your” city.

Society admits the existence of a number of points of view. For him it is not just the name of a particular city; it is one whole, one expressing power or will. It will fall and the value will change as well. Symbolically, he expresses the unity of these people not only in war, but also in those poems where not a single line from the legend is bent, but almost (!) It

overcomes all the centuries in the same way: with heroes, enemies, with the knowledge that not only the people of Tbilisi, but Georgia in general have.

In the Georgian consciousness, there is still Tbilisi of Vakhtang VI, Tbilisi of the Chavchavadzes and Orbelians, Tbilisi of Galaktioni or even Tbilisi of Grishashvili, Tbilisi of the Blues or Futurists, later Tbilisi of Lado Asatiani, and now Tbilisi missed by the emigrants.

Indeed, it is not considered on this scale, but I would like to present one letter from Iakob Gogebashvili. More precisely, this is one chapter from a series of letters: “Private discussion. Eastern Georgia... Kartli”. “Tbilisi and Sioni Cathedral”, as I mentioned, does not include the above-mentioned perspective, its general title is: “Ethnographic works. Georgia and its parts”.

Iakob Gogebashvili – the greatest teacher, writer of stories for children or adults, observed author of historical prose texts, ethnographic essays. He knows well what to focus the reader’s attention on and what detail to observe.

Iakob Gogebashvili’s “Tbilisi and Sioni Temple”. This city is important in Kartli and this temple is unique in this city. For him, Tbilisi is “the capital of the whole Caucasus”; talks about the years of long existence: from the time of Vakhtang Gorgasali to his modern era. As it indicates, there were 250 thousand inhabitants at that time, including 70 thousand Georgians. The Persians, Arabs, Mongols, Ottomans, and others, list the incoming enemies in this order. Just list and say nothing more. The names of the various invaders already speak for themselves and at the same time imply the number of invaders invaded. Christianity and homeland were inseparable concepts for the main population of this city. However, people of other faiths did not spare their lives either. The writer gives a detailed overview of the location of the city, which in his opinion is “completely unsuitable”; he talks about the climate, schools, names a number of churches; Mtatsminda does not stand out. And here he will name two “glorious patriots” Dimitri Kipiani and Ilia Chavchavadze, as well as Alexandre Chavchavadze’s son-in-law, Griboedov. But it will only dwell on the significance of the Temple of Sioni. The specific location, building materials, yard and surroundings are described with amazing accuracy. This ethnographic description is important in many ways in the future and Iakob Gogebashvili knows this

well. Self-inflicted temptation (demolition of the dome), a number of precious divine objects preserved there, but the most important – the cross of the vine. Detailed description, measurement, its history... You read this small essay and a big story is created in your mind.

Faith and national symbol – this was the main reason for Georgian historical emigration. St. Nino, the Cross of the Vine – this time I will only talk about it. Immigrants have lost the country (physically) but have not lost faith and a strong sense of genetic, cultural heritage. The Georgian Orthodox Church in Paris will be named after St. Nino. Archimandrite Grigol Peradze published a magazine in the 1930s, which he called “Jvari Vazisa”. Texts written by immigrants account for how the composition is constructed, what is given priority in this or that particular case: geographical reference, emphasis on the “preference” of a small country, or finding a context understandable to Europeans. In the article, we will talk about the literary texts and letters of Grigol Robakidze, the poetic works by Simon Berezhiani and Giorgi Kipiani published in Berlin and France. These works are significant not only in terms of emigrants but also in terms of national literature research.

References:

Berezhiani, S. (1943). Nats’erebi. Berlini. [Writings. Berlin].

Gogebashvili, I. (1982). Sagandzuri. Tbilisi: gamomtsemloba „ganatleba“. [Treasure. Tbilisi: Education Press].

Kipiani, G. (1965). Leksebi 1930-1965. P’arizi. [Poems 1930-1965. Paris].

Robakidze, Gr. (1984). K’rebuli: miunkheni: gamotsema k’arlo inasaridzisa [Collection. Munich: Publishing of Karlo Inasaridze].

ძირითადი სხდომების მომხსენებელთა თეზისები
Abstracts of the Main Session Speakers

სპარსულ და რუსულ ნასესხობათა
კოლოკვიალიზაციისათვის ქართულში
ON COLLOQUIALIZATION OF PERSIAN AND RUSSIAN
LOANWORDS IN GEORGIAN

ფატმან ანთაძე-მალაშხია
Patman Antadze-Malashkhia

ანდრო ნიანკინი
Andro Nyankin

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ნასესხობათა ადაპტაცია, სტილისტური
ნეიტრალობა, კოლოკვიალიზაცია

Keywords: adaptation of loanwords, stylistic neutrality,
colloquialization

ნასესხობათა ადაპტაცია სხვადასხვა (ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, მორფოსინტაქსურ, სემანტიკურ) ასპექტს გულისხმობს. ვფიქრობთ, ასევე უსათუოდ გასათვალისწინებელია ადაპტაციის სტილისტური მხარე და მისი განმაპირობებელი ფაქტორები.

M. Haspelmath-ისაა და U. Tadmor-ის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, ნასესხობათა ადაპტაციის ხარისხი, სხვა ფაქტორების პარალელურად, უკავშირდება ნასესხობის სიძველეს (2009: 42). ამის გათვალისწინებით, ერთმანეთს შევადარეთ ქართულში გვიანდელი სპარსულიდან და რუსულიდან შემოსული ნასესხობები მათი სტილისტური ადაპტაციის, კერძოდ, კოლოკვიალიზაციის მიხედვით. ზემოხსენებულ დონორ ენათა ქართულთან ურთიერთობის ხანგრძლივობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. სპარსული ისტორიულად ყველაზე უფრო ხანგრძლივად კონტაქტირებადი ენაა ქართულთან, ხოლო ქართულსა და რუსულს მხოლოდ ორსაუკუნოვანი, თუმცა ძალზე ინტენსიური ურთიერთობები აკავშირებთ.

ძველი და საშუალო სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა მსგავსად, ახალი სპარსულიდან სეფიანთა პერიოდამდე (1501-1722 წწ.) შემოსული ნასესხობები ქართულში დამკვიდრებულია სტილისტურად ნეიტრალური ფორმით ან გამოსულია ხმარებიდან. რაც შეეხება სეფიანთა ეპოქასა და მის შემდგომ პერიოდებში შემოსულ ნასესხობებს, მათი ნაწილი ხმარებიდანაა გამოსული, მცირე ნაწილი ფუნქციონირებს სტილისტურად ნეიტრალური სახით, ხოლო უმეტესობა კოლოკვიალიზებულია.

ძველი, საშუალო და სეფიანთა პერიოდამდე ახალი სპარსულიდან შემოსული ნასესხობები შემონმეებულია მ. ანდრონიკაშვილთან წარმოდგენილი სიტყვების (1966; 1996), ხოლო გვიანდელი ნასესხობები ნ. ბართაიას მიერ გაანალიზებული ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ დადასტურებული მასალის მიხედვით (2011).

რუსულიდან შემოსულ ნასესხობათა მოძიების წყარო, გარდა რუსულიდან შემოსული ევროპეიზმებისა და ინტერნაციონალიზმებისა, თანამედროვე ქართული ზეპირმეტყველება იყო.

კოლოკვიალიზებულ რუსულ და გვიანდელ სპარსულ ნასესხობათა ეტიმონები მეტწილად სტილისტურად ნეიტრალურია. ქართულში მათი კოლოკვიალიზაციის მიზეზად ორ გარემოებას მივიჩნევთ: 1) ამ

ნასესხობათა მცირე „ასაკს“; 2) მათ შემოსვლას ზეპირმეტყველებითი გზით. როგორც ჩანს, ამ გზით შემოსული კოლოკვიალიზებული ნასესხობები მხოლოდ გარკვეული „დაძველების“ შემდეგ ნეიტრალიზდება სტილისტურად ან გადის ხმარებიდან.

სპარსულიდან ნასესხები კოლოკვიალიზმები ამჟღავნებენ არქაიზაციის ტენდენციას, რაც ბუნებრივად აიხსნება ქართულსა და სპარსულ ენებს შორის უშუალო ზეპირი კონტაქტების შეწყვეტით.

კოლოკვიალიზებული გვიანდელი სპარსული ნასესხობები, სემანტიკური თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად გადააზრებულია, მაშინ როცა რუსიზმები ინარჩუნებენ ეტიმონის მნიშვნელობას. ამგვარ განსხვავებას ორი მიზეზი აქვს: 1) ქართული ენის სპარსულთან ურთიერთობის ხანგრძლივი, ხოლო რუსულთან ურთიერთობის ხანმოკლე ისტორია; 2) სპარსულსა და ქართულს შორის ცოცხალი კონტაქტის განწყვეტის ფონზე – რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების სიმჭიდროვე, რაც განაპირობებს ეტიმონისა და ნასესხობის მაქსიმალურ სემანტიკურ სიახლოვეს.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი, მ. (1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ანდრონიკაშვილი, მ. (1996). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II. თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“.

ბართაია, ნ. (2011). ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ჰასპელმათი, მ., ტადმორი, უ. - Haspelmath, M., Tadmor, U. (2009). Loanwords in the World's Languages: A Comparative Handbook. Berlin: De Gruyter.

Adaptation of loanwords embraces diverse aspects (phonological, orthographic, morphosyntactic and semantic). In our opinion, attention should also be paid to the stylistic aspects of adaptation and its preconditions.

According to M. Haspelmath and U. Tadmor, in frequent cases, alongside with other factors, the degree of adaptation depends on the age of

a loanword (2009:42). Taking this into account, we have compared the loanwords borrowed by Georgian from late Persian and Russian with regard to their stylistic adaptation, namely, colloquialization. The contacts between Georgian the above-mentioned two languages are of different duration. Historically, Persian is a language with which Georgian had most longstanding contacts, whereas Georgian and Russian language contacts, although very intense, lasted only for two centuries.

Like the borrowings from Old and Middle Persian, the loans that penetrated into Georgian from New Persian until the Safavid period (1501-1722) are either outdated or belong to the neutral style. As for the borrowings of the Safavid epoch and later periods, some of them are no longer used, and only a minor portion function as stylistically neutral units, while their great majority is colloquialized.

The loans that penetrated into Georgian in the Old, Middle and New Persian of the pre-Safavid period have been verified based on the material provided by M. Andronikashvili (1966; 1996), whereas later loans have been verified using the material taken from I. Grishashvili's "Urban Dictionary" analyzed by N. Bartaia (2011).

Apart from the European words and international vocabulary, other Russian loans have been identified in contemporary Georgian oral speech.

The etymons of colloquialized Russian and late Persian loans are, in the majority of cases, stylistically neutral. In our opinion, there are two reasons for their colloquialization in Georgian: 1) the "young age" of the loans; 2) their penetration into Georgian via oral speech. As it seems, the colloquialized loans become outdated or stylistically neutral only after certain "ageing".

The Persian colloquialized loans reveal the tendency to become archaic. This is natural, because direct oral contacts between Georgian and Persian have long ceased.

Late Persian colloquialized loans have undergone semantic change to a certain extent, but Russian loans have preserved the meanings of the etymons. Such difference can be explained by the following reasons: 1) The longstanding contacts between Georgian and Persian, and a brief history of Georgian-Russian language contacts; 2) Close Russian-Georgian language

contacts, leading to utmost semantic closeness between etymons and loans, on the background of ceased live contacts between Georgian and Persian.

References:

- Andronikashvili, M.** (1966). Nark'vevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan, I. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [Studies in Iranian-Georgian Language Contacts, I. Tbilisi: Tbilisi University Press].
- Andronikashvili, M.** (1996). Nark'vevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan, I. Tbilisi: Gamomtsemoba "irmisa" [Studies in Iranian-Georgian Language Contacts, I. Tbilisi: Irmisa Publishing].
- Bartaia, N.** (2011). kartulshi shemosuli sp'arsuli leksik'a Ioseb Grishashvilis kalakuri leksik'onis mikhedvit. Tbilisi: gamomtsemloba „art'anuji“. [Borrowings from Persian Vocabulary according to Ioseb Grishashvili's Urban Dictionary. Tbilisi: Artanuji Publishing].
- Haspelmath, M. & Tadmor, U.** (2009). Loanwords in the World's Languages: A Comparative Handbook. Berlin: De Gruiter.

ქართული, როგორც საერთოქართველური
ფუძეენის ძირითადად იდენტური
სტრუქტურის ენა. II

GEORGIAN, AS THE LANGUAGE OF BASICALLY
IDENTICAL STRUCTURE WITH THE COMMON
KARTVELIAN ROOT LANGUAGE. II

რევაზ აბაშია

Revaz Abashia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, საერთოქართველური
ფუძეენა, იდენტური სტრუქტურის ენა

Keywords: Georgian language, Common Kartvelian root language,
identical structure language

საერთოქართველური ფუძეების დიფერენციაციის შედეგად, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა სამი ენობრივი ერთეული: ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური. ამ პროცესს ახლდა როგორც ფუძეებიდან მომდინარე საერთო ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების შენარჩუნება, ისე განსხვავებული ენობრივი მოვლენების გაჩენა, რასაც მოჰყვა მეტ-ნაკლებად ასევე განსხვავებული სტრუქტურული თავისებურებების მქონე რამდენიმე ლინგვისტური ტიპის ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, თავდაპირველად საერთოქართველური ფუძეება დაიშალა ორ ენობრივ ერთეულად - ერთი მხრივ, ქართულ (აღმოსავლურ დიალექტურ არეალში) და, მეორე მხრივ, ზანურ-სვანურ (დასავლურ დიალექტურ არეალში) ენებად. დიფერენციაციის შემდგომ ეტაპზე, როგორც ჩანს, ქართული ენის სტრუქტურული ცვლილებები კვლავაც არ არის თვალსაჩინო, მაგრამ აშკარაა ზანურ-სვანურ არეალში, რის შედეგადაც ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა იშლება ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენებად.

სტრუქტურული ცვლილებების პროცესში მთავარ ფაქტორად ფონოლოგიური მოვლენები გვესახება. შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ირკვევა, რომ ქართულში საერთოქართველური ფუძეების ბგერითი შედგენილობა ძირითადად უცვლელი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს განიცდის ზანურსა და სვანურში. კერძოდ:

დიფერენციაციის პირველი საფეხური: ქართველური ფუძეების წინა რიგის სიბილანტური სპირანტებისა და აფრიკატების უკანა რიგისკენ გადაწევის შედეგად საერთო ზანურ-სვანური ლინგვისტური ტიპის ჩამოყალიბება;

დიფერენციაციის მეორე საფეხური: ზანურში ხმოვანთა გადაწევისა და სვანურში სისტემატური ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, ზანური და სვანური ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბება;

დიფერენციაციის მესამე საფეხური: ქართულში ფუძეების სტრუქტურული მოდელი კვლავაც ძირითადად უცვლელია, ხოლო ზანურსა და სვანურში განსხვავებული ფონოლოგიური მოვლენების შედეგად დროთა განმავლობაში განხორციელდა მორფოლოგიური და, განსაკუთრებით, ლექსიკური ცვლილებები.

ამრიგად, საერთოქართველური ფუძეების დიფერენციაციის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართველური ენებიდან, ძირითადად, ქართულმა შეინარჩუნა ფუძეების დროინდელი სტრუქტურული მოდელი (ფუძეენა *კ ა ც ი > ქართული *კ ა ც ი), ზანურსა და სვანურში კი ფუძეენასთან საერთო იზოგლოსების შენარჩუნების პარალელურად ჩნდება მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური მოვლენები (ფუძეენა *კ ა ც ი > ზანური *კ ა ჩ ი > კ ო ჩ ი; ფუძეენა *კ ა ც ი > სვანური *კ ა ჩ ი > *კ ა შ ი > *კ ა შ > ქ ა შ).

ზემოთ წარმოდგენილ და ასევე სხვა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ მოვლენებზე ქართველურ ენებში მასალობრივად ვრცელი მსჯელობა წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

As is well known, as a result of the differentiation of the common Georgian root, three linguistic units were formed: Georgian, Megrelian-Laz and Svan languages. This process was accompanied by the maintenance of common phonological, morphological and lexical isolates from the root, as well as the emergence of different linguistic phenomena, which was followed by the formation of more or less linguistic types with more or less different structural features. We think that initially the common Georgian root language was divided into two linguistic units - on the one hand, Georgian (in the Eastern dialectal area) and, on the other hand, Zan and Svan languages (in the western dialectal area). At the next stage of differentiation, it seems that the structural changes of the Georgian language are still not visible, but are obvious in the Zan and Svan area, as a result of which the Zanuri-Svan linguistic unity is divided into Zan (Megrelian-Laz) and Svan languages.

Phonological events are a major factor in the process of structural change. Through internal reconstruction, it becomes clear that the phonetic composition of the common Georgian root language in Georgian remains largely unchanged, but undergoes significant transformations in Zan and Svan languages. In particular:

The first stage of differentiation: Formation of a common Zan and Svan linguistic type as a result of shifting the front row of Kartvelian root language to the rear row of sibilants spirants and Affricates;

The second stage of differentiation: Formation of Zan and Svan linguistic units as a result of vowel transliteration in Zan language and systematic phonetic changes in Svan language;

The third stage of differentiation: In Georgian, the structural model of root language is still unchanged, and as a result of different phonological events in Zan and Svan languages, morphological and especially lexical changes have taken place over time.

Thus, as a result of the differentiation of the common Georgian root language, from the historically formed Kartvelian languages, mainly Georgian has preserved the structural model of the root language period (Root language *k a c i > Georgian *k a c i), In Zan and Svan languages More or less different phonological, morphological and lexical phenomena appear in parallel with the preservation of common isogloss with root language (Root language *k a c i > Zan *k a ch i > k o ch i; Root language *k a c i > Svan *k a ch i > *k a sh i > *k ä sh > ch ä sh).

Extensive material discussion of the above and other phonological, morphological and lexical phenomena in Kartvelian languages will be presented in the report.

გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვანი
წერილების დიალოგური სპეციფიკა
DIALOGICAL SPECIFICS OF GRIGOL ORBELIANI'S
RUSSIAN LETTERS

ანა ახოზაძე

Ana Akhobadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ ორბელიანი, რუსულენოვანი,
ეპისტოლე, დიალოგი

Keywords: Grigol Orbeliani, Russian, epistle, dialogue

კომუნიკაცია გულისხმობს ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით ინფორმაციის გაცვლას. წერილობით კომუნიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეპისტოლურ ჟანრს.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა მდიდარია ქართველ მწერალთა ინტერპერსონალური ეპისტოლური ნიმუშებით. გრიგოლ ორბელიანი უამრავი პირადი წერილის ავტორია. მწერლის ეპისტოლეები შესრულებულია ქართულ და რუსულ ენებზე. წერილებში შემორჩენილია ისტორიული პიროვნებების დიალოგები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ამ ადამიანების ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნისას. გრიგოლ ორბელიანის ეპოქის ეპისტოლური კომუნიკაციის სპეციფიკა გვაძლევს საინტერესო და მრავალმხრივ მასალას ამ პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური, კულტურული და მსოფლმხედველობრივი კვლევისათვის. ამიტომ თითოეული წერილის კვლევა და სხვადასხვა რაკურსით დანახვა დაუსრულებელი პროცესია.

თითოეულ ენობრივ მოდელს აქვს ეპისტოლური დიალოგის წარმოების თავისებური სტილი და მახასიათებელი. ამიტომ საინტერესოა ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანის რუსულენოვანი წერილების შესწავლა და მათში იმ ძირითადი ნიუანსების გამოკვეთა, რომლებიც განასხვავებს ამ წერილებს ქართულენოვანი ეპისტოლეებისგან.

ქართული დიალოგური მეტყველების სპეციფიკური მახასიათებლების შესახებ საინტერესო და სიღრმისეული გამოკვლევა ეკუთვნის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ რუსუდან ზექალაშვილს. მეცნიერის აღნიშვნით, ქართული ყოფითი შინაარსის ეპისტოლური დიალოგები დატვირთულია მოკითხვებით, ქათინაურებითა და ბოდიშებით. ხშირად შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებს, მადლობას, მობოდიშებასა და გამომშვიდობებას.

რაც შეეხება ოფიციალურ-საქმიან დიალოგებს, მათთვის დამახასიათებელია საუბრის ფაზების მკაცრი რეგლამენტის დაუცველობა, ყოფით საუბრებთან მკვეთრი განსხვავების არარსებობა, ჩართული ეპიზოდების, ხუმრობების, ანეკდოტების სიხშირე. გამოიყენება ინტენსიური ჟესტიკულაცია. გვხვდება გულითადობისა და სიხარულის დაუფარავი გამოხატვა.

თუკი ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანის ქართულენოვან პირად წერილებს გადავხედავთ, არ გავვიჩივრებთ, დავეთანხმეთ რუსუდან ზეჟალაშვილს. გრიგოლ ორბელიანის მიერ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი მიწერილი ქართულენოვანი წერილები გამოირჩევა გულთბილი მისაღმებით და სრულდება თბილი დამშვიდობებითა და მოკითხვებით.

მწერლის რუსულენოვანი ეპისტოლეები ძირითადად ემთხვევა მის რუსულ არმიაში მოღვაწეობის პერიოდს, 1834-1857 წლებს, და ეს წერილები ოფიციალურ-საქმიანი ხასიათისაა.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის შემთხვევაში, გრიგოლი ნაკლებად ემოციურია, ვიდრე ახლობლებსა და ოჯახის წევრებს შორის დიალოგისას. მისი წერილების ადრესატები ძირითადად გრიგოლზე თანამდებობრივად მაღლად მდგომი სამხედრო პირები არიან, ამიტომ მათთან გაგზავნილ წერილებში იკითხება უდიდესი მოკრძალება.

აქ ვხედავთ ისტორიული მოვლენების ანარეკლს. გრიგოლ ორბელიანი ახსენებს გადატანილ ბრძოლებს და დეტალურად აღწერს თითოეულ საომარ მოქმედებას. წერილებში აგრეთვე ჩანს გრიგოლ ორბელიანის, ვითარცა სამხედრო სტრატეგის, ალღოც. წერილებში გრიგოლი მიხეილ ვორონცოვს სთხოვს, სამხედრო წოდებებით, ფულითა და საჩუქრებით დააჭილდოს შამილის რაზმების წინააღმდეგ მებრძოლი მეომრები და ადგილობრივები, რათა ამან ახალგაზრდებში მეტი მოტივაცია აღძრას.

რუსი სამხედრო მოხელეებისადმი მიწერილი წერილები ერთგვარ ანგარიშს ჰგავს, რომლითაც გრ. ორბელიანი ინფორმაციას აწვდის მათ მიმდინარე სამხედრო საქმიანობის შესახებ. წერილები ოფიციალურ იერს ატარებს. არ აქვს მისაღმება და დამშვიდობება. ეს, უეჭველად, განპირობებულია მათი ოფიციალური ხასიათით. ადრესატი ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის ამგვარ დასაწყისსა და დასასრულს საჭიროდ არ მიიჩნევს. ამას გარდა, საფიქრებელია, რომ ამით იგი ხაზს უსვამს თავისი წერილების უაღრესად საქმიან ხასიათს და დროსა და ადგილს მხოლოდ აუცილებელ საქმეს უთმობს. გრიგოლ ორბელიანი ქათინაურებით ამკობს სამხედრო პირებს, თუმცა ეს ქათინაურებიც უაღრესად მოზომილია.

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების ეტიკეტურ ნაწილს – დასაწყისსა და დასასრულს – გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რომლებსაც პოეტი ყოველთვის იცავს. ორბელიანი საკუთარი პირადი ბარათების ადრესატების მიმართ ყოველთვის თავაზიანია და ახლობლებისადმი პატივისცემას გამოხატავს, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში იგი საქმიან, მკაცრ სტილს ინარჩუნებს.

ლიტერატურა:

ზექალაშვილი, რ. (2006). ქართული დიალოგური მეტყველება. თბილისი.

ორბელიანი, გრ. (2012-2018). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტომები: II. III; IV; V; VI; VII; VIII. თბილისი:

გამომცემლობა „საარი“.

Communication is the exchange of information between individuals through a common system of symbols. The epistolary genre has a special place in written communication.

Nineteenth century Georgian literature is rich in interpersonal epistolary samples of Georgian writers. Grigol Orbeliani is the author of numerous personal letters. The writer's epistles are written in Georgian and Russian. The letters contain dialogues of historical figures that must be used in the creation of psychological portraits of these people. The specifics of the epistolary communication of the era of Grigol Orbeliani give us an interesting and multifaceted material for the historical-political, cultural and worldview research of this period. So researching each letter and seeing it from a different angle is an endless process.

Each linguistic model has its style and characteristics of epistolary dialogue production. Therefore, it is interesting to study Grigol Orbeliani's letters in Russian and to highlight the main nuances that distinguish these letters from Georgian epistles.

An interesting and in-depth study of the specific features of Georgian dialogic speech belongs to Dr. Rusudan Zekalashvili, Doctor of Humanities. According to the scholar, the epistolary dialogues of the Georgian

content are full of greetings and apologies. Often contain units of phatic communication, thanksgiving, apology, and farewell.

As for the official-business dialogues, they are characterized by the lack of strict regulations of the phases of the conversation, the absence of a sharp difference with the everyday conversations, the frequency of the episodes, jokes, anecdotes. Intense gestures are used. There is an undisguised expression of kindness and joy. (See Zekalashvili. R., Georgian Dialogue Speech. 2006. p. 16). If we look at Grigol Orbeliani's personal letters in Georgian, we will agree with Rusudan Zekalashvili. Grigol Orbeliani's letters to Georgian family members and relatives are received with warm greetings and end with warm farewells and greetings.

The Russian-language epistles of the writer mainly coincide with the period of his work in the Russian army, 1834-1857, and these letters are of an official-business style.

In the case of formal-business style, Orbeliani is less emotional than in the dialogue between loved ones and family members. The addressees of his letters are mainly military men in positions of authority above Grigol, so the letters sent to them show the greatest modesty.

Here we see a reflection of historical events. Grigol Orbeliani mentions the battles and describes each military action in detail. The letters also show the greed of Grigol Orbeliani's military strategist. In the letters, Grigol asks Mikhail Vorontsov to award military ranks, money and gifts to the soldiers and locals fighting against Shamil's detachments, to motivate the youth. (Epistolary heritage of Georgian writers of XIX-XX centuries. Vol. IV. - Grigol Orbeliani. (Part III); Tbilisi 2013; p. 11).

The letters to the Russian military officials are like a report by which Gr. Orbeliani provides them with information about their current military activities. The letters have an official look. No greetings and farewells. This is undoubtedly due to their official nature. The addressee does not consider such a beginning and end necessary for a formal business style. Grigol Orbeliani praises the military, although these praises are also highly measured.

Thus, the etiquette part of Grigol Orbeliani's personal letters - the beginning and the end - has its specific features, which the poet always

follows. Orbeliani is always polite to the recipients of his personal cards and shows respect to his relatives, while in official documents he maintains a businesslike, strict style.

References:

- Orbeliani, Gr.** (2012-2018). Kartvel mts'eralta epist'oluri memk'vidreoba, t'. II. III; IV; V; VI; VII; VIII. Tbilisi: gamomtsemloba „Saari“. [Epistolary heritage of Georgian writers of XIX-XX centuries, vol: II. III; IV; V; VI; VII; VIII. Tbilisi: Saari Publishing House].
- Zekalashvili, R.** (2006). Kartuli dialoguri metq'veleba. Tbilisi. [Georgian dialogic speech. Tbilisi].

იაკობ გოგებაშვილი ქართული ბატონყმობის
თავისებურებათა შესახებ
IAKOB GOGEBASHVILI ABOUT THE PECULIARITIES
OF THE GEORGIAN FEUDAL SYSTEM

ლევან ბებურიშვილი
Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ქართული
ფეოდალიზმი, იაკობ გოგებაშვილი

Keywords: Georgian literature, Georgian feudalism, Iakob Gogebashvili

საუკუნეების განმავლობაში ბატონყმობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის საფუძველს წარმოადგენდა. თანამედროვე გადასახედიდან ძნელია, რაიმე პოზიტიური დავინახოთ ამ სოციალურ ინსტიტუტში, რომელიც ხშირად ხდებოდა ადამიანის ღირსებისა და საკუთრების ხელყოფის წინაპირობა. ქართველ მწერალთა არაერთი თხზულება მიედღვნა ბატონყმობის მხილებას, თუმცა, ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან ზოგიერთი საგანგებოდ განასხვავებდა ბატონყმობის ქართულ და რუსულ მოდელებს. მაგ., ალექსანდრე ორბელიანი ამტკიცებდა, რომ ისტორიულად საქართველოში ბატონყმობას არ ჰქონია სასტიკი ფორმა და ძველად ღირსეულ ქართველთ მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდათ ყმებისადმი. წერილში „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ („ცისკარი“, 1859, N11) ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს: „საქართველოში მებატონე ყმობა მონად (მონება მესმის მე, დაჩაგვრა) არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს... უწინდელს დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის, რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისთვის“ (ორბელიანი 1859: 216).

აღ. ორბელიანის თქმით, ყმას ნებისმიერ დროს შეეძლო ბატონთან სტუმრობა, რჩევისა თუ სათხოვრისათვის მისვლა. ბატონი და ყმა ხშირად ერთად იყვნენ, ერთად სადილობდნენ, ერთმანეთზე ზრუნავდნენ, ჭირშიც და ლხინშიც ედგნენ ერთმანეთს გვერდით.

რა თქმა უნდა, ასეთი თვალსაზრისი დიდწილად რომანტიკულია (რის გამოც ალექსანდრე ორბელიანი საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ რეაქციონერად იყო გამოცხადებული), თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამენ არა მხოლოდ ე. წ. „მამათა თაობის“ მწერლები, არამედ სამოციანელთა ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, როგორებიც არიან აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

აკაკი წერდა: „ამ უკანასკნელ დრომდი ბატონყმობას ისეთი ხასიათიარ ჰქონია საქართველოში, როგორც სხვაგან; ის იყო მხოლოდ ძმური, ერთმანეთთან უმფროს-უმცროსული დამოკიდებულება...“

ბატონი მეგრულათ პატონია და ქანურათ პატრონი. ცხადია, რომ აქ მხოლოდ ორი ასო „ტ“ და „რ“ არიან გადასმულ-გადმოსმული, თორემ ეს სიტყვები ერთად ნიშნავენ მზრუნველი, მფარველი და არა უფალი, აგრეთვე ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა“ არ ნიშნავს მონას. ე. ი. ყმანვილი ანუ ახალგაზდა. რუსთველი ხშირათ ყმას ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც. ამნაირათ ბატონყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას განაწილებას და არა ნაძალადევ მბრძანებლობას. და რუსთველსაც სწორეთ ამგვარადა აქვს გამოსახული“.

წერილში „ბატონყმობა რუსეთსა და საქართველოში“ (ქ. „ნაკადული“, 1911 N 2-4) იაკობ გოგებაშვილიც ძალზე საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ამ საკითხის ირგვლივ. იგი მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბატონყმობას არ ჰქონია ისეთი სასტიკი ფორმა, როგორიც რუსეთში, რადგან იქ ორ ფენას შორის იდგა „მესამე ძალა“ რეგულარული ჯარის სახით, რომელიც იყო ბატონთა იარაღი ყმების დასასჯელად, საქართველოში კი ასეთი შუამავალი რგოლი არ არსებულა. გლეხები უმრავლესობას შეადგენდნენ, თავადაზნაურობას კი მათი გარკვეული რიდი ჰქონდა ამ გარემოების გამო და გლეხებს ყველაფერს ვერ უბედავდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ თავადებსა და გლეხებს შორის გაჩნდა ჯარი, რამაც გააღრმავა უფსკრული სოციალურ ფენებს შორის. „ბატონყმობას სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა რუსეთსა და საქართველოში. რუსეთში არსებობდა მუდმივი ჯარი, რომელიც იცავდა თავისს ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და ბატონებსაც ეხმარებოდა, როცა გაბრაზებული ყმები ურჩობას გამოიჩენდნენ ხოლმე. საქართველოს მუდმივი ჯარი არა ჰყოლია. ჩვენს ქვეყანას უმთავრესად თვითონ გლეხობა იცავდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონყმობამ ჩვენში სხვა ხასიათი მიიღო. ჩვენის ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან იკისრა რუსის სამუდამო ჯარმა; ჩვენებურმა გლეხობამ ხელიდან გაუშვა თოფ-იარაღი და გადაეჩვია მის ხმარებასა. ბატონებსა და ყმებს შუა ჩამოდგა ახალი, მესამე ძალა – სამუდამო ჯარი და სარჩლი დაუნყო პირველებსა. ბატონებმა დიდი გული მოიციეს, შიში გლეხების უკმაყოფილებისა გაუქრათ და ბევრად მეტი სამსახური მოსთხოვეს მათ“ (გოგებაშვილი 1955: 401). ამასთანავე, იაკობ გოგებაშვილის თქმით, თუ ძველად ბატონები

მარტივ ცხოვრებას მისდევდნენ და მცირედით კმაყოფილდებოდნენ, ახალ დროში მათი მოთხოვნილებები უფრო მრავალფეროვანი გახდა, რუსი არისტოკრატის მიბაძვით, მათ ფუფუნებით ცხოვრება დაიწყეს, რისი უზრუნველყოფაც გლეხს დაანვა კისრად და ამგვარად წახდა ქართული ბატონყმობის ისტორიულად ჩამოყალიბებული, შედარებით ჰუმანური ხასიათი.

ლიტერატურა:

- ბებურიშვილი, ლ.** (2018). ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. თბილისი: „მერიდიანი“.
- გოგებაშვილი, ი.** (1955). თხზულებანი, ტ. IV. თბილისი: „საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო“.
- ორბელიანი, ალ.** (1859). უნინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში. „ცისკარი“, N11.
- წერეთელი, ა.** (1960). თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XII. თბილისი: „სახელგამი“.

For centuries, serfdom was the basis of the socio-political system of Georgia. From a modern point of view, it is difficult to see anything positive in this social institution, which often became a precondition for the violation of human dignity and property. Numerous works by Georgian writers have been devoted to exposing serfdom. However, it is also noteworthy that some of the nineteenth-century Georgian thinkers distinguished Georgian and Russian models of serfdom. For example, Alexander Orbeliani argued that historically serfdom in Georgia did not have a brutal form and that in ancient times worthy Georgian princes had a paternalistic attitude towards serfs. In the article “Early Serfdom in Georgia” (“Tsiskari”, 1859, # 11) Alexander Orbeliani states: “It is true that the word serfdom existed in Georgia, but Georgian serfdom had a different character. Earlier the peasant aspired to find a master and be protected because he treated him like his own child” (Orbeliani 1859: 216).

According to Alexander Orbeliani, the serf could visit the master at any time, come for advice or beg. The master and the serf were often together,

having dinner together, caring for each other, standing side by side in times of trouble and famine.

Of course, such a view is largely romantic (which is why Alexander Orbeliani was declared a reactionary by Soviet historiography and criticism), but it should be noted that such a view is expressed not only by the writers of the “Fathers’ generation”, but also by the prominent figures of the sixties – Akaki Tsereteli and Iakob Gogebashvili.

Akaki Tsereteli wrote: “Until recently, serfdom had not had such a character in Georgia as elsewhere; He was just an older-younger relationship with each other ... Our old word “serf” does not mean a slave, but - a boy, a young man. Rustaveli often calls Taniel and Avtandil serfs. So serfdom meant equal, fraternal relations, not coercive domination.

In the letter “Serfdom in Russia and Georgia” (“Nakaduli”, 1911, # 2-4) Iakob Gogebashvili also develops a very interesting opinion on this issue. He points out that serfdom in Georgia has not been as brutal as in Russia, because there stood between the two strata, a “third force” in the form of a regular army, which was the masters’ weapon to punish serfs, and in Georgia, there was no such mediator. After the establishment of Russian rule, an army emerged between the nobility and the peasants, which widened the gap between the social strata. “Serfdom had a different character in Russia and Georgia. There was a permanent army in Russia, defending its country from outside enemies, and even helping the lords when angry serfs rebelled. Georgia did not have a permanent army. Our country was mainly defended by the peasantry itself. After the unification with Russia, the serfdom took on a different character in us. The defence of our country from outside enemies was undertaken by the Russian perpetual army. In the middle of the lords and slaves came a new, third force - the regular army, and began to sue the first. The lords lost their fear of the peasants’ dissatisfaction and demanded much more service from them”(Gogebashvili 1955: 401). At the same time, according to Iakob Gogebashvili, if in the old days the lords followed a simple life and were little satisfied, in the new time their needs became more diverse, imitating the Russian aristocracy they began to live in luxury, which ensured the peasant’s neck and thus ruined the historically formed relatively humane character of Georgian serfdom.

References:

- Beburishvili, L.** (2016). The Problem of Individualism in the Works by Vazha-Pshavela. *Spekali*, 10.
- Beburishvili, L.** (2018). *Etik'uri p'roblematik'a Vazha-Pshavelas shemokmedebashi*. Tbilisi: „Meridiani“. [Ethical Problems in Vazha-Pshavela's Literary Creations. Tbilisi: “Meridiani”].
- Gogebashvili, I.** (1955). *Tkhzulebani, t'omi IV*. Tbilisi: sakartvelos sssr ganatlebis saminst'ro. [Works, Vol. IV. Tbilisi: Ministry of Education of the Georgian SSR].
- Orbeliani, Al.** (1859). *Uts'indels drois batonqmobas sakartveloshi*. „Tsisk'ari“, 11. [Serfdom in Georgia in the Past. “Tsiskari”, 11].
- Tsereteli, A.** (1960). *Tkhzulebata sruli k'rebuli tkhutmet' tomad, t'. XII*. Tbilisi: „Sakhelgami“. [Complete collection of works in 15 volumes, vol. XII. Tbilisi: “Sakhelgami”].

ჰეროიკული წარსულის მისტიკა
ხალხურ გადმოცემებში

MYSTERY OF HEROIC PAST IN FOLK NARRATIVES

ელენე გოგიაშვილი

Elene Gogiasvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ზეპირსიტყვიერება, ეპიკური სიუჟეტი,
საზღაპრო მოტივი

Keywords: oral narrative, epics, fairy-tale motif

წარსულის გახსენება – იქნება ეს ნამდვილი თუ გამოგონილი, კოლექტივისა და ინდივიდის კუთვნილებაა და, შესაბამისად, ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრშიც პოულობს ასახვას, როგორც კულტურული და სოციალური ფენომენი. წინამდებარე მოხსენებაში განხილულია ქართული ფოლკლორული მისტიკური პერსონაჟები „მძინარე გმირის“ საერთაშორისო მოტივთა კონტექსტში, ეპიკური და საზღაპრო სიუჟეტების მიხედვით.

1947 წელს მიხეილ ჩიქოვანმა შეისწავლა და გამოაქვეყნა XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე ჩაწერილი „ამირანიანის“ 92 ვარიანტი (ჩიქოვანი 1947). ტექსტებში გვხვდება სხვა ზღაპრული და ეპიკური გმირებიც, რომლებიც ამირანთან შეხვედრისას ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მაინც აქტიურ მონაწილეებად რჩებიან: ცამცუმი, ამბრი, უცნობი გოლიათი და სხვები. „ამირანიანის“ ზოგიერთი საარქივო ჩანაწერი შეიცავს პერსონაჟის მიერ მოთხრობილ ამბავს მოლაპარაკე თავის ქალაზე, რომელიც ჰყვება გარდასულ დროთა ამბავს, როცა გატეხილი პურიდან რძე გადმოდიოდა, ახლა კი ქვეყანაზე უკეთურებამ დაისადგურა.

ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხური გადმოცემების შესწავლისას სტიტ თომპსონმა აღნიშნა, რომ რთულია მკვეთრი ზღვრის გავლება რწმენა-წარმოდგენასა და მხატვრულ გამონაგონს შორის: ზოგიერთი ტრადიცია, რომელიც კონკრეტულ ადგილსა და პიროვნებას უკავშირდება, ისეთი „მოხეტიალე“ აღმოჩნდება, რომ ძნელი დასადგენია მისი წარმოშობა, თუ ვის და რის გარშემო შეიქმნა (Thompson 1977: 264). „ამირანიანის“ შესწავლის ადრეულ ეტაპზევე უამრავი თეორია აღმოცენდა. მკვლევართა უმრავლესობა ამირანს წინარექრისტიანულ მითად მიიჩნევდა. სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კავკასიოლოგთა და ორიენტალისტთა ნაშრომებში, ამირანი ხშირად იყო შედარებულ ბერძნულ პრომეთესთან. თანამედროვე მკვლევრები ამირანის თქმულებაში ქრისტიანობის დიდ გავლენას ხედავენ. ზღაპარმცოდნეობის პერსპექტივიდან, ამირანის თქმულებათა ციკლი საყოველთაოდ ცნობილ მოტივებსაც შეიცავს, როგორებიცაა: მარად ცოცხალი კულტურული გმირი [Mot.A570], მთაში მძინარე კულტურული გმირი [Mot.A571], კულტურული გმირის (ღვთაების) დაბრუნება [Mot.A581].

ფოლკლორული მოტივი თავის საფუძველში დინამიკურია, რადგან მას სხვა მოტივებთან შერწყმა შეუძლია. ამდენად, მოტივები ელემენტარულ საშენ მასალას ქმნიან ხალხური გადმოცემისათვის. მოტივსა და ტიპს შორის საზღვარი გარდამავალია. ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, შინაარსობრივ-თემატური მსგავსება-განსხვავებები იჩენს თავს, მეორე მხრივ კი – ფორმა და ფუნქცია რჩება არსებით ელემენტად ჟანრის კონსტრუქციისათვის (Uther 2004:10).

ფოლკლორისტები ხშირად მიმართავენ ხოლმე „კოლექტიური არაცნობიერის“, „კოლექტიური მეხსიერების“ ცნებებს და ფსიქოლოგებისთვისაც საკმაოდ მიმზიდველია ხალხური ტრადიციების ინტერპრეტირება. რენე გენონი ფოლკლორს მიიჩნევს უძველესი ტრადიციების გადასხვაფერებული მდგომარეობის ამსახველად, მაგრამ, ამასთანავე, გადარჩენის ერთადერთ გზად. რენე გენონის აზრით, ხალხი ინახავს ძველი ტრადიციების ნაშთებს, რომლებიც ხშირად პრეისტორიიდან მომდინარეობს და ფოლკლორი ამ საქმეში ასრულებს გარკვეული კოლექტიური მეხსიერების ფუნქციას, რომლის შინაარსი სრულიად სხვა მხრიდან არის შემოსული, ვთქვათ, ლიტერატურიდან. გენონი ამ შინაარსში ხედავს ევოთერული სფეროს მონაცემთა მნიშვნელოვან ერთობლიობას, ანუ იმას, რაც ყველაზე ნაკლებად არის ხალხური თავისი არსით: „როდესაც რომელიმე ტრადიციული ფორმა გაქრობამდეა მისული, ამ ტრადიციის უკანასკნელი წარმომადგენლები ნებაყოფლობით მიანდობენ კოლექტიურ მეხსიერებას იმას, რაც სხვაგვარად უკვალოდ გაქრებოდა. ეს არის ერთადერთი საშუალება იმის გადასარჩენად, რასაც რაღაც სახით მაინც შეუძლია არსებობის განგრძობა. ამასთანავე, ხალხის ბუნებრივი მიუმხვდარობა საკმარისი გარანტიაა იმისა, რომ მინაბარები ევოთერული შინაარსისგან არ გაიძარცვოს და დარჩეს წარსულის ერთგვარ მოწმობად იმათთვის, ვისაც სხვა რანგში შეეძლება მისი გაცემა“ (გენონი 1997: 139).

XIX საუკუნეში, როცა ევროპაში ფოლკლორისადმი ლიტერატურული, სამეცნიერო და იდეოლოგიური ინტერესი გაიზარდა, ზეპირი გადმოცემების შეკრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა იმპერიების მიერ დაპყრობილი ქვეყნებისთვის. ხალხური სიტყვიერების ჟანრები – ზღაპრები, ეპოსი, ბალადები, თქმულებები – ისტორიული წარსულის რომანტიზაციას ახდენდა და ეროვნულ

გრძნობებს აღვივებდა. ბუნებრივია, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩანერილი ფოლკლორული ტექსტები თითქმის გაიგივებულია გმირებსა და ჰეროიკულ წარსულთან. კოლექტიური მეხსიერება ეფექტურად მანიპულირებს მონუმენტური გმირებითა და მათი ჩადენილი დიადი ბრძოლებით. ზეპირ თხრობით ტრადიციებში უკვდავი გმირის მოტივი ისევე მარადიულია, როგორც თვითონ გმირი, რომელსაც მხოლოდ დროებით სძინავს და აუცილებლად გაიღვიძებს, როცა თავის ქვეყანას დასჭირდება.

ლიტერატურა:

გენონი, რ. (1997). ტრადიცია და არაცნობიერი. „აფრა“. 1.

ჩიქოვანი, მ. (1947). მიჯაჭვული ამირანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტომპსონი, ს. - Thompson, S. (1977). The Folktale. California: University of California Press.

უთერი, ჰ. ჯ. - Uther, H. J. (2004). The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica.

Representations of the past - whether true or fictional - are the property of both the collective and of the individual and are reflected in various genres of folk narratives. This paper examines the mystic heroes of Georgian folklore in the context of international motifs of a “sleeping hero”, according to epic and fairytale plots.

In 1947 Georgian folklorist Mikheil Chikovani collected and prepared for publication all variants of Amiraniani, 92 texts written down in Georgia from the early 19th century until the 1940s (Chikovani, 1947). In these texts there are also other fairytale and epic heroes who are already dead when meeting Amiran but they still remain active adversaries: Tsamtsum, Ambri, an unknown giant and others. Some archival texts of Amiraniani contain an inserted story about a speaking skull telling about old times, when milk oozed from broken bread, but now evil rules the world.

While studying the traditional stories of Europe and Middle East, Stith Thompson noted that it is difficult to draw a sharp line between actual beliefs and fiction and “many traditions strongly attached to particular places or persons have tendencies to wander, so that it is frequently hard to determine the original location or person about whom the legend grew up.” (Thompson, 1977: 264).

A motif has a broad definition that enables it to be used as a basis for literary and folkloristic research. It is a narrative unit, and as such it is dynamic, which determines with which other motifs it can be combined. Thus, motifs constitute the basic building blocks of narratives. On pragmatic grounds, making a clear distinction between a motif and a type is not possible because the boundaries are not distinct (Uther 2004: 10). Folklorists often use the terms “collective unconscious” and “collective memory” for explaining the meaning of the term “tradition” (Guenon, 1997: 139).

In the earliest period of the study of Amiraniani there appeared many theories. The majority of scholars considered the legend of Amiran as a pre-Christian myth. In the scholarly literature, since the 19th century, especially in the works by Caucasiologists and Orientalists, Amiran has been often compared to the Greek Prometheus, because both characters were punished by being chained to a mountain. Other scholars regard the tale of Amiran as a myth influenced by Christian religion. From the perspective of folktale study, the cycle of Amiraniani presents well-known motifs as follows: Culture hero still alive [Mot.A570], Culture hero asleep on the mountain [Mot.A571], Culture hero (divinity) returns [Mot.A581], etc.

In the 19th century, when in Europe countries raised literary, scholarly and ideological interest for folklore, collecting of traditional oral narratives was essential in those regions which were under the control of great empires. Folklore genres such as folktales, epic stories, ballads, legends and memorabilia were associated with the romanticized concept of heroic past of the national history. It is not surprising that folkloric texts, recorded in the late 19th and early 20th centuries reveal legendary characters as symbols of heroic past. Collective memory works effectively for those heroes, whose deeds are monumental. The images of the heroes became popular much thanks to the concept that they never die. In the oral

narrative tradition the motif of immortal heroes organize experience in a permanently memorable form.

References:

Chikovani, M. (1947). *Mijach'vuli amirani*. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [Amirani Bound. Tbilisi: Tbilisi State University Press].

Guenon, R. (1997). *T'raditsia da aratsnobieri*. „Apra“, 1. [Tradition and Unconscious. “Apra”, 1].

Thompson, S. (1977). *The Folktale*. California: University of California Press.

Uther, H. J. (2004). *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1*. Helsinki: Academia Scintiarum Fennica.

სვანეთი და კავკასიის მთიანეთი SVANETI AND THE CAUCASUS MOUNTAINS

ზვიად კვიციანი
Zviad Kvitsiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbiisi State Unuversity

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, კავკასიის მთიანეთი
Keywords: Svaneti, the Caucasus Mountains

უამრავ კულტურულ-ისტორიულ ფაქტორს შორის, რომლებიც წარმოშობენ კავკასიური კულტურული ურთიერთობის სხვადასხვა მიმართულებას, გამოიყოფა პირველადი – მკვიდრი ხასიათის მოვლენები. ასეთ მოვლენებს მიეკუთვნება უშუალო ტერიტორიული მეზობლობა და, აგრეთვე, გარკვეული გენეტიკური ნათესაობა, გამომჟღავნებელი ანთროპოლოგიური, ეთნოკულტურული და ენობრივი თვისებების სიახლოვეში (კვიციანი, 2009: 63-70). მეცნიერებაში მიღებულია საუბარი რეგიონის ხალხების პალეოკავკასიურ ერთობაზე, ე.ი. კავკასიური სუბსტრატის არსებობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს კავკასიურ ენობრივ ოჯახს. კავკასიონის მთიელთა პირველყოფილი კულტების შესწავლა აგრეთვე ამტკიცებს განსაზღვრულ ერთიანობას მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში.

უკანასკნელ ხანებში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და სხვა მასალის მონაცემების შუქზე მტკიცდება დებულება იმის თაობაზე, რომ სვანებს უძველეს ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში უფრო ვრცელი ტერიტორია ეჭირათ, ვიდრე შემდგომ პერიოდში (ჩართოლანი, 1996: 12-145; Битадзе, 2002: 123; Джапаридзе, 1989: 34-123; კვიციანი და სხვა: 2015: 79). ეს შეეხება სვანეთის როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ისე ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესის მომცველია და ნაკლებად შესწავლილი სვანთა კავკასიონის მთიელთა ურთიერთობები.

კავკასიონის მთიანეთში უხვად შემონახული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის დარგობრივი მეცნიერული შესწავლის შედეგად, სადღეისოდ უკვე ცნობილია სვანეთის საპატიო ადგილი და როლი არა მარტო კოლხურ, არამედ მთლიანად კავკასიის კულტურებს შორის. განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის არქეოლოგიური, ნუმისმატიკური ძეგლები (გ. ლორთქიფანიძე, და სხვ., 2008: 3-99). რელიგიურ-მითოლოგიური, ენობრივი, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები, მათი შედარებითი ანალიზი აშკარად მიგვითითებს ამ კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კავშირებზე არა მარტო კოლხეთის და მთლიანად კავკასიის, არამედ ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ხანის, ბერძნული სამყაროს კულტურ-

რებთან, რასაც, ბუნებრივია, საფუძვლად ედო მეზობელ და შორეულ რეგიონებთან სვანეთის ხანგრძლივი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

არქეოლოგიური მონაცემებით, კავკასიონის მთავარი ქედის მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო ათვისება ნეოლითის ხანაში იწყება (გრიგოლია, 1977: 156). უძველეს პერიოდებში სვანეთის კონტაქტები გარე სამყაროსთან ხორციელდებოდა ხევისპირა, გვერდითი და უღელტეხილებზე გამავალი გზებით, რომელთა რაოდენობა 50-ს აღემატება პერიოდებში პროტოყობანურ და ყობანურ ხანაში, როგორც ჩანს, ეს კონტაქტები უფრო ძლიერდება.

გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სვანეთი კავკასიის კულტურის სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძლიერი კერაა. მისი სიმძლავრე აღემატებოდა ლითონზე ადგილობრივ მოთხოვნილებას. ფერადი და იშვიათი ლითონებით ამარაგებდა კავკასიას და, შესაძლოა, უფრო შორეულ რეგიონებსაც.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კავკასიის რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის სვანეთს გააჩნია საკუთარი ბუნებრივი და სამეურნეო-ეკონომიკური ბაზა: მძლავრი სამთამადნო, მეტალურგიული და ხელოვნური წარმოება, სპილენძი, რკინა, ფერადი მადნეული და იშვიათი ლითონები, ძვირფასი ბუნვეული, ავეჯის დასამზადებლად საჭირო მერქანი, ფისი, ცვილი, თაფლი და სხვა სავაჭრო ნომენკლატურა, რითაც კავკასია, წინააზია და ბერძნული სამყარო იყო დაინტერესებული.

კავკასიონის მთიელებთან სვანეთის კავშირ-ურთიერთობებს ადასტურებს აგრეთვე შეხვედრები მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტებში.

კოლხეთის მთიან ზოლში დაფიქსირებული ძველი სამიმოსვლო გზების მიმართულებების, გამტარუნარიანობის მონაცემებისა და არქეოლოგიური ძეგლების განლაგების შედარებითი ანალიზი მიგვანიშნებს, რომ, მთიანი ზოლის საგზაო სისტემების გამტარუნარიანობის სეზონური ხასიათის მიუხედავად, კავკასიონის მთაგრეხილითავისებური გამაერთიანებელი ხერხემლის ფუნქციასაც ასრულებდა, მის გარშემო მოსახლე ტომების ურთიერთობაში. ხოლო სვანეთი, გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული ნაკადების

მიმართულებათა შესაბამისად, „შემაერთებელი ხიდია“ კავკასიონის ქედის ორივე მხარის ქვეყნებისათვის.

მეცნიერებმა მშვენივრად იციან, რამდენად მყარია და მტკიცე კავკასიელი მთიელების საყოფაცხოვრებო წყობის ტრადიციები: მათი საცხოვრებლის ტიპები, შრომის იარაღების ფორმები, ტანსაცმლის ტიპები, სამკაულები, ორნამენტები და ა.შ. კავკასიის მთიანეთის ტერიტორიაზე ქართული წარმოშობის ტოპონიმები, ქართული (სვანური) ტიპის კოშკები.

ქართული (ქრისტიანული) მატერიალური ძეგლების არსებობა არ უნდა იყოს სვანთა და კავკასიონის მთიელთა მხოლოდ მეზობლური ურთიერთობის შედეგი, არამედ ეს ფაქტები მეტყველებენ ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური ეთნიკური ელემენტის არსებობაზე უძველესი დროიდან დღემდე. მხოლოდ ბალყარეთის რეგიონში დაფიქსირდა 90 ასეთი სვანური გვარი. ტოპოგრაფია ასეთია (ლაშკუდა, ჟაბოლარ, ლალვერ, ლაკრან, გაგიშ, და ა.შ. ყარაჩაიში 30 (უშგულანი, ხურზუკი, ლაბგვიარი, დალარ ბაჩა-ზოგი, თებერდა, კლუხორ ხატიფარა, სენტი, შუანგპინი და ა.შ.): ბოტაევი – კახიანი, გეკიევ – კახიანი, ებზეევი – არღვლიანი, ოთარლარ – დადეშქელიანი, ჟაბელარ – დადეშქელიანი, რახაილარ – რეხვიაშვილი, ქერმანოვ – ქურდანოვ – ქურდიანი, შახმურზაევი – გუჯეჯანი. შუანოვი – სვანის მხარე, ჩარკუიანოვი – ჩარკვიანი, ჭაპუევი – ჭაფარიძე, ხუბიევი – ხვიბლიანი, წულკიანოვი – წულუკიანი, მეჩიევ-მიმჩუევი – მიბჩუანი და სხვები.

ლიტერატურა:

აბდუშელიშვილი, მ. - Abdushelishvili, M. (1964). Antropologiya drevnego i sovremennogo naseleniya Gruzii. Tbilisi. [Абдушлишвили, М. Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси].

ალექსეევი, ვ. - Alekseyev, V. (1960). Nekotoryye problemy proiskhozhdeniya balkartsev i karachayevtsev v svete dannykh antropologii. MNS. Naľ'chik. [Алексеев, В. Некоторые проблемы происхождения балкарцев и карачаевцев в свете данных антропологии. МНС. Нальчик].

ალექსეევი, ვ. - Alekseyev, V. (1974). Proiskhozhdeniye narodov Kavkaza. Moskva. [Алексеев, В. Происхождение народов Кавказа. Москва].

ბითაძე, ლ. - Bitadze, L. (2002). Izmenchivost' nekotorykh izoantigennykh sistem

krovi u nasileniya kavkasioni. Tbilisi. [Битадзе, Л. Изменчивость некоторых изоантигенных систем крови у населения кавкасиони. Тбилиси].

კვიციანი, ზ. (1997). საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (სვანეთი და ყარაჩა-ბალყარეთი, კულტურის ისტორიის საკითხები. III. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვიციანი, ზ. (1998). საქართველოს ჩრ. კავკასიის კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის კომპლური კულტურა ყარაჩა-ბალყარეთში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, IV. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვიციანი, ზ. (1999). კომპლური კულტურა სვანეთსა და ყარაჩა-ბალყარეთში – თსუ კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, V. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვიციანი, ზ. (2000). საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები (სვანეთის სამიმოსვლო გზები), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვიციანი, ზ. (2009). კავკასიონის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების შუქზე). ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 9.

კვიციანი, ზ. (2010). სვანთა (ქართველთა) ჩრ. კავკასიაში განსახლების ერთი საკითხისათვის. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. აკად. გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კრუპნოვი, ე. - Krupnov, Ye. (1964). Drevneyshaya kul'tura Kavkaza i Kavkazskaya etnicheskaya obshnost' (K probleme proiskhozhdeniya korennykh narodov Kavkaza). SA, 1. [Крупнов, Е. Древнейшая культура Кавказа и Кавказская этническая обшность (К проблеме происхождения коренных народов Кавказа) СА, 1].

მელიქიშვილი, გ. (1965). საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩართოლანი, შ. (1996). ძველი სვანეთი. თბილისი.

ჯაფარიძე, ო. - Dzhaparidze, O. (1989) Na zare etnokul'turnoy isstorii Kavkaza. Tbilisi.

[Джапаридзе, О. На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси].

ჯაფარიძე, ო. (1976). ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

Among many cultural-historical factors that give rise to different directions of Caucasian cultural relations, there are primary-indigenous events. Such phenomena include the immediate territorial neighbourhood as well as certain genetic kinships manifested in the closeness of anthropological, ethnocultural and linguistic traits. Science speaks of the Paleo-Caucasian unity of the peoples of the region, i.e. the existence of the Caucasian substratum, which is the basis of the Caucasian linguistic family. The study of the primitive cults of the Caucasus Mountains also affirms a definite unity in the field of material and spiritual culture.

In the light of the recent, written data, archaeological, ethnographic, anthropological and other material data, the statement that the Svans occupied a larger area in ancient times and the early Middle Ages than in later periods is confirmed. This applies to the eastern and western borders of Svaneti, as well as the northern and southern borders. Of particular interest in this regard is the little-studied relationship between the dwellers of the Svans' Caucasus Mountains.

As a result of the field scientific research of the richly preserved diverse cultural heritage in the Caucasus Mountains, the honourable place and role of Svaneti is already known not only among the Colchian but also among the Caucasian cultures as a whole. Archaeological, numismatic monuments of Svaneti, Racha and Lechkhumi provide especially interesting information; religious-mythological, linguistic, ethnographic and other materials. Their comparative analysis indicates the typological and chronological connections of this cultural heritage not only with the cultures of Colchis and the Caucasus as a whole but also with the cultures of the ancient East and ancient Greece, which are naturally based on long trade-economic and cultural relations of Svaneti.

According to archaeological data, the agricultural development of the highland strip of the main ridge of the Caucasus begins in the Neolithic period. In ancient times, Svaneti was in contact with the outside world through ravines, sidewalks, and overpasses, numbering more than 50. In the following periods, in the Proto-Koban and Koban eras, it seems that these contacts became stronger.

In the late Bronze and early Iron ages Svaneti was a stronghold of mining and metallurgical production of Caucasian culture. Its capacity exceeded the local demand for the metal. It supplied non-ferrous and rare metals to the Caucasus and possibly to more distant regions.

The materials available to us today allow us to prove that Svaneti has its own natural and economic base for trade and economic relations in the Caucasus region: powerful mining, metallurgical and artificial production, copper, iron, non-ferrous ores and rare metals, precious fur, Timber, resin, wax, honey and other trade nomenclatures, the Caucasus, Asia Minor and the Greek world were interested.

Meetings in mythological and religious aspects also confirm Svaneti's relations with the highlanders of the Caucasus Mountains.

A comparative analysis of the directions of the old traffic routes attested in the Kolkheti mountain strip based on the carrying capacity data and the location of archaeological sites, shows that despite the seasonal nature of the carrying capacity of the mountain strip road system, the Caucasus mountain range also functioned as a kind of joining spine in the relations of the tribes settled around it. While Svaneti, in terms of geographical location and cultural flows, is a "connecting bridge" for the countries located on both sides of the Caucasus.

Scientists are well aware of how solid and enduring the domestic order traditions of the Caucasian mountaineers are: the types of their dwellings, forms of tools, types of clothing, jewellery, ornaments, etc., toponyms of Georgian origin on the territory of the Caucasus Mountains, Georgian (Svan) type towers. The existence of Georgian (Christian) material monuments should not be only the result of neighbourly relations between the Svans and Caucasian highlanders. These facts show the existence of a Svan ethnic element in the North Caucasus from ancient times to the present day.

References:

- Abdushelishvili, M.** (1964). Antropologiya drevnego i sovremennogo naseleniya Gruzii. Tbilisi. [Абдушлишвили, М. Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси].
- Alekseyev, V.** (1960). Nekotoryye problemy proiskhozhdeniya balkartsev i karachayevtsev v svete dannyykh antropologii. MNS. Nal'chik. [Some problems of the origin of the Balkars and Karachais in the light of anthropological data. MNS. Nalchik].
- Alekseyev, V.** (1974). Proiskhozhdeniye narodov Kavkaza. Moskva. [The origin of the peoples of the Caucasus. Moscow].
- Bitadze, L.** (2002). Izmenchivost' nekotorykh izoantigennykh sistem krovi u nasileniya kavkasioni. Tbilisi. [Variability of some isoantigenic blood systems in the rape of Caucasians. Tbilisi].
- Chartolani, S.** (1996). dzveli svaneti. Tbilisi [Old Svaneti. Tbilisi].
- Dzhaparidze, O.** (1989) Na zare etnokul'turnoy istorii Kavkaza. Tbilisi. [At the dawn of the ethnocultural history of the Caucasus. Tbilisi].
- Jafaridze, O.** (1976). kartvel t'omta etnik'uri ist'oriis sak'itkhisatvis tbilisi: „TSU gamomcemloba“ [For the issue of ethnic history of Georgian tribes. Tbilisi: TSU Press].
- Krupnov, Ye.** (1964). Drevneyshaya kul'tura Kavkaza i Kavkazskaya etnicheskaya obshnost' (K probleme proiskhozhdeniya korennykh narodov Kavkaza) SA, 1. [The most ancient culture of the Caucasus and the Caucasian ethnic community (On the problem of the origin of the indigenous peoples of the Caucasus) CA, 1].
- Kvitsiani, Z.** (1997). sakartvelo-chrtiloet k'avk'asiis khalkhta k'ult'urul urtiertobata ist'oriisatvis (svaneti da q'aracha-balq'areti, k'ult'uris ist'oriis sak'itkhebi. III. Tbilisi: „TSU gamomtsemloba“. [For the History of Relations (Svaneti and Karachay-Balkar, Cultural History Issues. III. Tbilisi: TSU Press].
- Kvitsiani, Z.** (1998). sakartvelos cr. k'avk'asiis k'ult'urul urtiertobis Ist'oriisatvis k'oshk'uri
- Kvitsiani, Z.** (1999). k'oshk'uri k'ult'ura svanetsa da q'aracha-balq'aretshi. TSU k'rebuli „k'ult'uris ist'oriisa da teoriis sak'itkhebi“. V. Tbilisi: TSU gamomtsemloba. [Tower Culture in Svaneti and Karachay-Balkar. TSU Collection “Issues of Cultural History and Theory”. V. Tbilisi: TSU Press].

- Kvitsiani, z.** (2010). svanta (kartvelta) chr. k'avk'asiashi gansakhlebis erti sak'itkhisatvis. k'ult'urul-saist'orio dziebani. ak'ad. g. lortkipanidzis sametsniero moghvats'eobis 50 ts'listavisadmi midzghvnili k'rebuli. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [One case of the Svans' (Georgians) settling in the North Caucasus. Cultural-historical research. Acad. Collection dedicated to the 50th anniversary of G. Lortkipanidze's scientific activity. Cultural-historical research. TSU Press].
- Melikishvili, G.** (1965). sakartvelos k'avk'asiisa da makhlobeli aghmosavletis udzvelesi mosakhleobis sak'itkhisatvis. Tbilisi: „TSU gamomtsemloba“ [For the issue of the ancient population of the Caucasus and the Near East. Tbilisi: TSU Press].

განათლების ზოგიერთი საკითხისათვის
ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის
პუბლიცისტიკაში

CONCERNING SOME ASPECTS OF EDUCATION
IN THE LETTERS OF ILIA CHAVCHAVADZE AND
IAKOB GOGEBASHVILI

ხათუნა კალანდარიშვილი

Khatuna Kalandarishvili

ივანე ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
The Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, ეროვნული, ზნეობრივი,
გაერთიანება

Keywords: upbringing, national, moral, unification

მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ განათლების საკითხს. იმ პერიოდში, როდესაც ყველაზე მტკივნეულ პრობლემათა შორის იდგა ერის

განთვითეულებისა და დაყოფის პრობლემაც, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც ერის გაერთიანების ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებას. მხოლოდ განათლებას შეეძლო იმ სულიერ-ინტელექტუალური თუ ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევა, რომლებიც ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის დაახლოებას ელობებოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია ორი დიდი მოღვაწის – ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა, რომლის ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს განათლებისა და პედაგოგიკის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი მათი პუბლიცისტური წერილები წარმოადგენს.

მე-19 საუკუნის საქართველოში განათლების საკითხი ბევრი თვალსაზრისით იყო პრობლემური, რამდენადაც იმპერიული მმართველობა აქტიურად ცდილობდა მისით მანიპულირებას თავისი შორსმიმავალი მიზნების ასასრულებლად.

აქედან გამომდინარე, დიდი მოღვაწეების ნააზრევში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია, რომ განათლება ეროვნულ საძირკველს უნდა დაემყაროს. ეს არის პედაგოგიური მეცნიერების არსი საზოგადოდ და სწავლების საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით. პირველდაწყებითი ცოდნის გადაცემისას მთავარი იარაღი მშობლიური ენა, სამშობლოს ისტორია და ის გარემო უნდა იყოს, რომლის ნაწილიცაა თავად მოზარდი.

განათლების ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს ზნეობრივი აღზრდა წარმოადგენს. დიდი ილიას სიტყვით, სწორედ იგია ქვაკუთხედი, რომელიც საფუძველს უმაგრებს და სრულყოფილ შინაარსს აძლევს ქემბარიტ განათლებას – „უამისოდ სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა“ (ილია ჭავჭავაძე).

ეს ძირითადი ფაქტორები განაპირობებს განათლების ხარისხსა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომავლის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

- გოგებაშვილი, ი.** (1989). რჩეული თხზულებები, ტომი I, თბილისი: „განათლება“.
- ევგენიძე, ი., მინაშვილი ლ.** (2013). ქართული ლიტერატურა, II, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ჭავჭავაძე, ი.** (1987). რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ჭავჭავაძე, ი.** (2005). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი VII, თბილისი: „ილიას ფონდი“.

The 19th century Georgian figures were especially attentive to the state of education. During this period, when among some of the most painful problems there was an issue of division of the nation, education was extremely important as one of the first and the most practical ways of national unification. Only education could break down the spiritual-intellectual or psychological barriers that were preventing different parts of the Georgian society from uniting together.

From such a perspective the legacies of two prominent figures, Ilia Chavchavadze and Iakob Gogebashvili, stand out, the most important part of which is contained in their letters concerning education and pedagogy.

In the 19th century Georgia the state of education was quite problematic, since the imperial government was actively trying to manipulate it to achieve their long-term goals.

Therefore in the writings of prominent figures the importance of the fact that education should be based on national foundations is emphasized. This is the basis of pedagogical science in general, and especially in the initial stages. When sharing initial bits of knowledge the main weapons should be the national language, history, and the environment the child is a part of.

One of the most important aspects of education is moral upbringing. In the words of the great Ilia, this is the cornerstone that strengthens the basis and completes the essence of true education. “Without this learning and knowledge are vain treasures” (Ilia Chavchavadze).

These essential factors influence the depth of education and the formation of national identity, which holds the ultimate importance in the shaping of our own future.

References:

- Gogebashvili, I.** (1989). rcheuli tkhzulebebi, t'omi I, tbilisi: „ganatleba“. [Chosen Stories, vol. I, Tbilisi: “Ganatileba”].
- Evgenidze, I., Minashvili L.** (2013). kartuli lit'erat'ura, II, tbilisi: „sakartvelos matsne“. [Georgian Literature, II. Tbilisi: “Sakartvelos Matsne”].
- Chavchavadze, I.** (1987). rcheuli nats'armoebebi khut t'omad, t'omi IV, tbilisi: „sabch'ota sakartvelo“. [Chosen Works in Five Volumes, Vol. IV, Tbilisi: “Soviet Georgia”].
- Chavchavadze, I.** (2005). tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'omi VII, tbilisi: „ilias pondi“. [Complete Collection of Stories in Twenty Volumes, vol. VII, Tbilisi: “Ilia's Foundation”].

მშობლიური ენა და იაკობ გოგებაშვილი
THE NATIVE LANGUAGE AND IACOB GOGEBASHVILI

მაკა ლაბარტყავა
Maka Labartkava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: მშობლიური ენა, ეროვნება, განათლება,
ნორმა

Keywords: the native language, nationality, education, norm

იაკობ გოგებაშვილის შესახებ ნიკოლოზ კანდელაკი შენიშნავს: „XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის კორიფეების – ილიასა და აკაკის გვერდით იდგა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ფართო მიზნებით, იმედებითა და შემოქმედებით მიიკვლევდა ის მძიმე შრომისა და ბრძოლის გზას და საშვილიშვილოდ ტოვებდა სახელს შთამომავლობის სადიდებლად“ (კანდელაკი, 1990: 53). იაკობის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე მართლაც განუზომელია.

„ენა არსებითი ნიშანია ეროვნებისა“ – წერდა ილია ჭავჭავაძე. ენა და ერი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ: „ენას არა თუ უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, არამედ ენა თითქმის ყველაფერია. ის ერი არ არის, რომელსაც თავისი საკუთარი ენა არა აქვს... ენა სინონიმია ერისა“ („ივერია“ 1903: 172).

იაკობ გოგებაშვილისთვისაც ერი და ენა განუყოფელია: „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ერი ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია, თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებით, ერის აზროვნებაც წელში იმართება ძალ-ღონეს იკრეფს, აყვავების ხანა უდგება...“. მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ „ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა, ერთი მხრით, მის უფლებათა თეორიულ დასაბუთებას, მეორე მხრით, ბრძოლას ენის სინამდისათვის და, მესამე მხრით, ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის პოზიციურ საქმიანობას უმთავრესად სიტყვაკაზმული მწერლობის გზით“ (ძიძიგური, 1990: 97), რაც ილიასთან და აკაკისთან ერთად იაკობმაც მოახერხა და ქართული საერთო-სახალხო ენის ტრადიციების დამამშვენებლად იქცა.

გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებისათვის აუცილებელი წინაპირობაა: ქართული ენის შინაგანი კანონზომიერების გათვალისწინება, ერთიანი ენის შექმნის საჭიროება, ლიტერატურული ენის ხალხურობა და არქაული ენობრივი მოვლენების უკუგდება.

იაკობის მიერ შექმნილი წიგნები: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „დედა-ენა“, „ბუნების კარი“... მშობლიური ენის გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ზემოთ დასახელებულ უკვდავ სახელმძღვანელოებში გადაშლილია ქართული ენა მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მომხიბლაობით. შოთა ძიძიგურის აზრით, „მან თავის სახელმძღვანელოებს ენციკლოპედიური ხასიათი მისცა, მოზარდი თაობა ამ წიგნებით ეცნობოდა ბუნებისმეტყველებას, მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას“ (კანდელაკი, 1990: 81).

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ „მძიმე წლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების ფარ-ხმალს წარმოადგენდა“.

იაკობ გოგებაშვილს სწამდა, რომ ნაციონალური ძალის საძირკველი (პირველი ბურჯი) არის: „ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო...“

მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა. მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა.

მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია.

იაკობის მიერ ენის როლის ამგვარი წარმოჩენა ფაქტობრივ მოწოდებაა ქართული ენის სინმინდის დაცვისა, ქართული ენის უფლებების აღდგენისა; ქართული სალიტერატურო ენის წინააღმდეგ მიმართული ყოველივე ქმედების აღკვეთისაკენ. ესაა ფაქტობრივი საფუძველი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისა“ (გოგოლაშვილი, 2013 :65).

„სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში“ (გოგებაშვილი, 1955: 89). იაკობი ყველაფერს აკეთებს ეროვნული სკოლის საკეთილდღეოდ... ცნობილი პედაგოგი ქართული საერთო-სახალხო ენის ნორმებს ნერგავდა ახალ თაობაში, სკოლის საშუალებით ხელს უწყობდა ახალი ქართული ლიტერატურული ენის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის შეთვისებას და შესისხლხორცებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოსახლეობის ფართო ფენებში. იაკობის აზრით, მშობლიური ენის

შესწავლა „ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“ (კანდელაკი, 1990: 91).

იაკობ გოგებაშვილი – „ნარსულის შვილი, ანმყოს აღმზრდელი და მომავლის გადია“, მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით „ეროვნების ბურჯი“ – მშობლიური ქართული ენის დიდი მოამაგე და დამცველია...

ლიტერატურა:

გოგებაშვილი, ი. (1955). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IV. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

გოგოლაშვილი, გ. (2013). ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

გოგოლაშვილი, გ. (2018). „დედაენა“ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი. თბილისი: „დედაენა“.

კანდელაკი, ნ. (1990). იაკობ გოგებაშვილი, იაკობის სამრეკლო. თბილისი: „განათლება“.

ლეჟავა, ლ. (1989). ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

ძიძიგური, შ. (1990). იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა. თბილისი: „განათლება“.

Nikoloz Kandelaki remarks about Iacob Gogebashvili: “In the second half of the 19th century, a prominent Georgian teacher and public figure, Iacob Gogebashvili stood next to the leading figures of Georgian culture - Ilia and Akaki. With the help of great goals, hopes, and creativity, he paved the way of hard work and struggles and left a glorious name for his descendants” (Kandelaki, 1990: 53). Iacob’s deeds for the Georgian nation are truly immeasurable.

“Language is an essential sign of nationality” - wrote Ilia Chavchavadze. Language and nation do not exist without each other: “Language is not only the greatest and most important thing in the life of a nation, but it is

almost everything. A nation that does not have its own language is not a nation... A language is synonymous with a nation” (Iveria, 1903: 172).

For Iacob Gogebashvili, a nation and a language are inseparable: “The development of a nation directly depends on the development of a language. If a nation is stuck in one spot, it does not move forward and if the language goes backwards and becomes poorer, the thinking of the nation also decreases, it becomes weaker and poorer. If the language moves forward, it blossoms day by day, develops, enriches itself with forms, the thinking of the nation strengthens, the age of its prosperity comes”. He was well aware that “the establishment of the new Georgian literary language required, on the one hand, the theoretical substantiation of its rights and, on the other hand, the fight for the purity of the language, and using literary works for the establishment of the new literary Georgian” (Dzidziguri, 1990: 97), which Iacob managed to do together with Ilia and Akaki and became the decorator of the traditions of the common Georgian language. Gogebashvili believed that the necessary preconditions for the establishment of the new Georgian literary language were the consideration of the internal regularity of the Georgian language, the need to create a unified language, the popularity of the literary language and the denial of archaic linguistic phenomena.

The books created by Iacob, “The Georgian alphabet and the first reading book”, “The Mother Tongue”, “The Door to Nature”, etc. are of special importance for the enrichment and development of the native language. The Georgian language with all its diversity and charm is immersed in the above-mentioned immortal textbooks. According to Shota Dzidziguri, “he gave his textbooks an encyclopedic nature; the younger generation was acquainted with natural sciences, geography, history, literature, ethnography of their native country with the help of these books” (Dzidziguri, 1990: 81).

Arn. Chikobava notes that “during the difficult years, Iacob Gogebashvili’s “The Mother Tongue” and “The Door to Nature” were the pillars of the Georgian language and the shield of public education”.

Iacob Gogebashvili believed that the foundation of the national power (the first pillar) is: “the territory, the land and water, the homeland...

The second pillar for the revival of the nation is the mother tongue.

The third pillar of the nation’s success is its school.

The fourth pillar of a nation's success is the church.

Such a presentation of the role of a language by Jacob is a call for the protection of the purity of the Georgian language, the restoration of the rights of the Georgian language; the suppression of all actions against the Georgian literary language. This is the basis for the establishment of the unified literary Georgian language "(Gogolashvili, 2013: 65).

"Every language that does not reign in the family and school will die... Every language that reigns in the family and school will grow and get strength" (Iacob, 1955: 89).

Iacob did everything for the benefit of the national school. The famous teacher introduced the norms of the Georgian common language to the new generation, through the school he promoted the assimilation of the new Georgian literary language, grammar and lexical composition in different parts of Georgia and in the general population. According to Iacob, learning the mother tongue "connects the child with the soul and heart of the whole nation, with its long historical life and fills them with spiritual strength" (Dzidziguri, 1990: 91).

Iacob Gogebashvili, "a child of the past, educator of the present and protector of the future", with all his life and works, is "a pillar of the nation", a great supporter and protector of the native Georgian language.

References:

- Dzidziguri, Sh.** (1990). *iak'ob gogebashvili da kartuli ena. tbilisi: ganatleba*. [Iacob Gogebashvili and the Georgian Language. Tbilisi: "Ganatleba"].
- Gogebashvili, I.** (1955). *tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, IV. tbilisi: „tsu gamomtsemloba*". [The complete collection of works in ten volumes, IV. Tbilisi: TSU Press].
- Gogolashvili, G.** (2013). *kartuli salit'erat'uro ena, nark'vevebi. tbilisi: „tsu gamomtsemloba*". [The Georgian Literary Language, Essays. Tbilisi: TSU Press].
- Gogolashvili, G.** (2018). „*dedaena*" k'ult'uruli memk'vidreobis erovnuli dzegli. tbilisi: „*dedaena*". [“The Mother Tongue” – A National Monument of the Cultural Heritage. Tbilisi: “The Mother Tongue”].
- Kandelaki, N.** (1990). *iak'ob gogebashvili, iak'obis samrek'lo. tbilisi: ganatleba*". [Iacob Gogebashvili, Iacob's Bell Tower. Tbilisi: "Ganatleba"].

Lezhava, L. (1989). akhali kartuli salit'erat'uro enis normalizatsiis ist'oriidan, kartuli sit'q'vis k'ult'uris sak'itkhebi, IX. tbilisi: „tsu gamomtsemloba“. [From the History of Normalization of the New Georgian Literary Language. Issues of Georgian Speech Culture, IX. Tbilisi: TSU Press].

**იდეოლოგიური ასპექტები მოსწავლეთა
ესაეებში თსუ საბავშვო უნივერსიტეტის
უფროსკლასელთა საკონკურსო ნაშრომების
მიხედვით**

**IDEOLOGICAL ASPECTS IN THE PUPILS' ESSAYS
ACCORDING TO THE COMPETITION WORKS OF HIGH
SCHOOLERS OF TSU CHILDREN'S UNIVERSITY**

**მარინა ლომოური
ნინო პოპიაშვილი
გიორგი გრიგოლაშვილი
დემეტრე მოდებაძე**

**Marina Lomouri
Nino Popiashvili
Giorgi Grigolashvili
Demetre Modebadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: არგუმენტირებული ნაშრომი, მოსწავლეთა
ნაშრომები, იდეოლოგიური ასპექტები, განათლება
პანდემიაში, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი

Keywords: argumentative paper, student papers, ideological aspects,
education in pandemic, TSU Children's University

ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ გარკვეული კორექტივები შეიტანა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობაში, მაგრამ მოსწავლეებთან მუშაობა არ შეწყვეტილა. მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებსაც თსუ საბავშვო უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ატარებდა, 2021 წელს დისტანციურ ფორმატში ჩატარდა. ერთ-ერთი ასეთი იყო ესეების კონკურსი უფროსკლასელთათვის (მე-9 – მე-12 კლ.), რომელიც 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს მიეძღვნა. კონკურსის თემატიკა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებს მოიცავდა. კონკურსის დასკვნითი ეტაპი დისტანციურად, კონფერენციის ფორმატში, 25 მაისს Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტს – 2009/2010 სასწავლო წლიდან, როდესაც თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა საქმიანობა დაიწყო – 20-ზე მეტი ამ ტიპის კონკურსი აქვს ჩატარებული და გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ უფროსკლასელთა ესეებში შეიმჩნევა სტერეოტიპული მსჯელობებისა და მოსაზრებების მკვეთრი გავლენები, მათ შორის, პატრიოტული და იდეოლოგიური თემატიკის კუთხით. შეიმჩნეოდა პლაგიატის ნიშნებიც.

2021 წელს ჩატარებული კონკურსი წინა კონკურსებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ საკონკურსოდ სავალდებულო იყო მოსწავლეების ნაშრომებთან ერთად პედაგოგების დასკვნაც. უმრავლეს შემთხვევაში პედაგოგთა დასკვნებიც სტერეოტიპული იყო, მოკლებული ინდივიდუალურ ანალიზს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ესეც წერის თავისებურებებსა და იდეოლოგიურ ასპექტებზე თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული საკონკურსო ნაშრომების მიხედვით. ყურადღებას გავამახვილებთ მოსწავლეთა ნაშრომებსა და მასწავლებელთა დასკვნებს შორის არსებულ საერთო ასპექტებზე.

The epidemiological situation made some adjustments to the activities of TSU Children’s University, but the work with the pupils has never stopped. In 2021, a number of events conducted by TSU Children’s University over the

years were held in a distance format. One of them was an essay competition for high school students (grades 9-12), dedicated to May 26, the day of the proclamation of Georgia's independence. Competition topics included political, social and cultural issues in the period of the First Independent Republic of Georgia. The final round of the competition was held remotely, in a conference format, on May 25 using the Zoom platform.

TSU Children's University, since the 2009/2010 academic year, when TSU Children's University began its activities, has held more than 20 competitions of this type and acquired some experience. Based on the experience, it can be claimed that in the essays of high school students, one can notice an influence of stereotypical reasoning and opinions, including regarding patriotic and ideological themes. Signs of plagiarism were also found.

The competition, held in 2021, differed from the previous competitions in that the teachers' conclusions were mandatory along with the pupils' works. In most cases, teachers' conclusions were also stereotyped, lacking individual analysis.

In this paper, we will discuss the peculiarities and ideological aspects of writing essays according to the competition works held at TSU Children's University. We will pay special attention to common aspects, emerging in the pupils' works and the teachers' reviews.

იაკობ გოგებაშვილი და ქართული
ფოლკლორი

IAKOB GOGEBASHVILI AND GEORGIAN FOLKLORE

ხვთისო მამისიმედიშვილი

Khvtiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილი, ქართული ფოლკლორი,
საბავშვო ლიტერატურა

Keywords: Iakob Gogebashvili, Georgian folklore, children's literature

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ 60-იანელთა ყველა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების აქტიური მხარდამჭერი იყო იაკობ გოგებაშვილი. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი ქართული ფოლკლორის ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საქმეში, რადგან მანამდე საქართველოში ხალხური ტექსტების ჩანერისა და პუბლიკაციის თითქმის არანაირი გამოცდილება არ არსებობდა.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდი პედაგოგი, მწერალი და განმანათლებელი დაუცხრომლად იღვწოდა ქართული ზეპირსიტყვიერების პოპულარიზაციისთვის. ფოლკლორული შემოქმედებით იაკობ გოგებაშვილის დაინტერესებას თავისი მიზნები ჰქონდა: ქვეყანაში, სადაც რუსიფიკატორული რეჟიმი მძვინვარებდა, ერის კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად ფოლკლორი ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა და დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მის ეროვნულ კონსოლიდაციაში. მეორე მხრივ, ფოლკლორულ შემოქმედებას, რომელსაც ხალხის ზეპირი მეხსიერება ინახავდა, ჩანერისა და წერილობითი დაფიქსირების გარეშე, თანდათან დავიწყებისა და გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომაც, იაკობ გოგებაშვილი დაინტერესებული იყო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებითა და გამოცემით.

იაკობ გოგებაშვილი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობით საქმიანობაში. მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით პეტრე უმიკაშვილთან ერთად 1882 წელს შეადგინა პირველი სახელმძღვანელო-პროგრამა ფოლკლორის შემკრებთათვის, რომელიც თანამედროვე ფოლკლორისტიკაში აღიარებულ სტანდარტებსაც აკმაყოფილებს და, აქედან გამომდინარე, დღემდე არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა. პროგრამაში მისმა შემდგენლებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ხალხური ტექსტის ჩანერის პრინციპები, რის გამოც იგი ზეპირსიტყვიერების შემკრებთათვის ერთგვარ მეთოდურ სახელმძღვანელოდ იქცა. პროგრამა გმობდა ხალხური ტექსტების გადაკეთებასა და სტილიზებას, რომელიც დამკვიდრებული პრაქტიკა იყო XIX საუკუნის II ნახევრის ფოლკლორისტიკაში. პროგრამის მი-

ხედვით, ფოლკლორული ნიმუშები უნდა ჩაწერილიყო ისე, როგორც მთხრობელი წარმოთქვამდა. იაკობ გოგებაშვილი გუნდურობის პრინციპით ახორციელებდა თავის ფოლკლორისტულ საქმიანობას. ცნობილია, რომ ხალხური სიტყვიერების შემკრებთათვის გამოცემული პროგრამისა და ფოლკლორული მასალის ჩაწერის მეთოდების დამუშავებაში ილია ჭავჭავაძესაც მიუღია მონაწილეობა.

იმ დროს, როცა იაკობ გოგებაშვილმა „პროგრამა ხალხის სიტყვიერების შეკრებისათვის“ შეადგინა, მას უკვე ჰქონდა ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის საკმაო გამოცდილება, ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების გამოვლენისა და მოძიების საკუთარი მეთოდიკა. XIX საუკუნის 70-იან წლებში იაკობ გოგებაშვილს თავის მშობლიურ სოფელ ვარიანში ჩაუწერია ხალხური ლექსები და ზღაპრები, ფოლკლორის ნიმუშების მთელი კოლექცია, რომლებიც შემდეგ გარკვეული პედაგოგიური მიზანდასახულობით ბავშვებისთვის შედგენილ წიგნებში: „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ შეიტანა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერი ნიმუშების ე.წ. „პასპორტიზაციის“ საკითხი ოფიციალურად პირველად იაკობ გოგებაშვილმა წამოჭრა. მისი აზრით, ხალხურ ტექსტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა დართული ე. წ. „პასპორტი“ – კონკრეტული ცნობები ფოლკლორული ნაწარმოების შესახებ, სახელდობრ, მითითებული უნდა ყოფილიყო ხალხური ტექსტის ჩაწერის ადგილი, ჩამწერისა და მთხრობელის ვინაობა. იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ თავისი ბუნებით ანონიმურ ხალხურ ნაწარმოებს სწორედ ეს მონაცემები ანიჭებდა სანდოობასა და სამეცნიერო ღირებულებას, რადგან ზუსტი დოკუმენტაციის გარეშე ხალხური ტექსტი ავთენტური ვერ იქნებოდა. იაკობ გოგებაშვილი ასევე მოითხოვდა ხალხური ტექსტის მთქმელისა თუ შემსრულებლის პროფესიის დაფიქსირებას; მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა იმის აღნიშვნაც, იყო თუ არა მთხრობელი ფოლკლორული ნაწარმოების პროფესიონალი შემსრულებელი – მესტერი ან მეფანდურე. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის დროს ფოლკლორი ჯერ კიდევ იყო ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი. აქედან გამომდინარე, შემსრულებლის მხატვრული უნარების დაფიქსირება საშუალებას იძლეოდა, თვალი მიგვედევნებინა, როგორ განიცდიდა

შემოქმედებითი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანის ხელიდან გამოსული ზეპირი ტექსტი ფოლკლორიზაციას და როგორ ხდებოდა ის საერთო სახალხო, ანუ მთელი „Folk“-ის საკუთრება.

იაკობ გოგებაშვილმა ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნა საბავშვო ნაწარმოებები, რომლებიც ზეპირსიტყვიერ ნიმუშებთან ერთად „დედა ენის“ საკითხავ წიგნსა და „ბუნების კარში“ შეიტანა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პოპულარობა მეტწილად იმანაც განაპირობა, რომ მასში დიდი ადგილი ეთმობოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. იაკობ გოგებაშვილის მიერ შერჩეული ფოლკლორული მასალა, ერთი მხრივ, ადვილი გასაგები იყო ნორჩი მკითხველისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უყალიბებდა ბავშვებს ზნეობრივ-მორალურ ფასეულობებს, ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულს.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი, ი. (1940). რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტომი II, პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი: „სახელგამი“.

ჩიქოვანი, მ. (1956). ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

In the second half of the 19th century, Iakob Gogebashvili actively supported all of the significant cultural-educational initiatives of the prominent Georgians of the 1860s. His contribution to the collection and publication of the Georgian folklore specimens is particularly valuable, as, before him, there was hardly any practice of recording or publishing the folk texts in Georgia.

Iakob Gogebashvili, as a great teacher, writer and educator, worked tirelessly to popularize Georgian oral traditions. Iakob Gogebashvili's interest in folklore had certain reasons. In the country where the Russification regime raged, folklore was one of the most powerful tools to maintain the nation's cultural identity, and it played a big role in the spiritual life and national consolidation of the Georgian people. On

the other hand, the folklore, which was saved by the people orally, was threatened of being gradually forgotten and disappearing. Therefore, Iakob Gogebashvili was interested in collecting and publishing the specimens of Georgian oral tradition.

Right from the outset, Iakob Gogebashvili got actively engaged in the folkloristic and collection activities of the Society for the Spreading of Literacy among Georgians. On the instructions of the Society, in 1882, jointly with Petre Umikashvili, he compiled the first guiding instructions for those interested in folklore collection that meet even the recognized standards of modern folklore and, is, therefore, practically and scientifically valuable to date. The authors of the instructions laid out the principles of recording the folk texts, thus making the instructions a kind of a methodical guide for the collectors of oral traditions. The guide disapproved of the conversion and stylization of folk texts, which was an established practice in folklore studies in the second half of the 19th century. According to the guide, the folklore samples were to be recorded in the same way as narrated.

By the time Iakob Gogebashvili compiled “The guide to collect folk texts”, he had sufficient experience regarding recording the folkloristic texts and his method to identify and find oral patterns scattered among the people. In the 70s of the 19th century, Iakob Gogebashvili wrote down folk poems and fairy tales, the whole collection of folklore specimens, in his native village Variani, which he, for a certain pedagogical purpose, later included in his books for children: “The Mother Tongue” and “The Door to Nature”.

It may be said that Iakob Gogebashvili was the first to put the question of so-called “certification” of oral specimens of the Georgian folklore on the agenda. In his opinion, a folk text needed “a certificate”, i.e. specific data about the folklore work, in particular, the place of the text recording, the recorder and the narrator. Iakob Gogebashvili knew well that it was this data making the naturally anonymous folk specimens reliable and scientifically valuable, as, without the accurate documents, a folk text could not be authentic. Iakob Gogebashvili was also required to fix the profession of the folk text narrator/performer; he also considered it important to note if the narrator was a professional performer: a bagpiper or a mandolin player.

By using Georgian proverbs, Iakob Gogebashvili wrote tales for children, which he, together with oral folk specimens, included in the reading book of his “The Mother Tongue” and “The Door to Nature”. The popularity of “The Mother Tongue” by Iakob Gogebashvili was mainly caused by the fact that it contained a lot of specimens of Georgian folk literature. The folkloristic works chosen by Iakob Gogebashvili for his book were easy to understand for his little readers, on the one hand, and gave the children moral values and taught them how to love their homeland and people, on the other.

References:

- Chikovani, M.** (1956). kartuli khalkhuri sit'q'vierebis ist'oria. tbilisi: sametsniro-metoduri k'abinet'is gamomtsemloba. [History of the Georgian Folk Literature. Tbilisi: the Publishing House of the Scientific and Methodic Center].
- Gogebashvili, I.** (1940). rcheuli nats'erebi otkh t'omad, t'omi II, p'edagogiuri tkhzulebani. tbilisi: sakhelgami. [Selected Writings in 4 volumes, vol. II, Pedagogical works. Tbilisi: Sakhelgami].

კულტურული ტრანსფერის მეთოდოლოგია
და თანამედროვე ტრანსლატოლოგია

METHODOLOGY OF CULTURAL TRANSFER
AND TRANSLATOLOGY

ივანე მჭედელაძე

Ivane Mchedeladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა,
ტრანსლატოლოგია, კულტურული ტრანსფერი

Keywords: comparative literature, translatology, cultural transfer

მხატვრული თარგმანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ნაციონალური, ისე მსოფლიო ლიტერატურული პროცესის განვითარებაში, შესაბამისად მეტად აქტუალურია ამ პროცესებთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების განვითარებაც.

ტრანსლატოლოგია, როგორც თარგმანის შესახებ მეცნიერება, მულტიმეთოდოლოგიური კონცეფციების კონტექსტში იკვლევს თანამედროვემთარგმნელობითი ურთიერთობების პროცესებს. თავის მხრივ, ეს კონცეფცია ლიტერატურული კომპარატივისტიკის კვლევის საკითხიცაა. ფრანგი კულტუროლოგების მ. ესპანისა და მ. ვერნერის მიერ შემუშავებული ტერმინის – კულტურული ტრანსფერისთვის ამოსავალი ტრანსნაციონალური კონცეფცია კულტურული ზონა. ამ თვალსაზრისით შეისწავლება მთარგმნელობითი კონტაქტებისა და უცხო კულტურის რეცეფციის პრობლემები.

ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ყურადღება მახვილდება კულტურათშორისი გაცვლის პროცესში ტრანსფერის აგენტებზე. ესენი არიან ის ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც ხდება ერთი კულტურის შესახებ ცოდნის გადატანა და გავრცელება სხვა კულტურის სემიოტიკურ სივრცეში. აგენტებად გვევლინებიან მთარგმნელები და სხვა პერსონები, რომლებსაც შეუძლიათ შუამავლის მისიის განწევა. ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევებში მათ „შუამავლებსაც“ უწოდებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, კულტურული ტრანსფერის თეორია „სამი ძალის“ შესწავლაზე ამახვილებს ყურადღებას. ესენია: მოვლენა/პროცესები, ლიტერატურული ღიაობა და მიმღები-კულტურები, რომლებიც ამზადებენ საფუძველს გავლენისა თუ გადმოტანილი ტექსტის ახალი ნაკითხვისათვის.

ლიტერატურა:

ბუდნი, ვ. და ილნიცკი, მ. - Budnyy, V., Il'nyts'kyy, M. (2008).

Porivnyal'ne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychiy dim «Kyievo-Mohylyans'ka akademiya». [Будний, В., Ільницький, М. Порівняльне літературознавство. Київ: видавничий дім «Києво-Могилянська академія»].

გაფრინდაშვილი, ნ. (2020). შუამავლების როლი ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. მთარგმნელის დღისაღმის მიძღვნილი კრებული. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

სივაჩენკო, გ. - Syvachenko, H. (2019). Kul'turnyy transfer – nova metodolohiya komparatyvistyky. Slovo i Chas, 3 <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>. [Сиваченко, Г. Культурний трансфер – нова методологія компаративістики. Слово і Час, 3. <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>].

ტოპერი, პ. - Toper, P. (2000). Perevod v sisteme sravnitel'nogo literaturovedeniya. Moskva: Naslediye. [Топер, П. Перевод в системе сравнительного литературоведения. Москва: Наследие].

Literary translation plays an important role in the development of both national and world literary processes. Therefore, the development of scientific research related to these processes is also very important.

Translatology, as a science of translation, studies the processes of modern translation relations in the context of multi-methodological concepts. This concept is also a topic of interest of Literary Comparative Studies. French culturologists M. Espagne and M. Werner developed the term cultural transfer, for which the transnational concept is a cultural zone. The problems of translation contacts and reception of foreign culture are studied from this angle.

According to this methodology, the focus is on transfer agents in the process of intercultural exchange. These are the people through whose efforts the knowledge about one culture is transferred and disseminated in the semiotic space of another culture. Agents include translators and other persons who can act as intermediaries. They are also called “mediators” in the Study of Literary Relations.

According to the accepted opinion in the scientific literature, the theory of cultural transfer focuses on the study of the “three forces”. These are events/processes, literary openness, and how receiver cultures prepare the ground for an impact or a new reading of a transmitted text.

References:

- Budnyy, V., Il'nyts'kyy, M.** (2008). Porivnyal'ne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychi dim «Kyyevo-Mohylyans'ka akademiya». [Comparative literature criticism. Kyiv: Publishing house "Kievo-momylyanska akademya"].
- Gaprindashvili, N.,** (2020). shuamavlebis roli lit'erat'uruli urtiertobebis ganvitarebashi. mtargmnelis dghisadmi midzghvnili k'rebuli. tbilisi: tsu gamomtsemloba. [The role of mediators in the development of literary relations. A collection dedicated to the Translator's Day. Tbilisi: TSU Press].
- Syvachenko, H.** (2019). Kul'turnyy transfer – nova metodolohiya komparatyvistyky. Slovo i Chas, 3 <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>. [Cultural Transfer as a New Methodology of Comparative Research on the Cooperation of Cultures. Slovo i Chas, 3.] <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>.
- Toper, P.** (2000). Perevod v sisteme sravnitel'nogo literaturovedeniya. Moskva: Naslediye. [Translation in the system of comparative literature. Moskva: Naslediye].

**პოეტური თარგმანის თავისებურებები
(ოსიპ მანდელშტამის ლექსის „ფეოდოსია“
ქართული თარგმანის მაგალითზე)**

**PECULIARITIES OF POETIC TRANSLATION (ON THE
EXAMPLE OF THE GEORGIAN TRANSLATION OF OSIP
MANDELSTAM'S POEM "FEODOSIYA")**

ეკატერინე ნავროზაშვილი

Ekaterine Navrozashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პოეტური თარგმანი, ქართული თარგმანი,
ფეოდოსია, ოსიპ მანდელშტამი, ჯემალ აჯიაშვილი

Keywords: poetic translation, Georgian translation, Feodosiya, Osip
Mandelstam, Jemal Ajashvili

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფეოდოსია მრავალი მხატვრისა და მწერლის შემოქმედებით იმპულსად იქცა. მათ შორის ებრაული წარმოშობის რუსი მწერლის ოსიპ მანდელშტამისთვისაც. 1920 წელს მან ფეოდოსიას მიუძღვნა ლექსი «*Феодосия*», მოგვიანებით კი (1923-1924 წწ.) მოთხრობებში – «*Начальник порта*», «*Старухина птица*», «*Бармы закона*» – ამ ქალაქის ყოფა-ცხოვრება ასახა.

2004 წელს ქართველმა ებრაელმა პოეტმა და მთარგმნელმა, ჯემალ აჯიაშვილმა გამოსცა თარგმანების კრებული „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა შინ“. კრებულში შესულია იტალიელი, ინგლისელი, იაპონელი, გერმანელი და რუსი პოეტების, მათ შორის ოსიპ მანდელშტამის, ლექსების ქართული თარგმანები.

მოხსენებაში განვიხილავთ ოსიპ მანდელშტამის ერთი ლექსის „ფეოდოსია“ ჯ. აჯიაშვილისეულ თარგმანს. უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი საინტერესოდ იაზრებს ებრაელი პოეტის მხატვრულ სამყაროს. იცავს ორიგინალის ფორმას, სიღრმისეულად წარმოაჩენს მანდელშტამისეულ პოეტიკას, ქმნის დახვეწილ, მაღალპოეტურ რითმასა და ინარჩუნებს ორიგინალის ემოციასა და განწყობას. მიუხედავად ამისა, თარგმანში ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ლექსიკურ ტრანსფორმაციას (მნიშვნელობათა დიფერენციაციას, კონკრეტიზებას, განზოგადებასა და სრულ გარდაქმნას).

ჯემალ აჯიაშვილი გამოკვეთილად ინდივიდუალური სტილის მთარგმნელია, რაზეც არაერთხელ მიუთითებდნენ ქართველი მკვლევრები (დ. ფანჯიკიძე, კ. დანელია, გ. პეტრიაშვილი), მისი სტილის გამოძახილი ამ თარგმანშიც გვხვდება.

ლიტერატურა:

აჯიაშვილი, ჯ. (2004). „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა შინ“. თბილისი.

გაჩეჩილაძე, გ. (2014). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი.

თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დანელია, კ. (1998). პოეტური ენის სპეციფიკისათვის. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მანდელშტამი, ო. – Mandel'shtam, O.E. Feodosiya. Мандельштам, О.Э. Феодосия. https://rvb.ru/20vek/mandelstam/dvuhtomnik/01text/vol_1/01versus/0108.htm (10.10.2021).

ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჯამი, მ., ჯამი, ქ. (2003). თარგმანის ტექნიკა. <http://eprints.iliauni.edu.ge/171/1/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf> (10.10.2021).

In the early twentieth century, Feodosiya became an impetus for the creative work of many artists and writers. Among them was Osip Mandelstam, a Russian writer of Jewish descent. In 1920, he dedicated the poem Feodosiya to Feodosiya, and later (1923-1924) in the stories - Начальник порта, Старухина птица, Бармы закона (Harbor Master, Old Woman's Bird, Barmas of the Law) - reflected the life of this city.

In 2004, the Georgian-Jewish poet and translator, Jemal Ajiashvili, published a collection of translations, "In the Shadow of the Stars". The collection includes Georgian translations of poems by Italian, English, Japanese, German and Russian poets, including Osip Mandelstam.

In the presentation we will discuss one of Osip Mandelstam's poems "Feodosiya" translated by J. Ajiashvili. It should be noted that the translator has an interesting understanding of the artistic world of the Jewish poet, preserves the form of the original, deeply depicts Mandelstam's poetics, creates a subtle, highly poetic rhythm and maintains the emotion and mood of the original poem. Nevertheless, in translation we find different types of lexical transformations (differentiation of meanings, concretization, generalization and complete transformation).

Jemal Ajiashvili is clearly a translator of individual style, which has been repeatedly pointed out by Georgian scholars (D. Panjikidze, K. Danelia, G. Petriashvili). The echo of his style can also be found in this translation.

References:

Ajiashvili, J. (2004). „varsk'vlavta chrdilshi maghalta shina“. tbilisi. [“In the Shadow of the Stars”. Tbilisi].

Danelia, K. (1998). p'oet'uri enis sp'etsipik'isatvis. nark'vevebi kartuli samts'erlobo

enis ist'oriidan. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [For the Specifics of Poetic Language. Essays from the history of Georgian literary language. Tbilisi: TSU Press].

Gachechiladze, G. (2014). mkhat'vruli targmanis teoriis shesavali, tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Introduction to the Theory of Literary Translation. Tbilisi: TSU Press].

Jashi, M., Jashi, K., (2003). targmanis t'eknik'a. [Translation Technique]. <http://eprints.iliauni.edu.ge/171/1/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf> (10.10.2021).

Mandelstam, O. "Feodosiya". https://rvb.ru/20vek/mandelstam/dvuhtomnik/01text/vol_1/01versus/0108.htm

Panjikidze, d. (1988). targmanis teoria da p'rakt'ik'a. tbilisi: tsu gamomtsemloba. [Translation Theory and Practice. Tbilisi: TSU Press].

ქართული თარგმანების მნიშვნელობა
ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის
შესწავლისათვის

THE IMPORTANCE OF THE GEORGIAN TRANSLATIONS
FOR THE STUDY OF CHRISTIAN ARABIC HERITAGE

მარიამ ნანობაშვილი

Mariam Nanobashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული, არაბული, ქართული,
ლიტერატურა

Keywords: Christian, Arabic, Georgian, literature

საქართველოს უშუალო კონტაქტი ჰქონდა არაბულ სამყაროსთან 400 წელზე მეტი პერიოდით. თბილისი წარმოადგენდა საემიროს, რომელსაც ჯაფარიდები მართავდნენ. იმხანად არაერთი არაბული სიტყვა შემოვიდა ქართულში თარგმანების მეშვეობით, ასევე ისინი ნასესხები იყო არაბთაგან ქართველთა მიერ ზეპირი მეტყველების გზით. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არაბული ეპიგრაფიკული ძეგლები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მეფეთა მონეტებზე XI-XII საუკუნეებში წარწერები შესრულებული იყო არაბულ ენაზე. საქართველო ვრცლად ააღწერილი არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შრომებში. განათლებულმა ქართველებმა კარგად იცოდნენ არაბული. მათ ის არ მიაჩნდათ მხოლოდ ისლამური ცივილიზაციის ენად, რაც ნათლად ჩანს სინის მონასტერში აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებზე გაკეთებული არაბული მინაწერებიდან. იმ პერიოდის ქართველმა სასულიერო პირებმა კარგად იცოდნენ ქართული და არაბული ენები, ისევე როგორც ბერძნული.

ქართველებმა განსაკუთრებით აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეს VIII საუკუნეში, რაც ემთხვევა ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღმოცენებას. არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები ძირითადად ჩამოყალიბდა წმ. საბასა და წმ. ხარიტონის ლავრებში, ასევე ღვთისმშობლის მონასტერში სინაზე.

არაბულიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტთა შორის არის ჰგიოგრაფიული და ჰომილეთიკური თხზულებები, ასკეტიკური ძეგლები, ე.წ. „სწავლანი“, რომელთა ავტორები არიან: იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, ეფრემ ასური და სხვ. წინამდებარე ნაშრომში დანვრილებით იქნება გაანალიზებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, როგორებიცაა: „რომანოზ ახლის წამება“, „ანტონი რავახის ცხოვრება“, „ფსევდოდონისე არეოპაგელის ცხოვრება“, „პანსოფი ალექსანდრიელის წამება“, „ელიანოზის წამება“, „კვირიკეს ცხოვრება“. ზოგიერთ შემთხვევაში ამ თხზულებათა ბერძნული ან არაბული ვერსიები დაკარგულია (მაგალითად, „რომანოზ ახლის წამებისა“).

არაბულიდან ქართულად თარგმნის პროცესი ადასტურებს ქრისტიანული არაბული ლიტერატურის პრესტიჟულობას პალესტინაში. ქართულმა ვერსიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წმინდა მიწის მონასტრებში შექმნილ ლიტერატურაში აბასიანთა პირველ

საუკუნეში არაბული ენის გამოჩენის ისტორიის დადგენასა და შესწავლაში.

ლიტერატურა:

გარიტი, ვ. – Garitte, G. (1960). La prise de Jérusalem par les Perses en 614. CSCO, 202. Leuven. Peeters.

პეტერსი, პ. – Peeters, P. (1911). S. Romain le Néomartyr d'après un document géorgien. „Analecta Bollandiana”, 30. 393-427. Bruxelles. Société des Bollandistes.

პეტერსი, პ. – Peeters, P. (1914). L'autobiographie de S. Antonie le néomartyr. „Analecta Bollandiana”, Bruxelles. Société des Bollandistes.

პეტერსი, პ. – Peeters, P. (1951). Recherches d'histoire et de philologie orientales. Bruxelles. Société des Bollandistes.

Georgia had a direct contact with the Arab world for more than 400 years. Tbilisi was an emirate governed by the Jafarides. During that period, Arabic words took root in Georgian through translations. Together with this, Arabic words were adopted by the Georgians from oral speech. On the territory of Georgia, many Arabic inscriptions were found. It is also important that in the 11th and 12th centuries the names of the Georgian Kings on their golden coins were written in Arabic. Georgia is fully described by Arab historians and geographers. Educated Georgians knew Arabic very well. It was not regarded by them only as the language of Islamic civilization, as is proved by several Georgian manuscripts with additions and notes in Arabic, which were found in Sinai Monastery. The scribes of that period had perfect command of both (Georgian and Arabic) languages alongside Greek.

The Georgians began to develop their literary activities especially intensively from the 8th century, during the rise of Christian Arabic literature. The Arabic-Georgian literary contacts were mainly made in the monasteries of St. Sabas, St. Chariton and the monastery of the Mother of God at Sinai.

Among the texts translated from Arabic into Georgian, one can find hagiographical and homiletical works, ascetic monuments, the so-called

“teachings” by John Chrysostom, Basil the Great, Ephraim the Syrian and others. The present paper will deal in detail with the hagiographical works, The Martyrdom of Romanos the Younger, The Life of Anthony Ravach, The Life of Pseudo-Dionysios the Areopagite, The Martyrdom of Pansophius of Alexandria, The Martyrdom of Elianos, The Life of Kyriakos, etc. Sometimes the Greek or Arabic versions of these works are not known to the public (e.g. Vita of St. Romanos).

The translation from Arabic into Georgian proves the prestigiousness of Christian Arabic literature in Palestine. The Georgian versions played an important role in discovering the history of the appearance of the Arabic language in the literature of the Holy Land monasteries in the 1st Abbasid century.

References:

Garitte, G. (1960). La prise de Jérusalem par les Perses en 614. CSCO, 202. Leuven. Peeters.

Peeters, P. (1911). S. Romain le Néomartyr d’après un document géorgien. “Analecta Bollandiana”, 30. 393-427. Bruxelles. Société des Bollandistes.

Peeters, P. (1914). L’autobiographie de S. Antonie le néomartyr. “Analecta Bollandiana”, 33. 52-63. Bruxelles. Société des Bollandistes.

Peeters, P. (1951). K’vlevedi aghmosavlur ist’oriasa da pilologiashi [Recherches d’histoire et de philologie orientales]. Bruxelles. Société des Bollandistes.

უკრაინული მთარგმნელობითი სკოლა:
ისტორია და ტრადიციები

THE UKRAINIAN TRANSLATION SCHOOL:
HISTORY AND TRADITIONS

ნინო ნასკიდაშვილი

Nino Naskidashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მთარგმნელობითი სკოლა, რელიგიური
ლიტერატურა, თარგმანის რედაქტირება

Keywords: translation school, religious literature, translation editing

უკრაინული მთარგმნელობითი სკოლის ჩამოყალიბება კიევის რუსეთის პერიოდს უკავშირდება და ტრადიციულად რელიგიური ლიტერატურის თარგმანებით იწყება. რელიგიური ტექსტების თარგმნის აუცილებლობა გამოიწვია ახალი რელიგიის, ქრისტიანობის ფილოსოფიურმა დოქტრინამ, რომელსაც შემდეგ მოჰყვა წმინდანთა ცხოვრების, ქრონიკებისა და აპოკრიფების ძველი სლავური თარგმანები. მთარგმნელობითი საქმიანობის უმთავრეს კერად სამართლიანადაა მიჩნეული კიევო-მოგილას აკადემია, სადაც საფუძველი ჩაეყარა მთარგმნელობით ტრადიციას, პრაქტიკაში გამოიყენებოდა ანტიკური, მოგვიანებით კი დასავლეთევროპული თარგმანის თეორიები. მეოცე საუკუნის დასაწყისში თარგმანმცოდნეობა განიხილებოდა, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რაც საფუძვლად დაედო საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის ფართომასშტაბიან გავრცელებას. აღნიშნულმა განაპირობა თარგმანმცოდნეობის დისციპლინათშორის დარგად ჩამოყალიბება.

თანამედროვე უკრაინულ თარგმანმცოდნეობაში აქტიურად განიხილება უკრაინული თარგმანების ორიენტირების განსაზღვრის, საბჭოთა პერიოდის შედეგად ფორმირებული ბაზის განხილვის, თარგმანის თანამედროვე მეთოდების განცალკევებისა და თანამედროვე უკრაინული თარგმანების შეფასების საჭიროება. თარგმნის პროცესის მრავალკომპონენტურობიდან გამომდინარე, ასევე დიდი ყურადღება ექცევა თარგმნილი ლიტერატურის რედაქტირებისა და გამოცემის საკითხებსაც.

ლიტერატურა:

გავრილენკო, ო., ტიმოშკი, მ. - Havrylenko, O., Tymoshyk, M. (2012).

Problematyka suchasnykh vydan' perekladnoyi literatury v Ukraini.

[Gavrylenko, O., Timoshyk, M. Problems of modern editions of translated literature in Ukraine, 2012], (<https://core.ac.uk/download/pdf/153584082.pdf>).

კოპტილოვი, ვ. - Koptilov, V. (2002). Teoriya ta praktyka perekladu. navchal'nyy posibnyk, Kyiv, vydavnytstvo Yunivers [Koptilov, V. Theory and practice of translation. textbook, Kyiv, Univers Publishing House].

კორუნეცი, ი. – Korunets, I. (2003). Teoriya praktyka perekladu (aspektnyy pereklad). Vynnytsya, Nova knyha. [Korunets, I. Theory of translation practice (aspect translation). Vinnytsia, New Book].

პროკოპენკო, ა. – Prokopenko, A. (2018). Istoriya perekladu ta perekladats'koyi dumky: Anhliya, Nimechchina, Ameryka, Ukrayina. Sums'kyy derzhavnyy universytet, m. Sumy. [AV Prokopenko, History of Translation and Translation Thought: England, Germany, America, Ukraine. Sumy State University].

The establishment of the Ukrainian Translation School dates back to the period of Kievan Rus' and traditionally begins with the translation of religious literature. The need to translate religious texts was prompted by the philosophical doctrine of a new religion, Christianity, which was followed by the Old Slavic translations of the lives, chronicles, and Apocrypha of the Saints. The Kyiv-Mohyla Academy is rightly considered to be the main centre of translation, where the tradition of translation was founded and theories of ancient and later Western European translation were used in practice. At the beginning of the twentieth century, translation studies were considered a scientific and educational discipline, which was later followed by the widespread use of the Soviet translation school. This led to the transformation of translation studies into an interdisciplinary field.

Modern Ukrainian translation studies actively discusses the need to determine the orientation of Ukrainian translations, to consider the base formed as a result of the Soviet period, to separate modern translation methods, and to evaluate modern Ukrainian translations. Due to the multi-component nature of the translation process, great attention is also paid to the issue of editing and publishing translated literature.

References:

Havrylenko, O., Tymoshyk, M. (2012). Problematyka suchasnykh vydan' perekladnoyi literatury v Ukrayini, 2012, 3-6, [Gavrilenko, O., Timoshik, M. Problems of modern editions of translated literature in Ukraine], ([https:// core. ac. Uk /download / pdf / 153584082.pdf](https://core.ac.uk/download/pdf/153584082.pdf)).

- Koptilov, V.** (2002). Teoriya ta praktyka perekladu. navchal'nyy posibnyk, Kyiv, vydavnytstvo Yunivers. [Koptilov V. Theory and practice of translation. textbook, Kyiv, Univers Publishing House].
- Korunets, I.** (2003). Teoriya praktyka perekladu (aspektyny pereklad). Vynnytsya, Nova knyha, 280. [Korunets I. Theory of translation practice (aspect translation). Vinnytsia, New Book].
- Prokopenko, A.** (2018). Istoriya perekladu ta perekladats'koyi dumky: Anhliya, Nimechchina, Ameryka, Ukrayina. Sums'kyy derzhavnyy universytet, m. Sumy. [Prokopenko, A. History of Translation and Translation Thought: England, Germany, America, Ukraine. Sumy State University, Sumy].

**„საყველპურო“ – ენის ცოდნის საზომი XIX-XXI
საუკუნეების ქართულ დისკურსში**

**“Saqvelpuro” – THE MEASURE OF MASTERING THE
LANGUAGE IN THE GEORGIAN DISCOURSE OF THE 19TH
AND 21ST CENTURIES**

სალომე ოშიაძე

Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გლუტონიმები, სასაუბრო მეტყველება,
ტერმინოლოგიური მნიშვნელობა, ენის ფლობის
ელემენტარული დონე

Keywords: gluttonyms, colloquial speech, terminological meaning,
elementary level of language proficiency

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით (1960: 879-880), ლექსემა საყველპურო სასაუბრო მეტყველების ერთეულია და მისი გადატანითი მნიშვნელობა გახლავთ საყოველღეო, სახელდახელო. მნიშვნელობის გადატანის ექსტრალინგვისტური საფუძველი, ერთი შეხედვით, საგანგებო კვლევას არც მოითხოვს. ცნება საყოველღეოს გამოსახატავად კომპოზიტური დერივატის – საყველპუროს – შექმნა იმთავითვე გულისხმობს, რომ ენაში აღნიშნული ლექსემის გაჩენის დროს ყველი და პური ქართველთა ყოველდღიური საკვები უნდა ყოფილიყო.

ყველიცა და პურიც საუკუნეებით ადრე გაჩნდა ჩვენი კვების რაციონში, ვიდრე ლექსემა „საყველპურო“ ჩვენს მეტყველებაში, რასაც, სხვა არტეფაქტებთან ერთად, ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლებიც მოწმობს. იმავე ძეგლებში ყველი და პური შეწყვილებულია, ერთად იჭმება, ასევეა მომდევნო დროის ფოლკლორულ ნიმუშებსა თუ ახალ ლიტერატურულ ტექსტებში. სწორედ ამ ორი პროდუქტის გემოთა შეხამება დაედო საფუძვლად ქართულ დისკურსში ქალ-ვაჟის შესაფასებელ იმგვარ გამონათქვამს, როგორიცაა „ისე უხდებიან ერთმანეთს, როგორც ყველი და პური“. პურისა და ყველის მნიშვნელობაზე ჩვენს კვების კულტურაში ისიც მეტყველებს, რომ სხვადასხვა დროის ქართულში „პური“ და „ყველ-პური“ საკვების, საზრდოს ზოგად აღმნიშვნელებად გამოიყენება.

ყველი და პური ხშირად გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში ღარიბულ საგზლად, საუზმედა თუ სამხარ-ვახშმად. არცთუ უხვი სუფრის გამო ერთგვარ მობოდიშებად დღესაც გაიგონებთ მასპინძლისაგან ქართულ ხალხურ ანდაბას: „ყველი და პურიო – კეთილი გულიო“. სწორედ აღნიშნულმა გარეუბორივმა ფაქტორმა განაპირობა ის, რომ მსაზღვრელმა საყველპურომ შემდეგი მნიშვნელობები განივითარა: ‘სულ ცოტა’, ‘მცირედი’, ‘უბრალო’, ‘ადვილი’, ‘ელემენტარული’, რომლებიც მოხმობილი რიგითობით არის წარმოდგენილი თედო სახოკიას ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში (1979: 558).

XIX-XXI საუკუნეების ქართულ დისკურსზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში „საყველპურო“ „ცოდნის“ მსაზღვრელია და ეს ცოდნა, თავის მხრივ, უმეტესად ენის ცოდნას გულისხმობს. შედარებით მცირეა, მაგრამ საინტერესოა

კონტექსტები, რომლებშიც განსახილველი მსაზღვრელი მშობლიურ ენას მიემართება. ამ ტიპის მაგალითები ორ ჯგუფად შეგვიძლია გავყოთ. ერთ შემთხვევაში „საყველპურო ქართულით“ საუბარი მშობლიური ენის დავინყებას გულისხმობს, რაც ქართველის უცხო ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრებით ან მშობლიურ მხარეში, მაგრამ უცხოენოვან გარემოში ყოფნითაა გამოწვეული: „გარემოებამ ორჯერ გამარუსა, ისე დამავინყა ქართული, რომ საყველპუროც ძლივსლა მესმოდა“ (ჯავახიშვილი, 1959: 361); მეორე შემთხვევაში კი „საყველპურო ქართული“ მეტყველების კულტურის დაბალი დონის აღსანიშნავად იხმარება (რადიორეპორტაჟიდან: „როდემდე უნდა ვისმინოთ ჟურნალისტების საყველპურო ქართული?!“).

გამოყენების სიხშირით განხილულ შემთხვევებს ბევრად აღემატება ის კონტექსტები, რომლებშიც „საყველპურო“ რომელიმე კონკრეტული უცხო ენის მსაზღვრელია, მაგალითად, საყველპურო რუსული / ინგლისური / გერმანული / ფრანგული / ბერძნული და სხვ. დავიმოწმებთ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს, რათა უფრო თვალსაჩინო გავხადოთ სწორედ ის სემანტიკური სხვაობა, რომელსაც მსაზღვრელი „საყველპურო“ უცხო ენის სახელმძღვანელო ლექსემასთან შეწყვილებისას გამოხატავს: „ბისმარკი პეტერბურგში ელჩად ყოფნის დროს ბევრი ეცადა შეესწავლა რუსული ენა, ცალკე მასწავლებელიც დაიქირავა; მაგრამ საყველ-პურო რუსულის იქით ვერ წავიდა“; „რაც შეეხება რუსულ ენას, ეს სკოლები [ქართველ ბავშვებს] შესძინებენ მხოლოდ საყველ-პურო ლაპარაკსა და მისცემენ შეძლებას, რომ რომელიმე მარტივი განცხადება რუსულს ენაზედ გაიგონ და გააგებინონ გლეხებს“ (გოგებაშვილი, 1895: 29).

ლექსიკონებში სასაუბრო მეტყველების ერთეულად შეფასებული „საყველპურო“ XXI საუკუნის მედიის ენასა თუ მხატვრულ ტექსტებშიც ხშირად გვხვდება და ამ კვების სფეროდან მომდინარე (გლუტონიმთაგან ნაწარმოებ) ერთეულს საუკუნე-ნახევარზე მეტია, რაც ქართულ დისკურსში სწორედ ისეთივე ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს, როგორც „ენის ფლობის ელემენტარულ დონეს“ თანამედროვე ენების დიდაქტიკაში.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი, ი. (1895). ხალხის განათლების შესახებ. მოამბე, XI. ტფილისი: „ნიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“.

სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: „მერანი“.

შარაძენიძე, თ., მესხიშვილი, მ. (რედ.) (1960). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, VI. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ჯავახიშვილი, მ. (1959). როგორ ვმუშაობ, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

According to the Explanatory Dictionary of the Georgian Language (1960: 879-880), the lexeme “saqvelpuro” belongs to the colloquial style of language and its figurative meaning is “everyday”, “survival”. The extralinguistic basis for the transfer of meaning does not, at first glance, require any special research. The concept of creating a composite derivative to express everyday, basic, “saqvelpuro”(the word in Georgian is composed of two words: “qveli” – “cheese” and “puri” “bread”)– automatically implies that cheese and bread must have been the daily food of Georgians at the time of the coinage of the mentioned lexeme.

Cheese and bread appeared in our diet centuries before the lexeme “saqvelpuro” entered our speech, which, along with other artefacts, is evidenced by the ancient written monuments of the Georgian language. In the same monuments, as well as in later folklore specimens or new literary texts cheese and bread are paired, and eaten together. The combination of these two products formed the basis of the expressions in Georgian discourse that figuratively assess whether a woman and a man suit each other, such as “they suit each other like cheese and bread”. The importance of bread and cheese in our food culture is also indicated by the fact that in Georgian at different times “puri” (“bread”) and “qvel-puri” (“cheese-bread”) were used as general terms for staple food.

Cheese and bread are often found in Georgian folk tales and works of art to denote scanty breakfast or dinner. You can still hear the Georgian folk proverb from the host: “Cheese and Bread – Kind Heart” as an apology

because of the “not-so-rich table”. It was this external factor that caused the adjective “saqvelpuro” to develop the following meanings: ‘the least’, ‘small’, ‘simple’, ‘easy’, ‘elementary’, which are presented in the same order in Tedo Sakhokia’s “Figurative Dictionary” (1979: 558).

Observations on the Georgian discourse of the 19th-21st centuries have revealed that in the vast majority of cases, “saqvelpuro” is the definition of “knowledge” and this knowledge, in turn, largely implies the knowledge of the language. Relatively small but interesting are the contexts in which it addresses the native language. Examples of this type can be divided into two groups. In one case, speaking “saqvelpuro Georgian” means forgetting one’s mother tongue, which is caused by a Georgian living abroad for a long time or living in their own country, but being in a foreign language environment: “The environment turned me into a Russian twice, it made me forget Georgian so much that I barely understood “saqvelpuro Georgian” (Javakhishvili, 1959: 361). In the second case, “saqvelpuro Georgian” is used to denote a low level of speech culture (from the radio report: “How long should we listen to the journalists’ saqvelpuro Georgian?!”).

The cases in which “saqvelpuro” is used with a word denoting a particular foreign language far exceed the contexts mentioned above, for example, saqvelpuro Russian / English / German / French / Greek, etc. The following words by Iakob Gogebashvili make the semantic difference that the adjective “saqvelpuro” expresses when paired with a word denoting a foreign language more visible: “Bismarck, when an ambassador in Petersburg, tried to learn Russian, he even hired a tutor; But his Russian could not go beyond saqvelpuro”; “As for the Russian language, these schools will only teach a saqvelpuro language [to Georgian children] and they will only be able to understand simple statements in Russian so that they can make the peasants understand” (Gogebashvili, 1895: 29).

“Saqvelpuro”, which is considered as a unit of colloquial speech in dictionaries, is often found in the 21st-century media language or fiction, and the unit derived from food (based on gluttonyms) has been used for more than 150 years and reveals the same meaning in Georgian discourse as the “elementary level of language proficiency” in the didactics of modern languages.

References:

- Gogebashvili, I.** (1895). khalkhis ganatlebis shesakheb. moambe, XI. t'pili: „ts'ignis gamomtsemel kartvelta amkhanagoba“. [On the Education of the People. Moambe, XI. Tbilisi: “Partnership of Georgian Book Publishers”].
- Javakhishvili, M.** (1959). rogor vmushaob, rcheuli tkhzelebani ekvs t'omad, II. tbilisi: „sabch'ota sakartvelo“. [How I work, Selected Works in Six Volumes, II. Tbilisi: “Soviet Georgia”].
- Sakhokia, T.** (1979). kartuli khat'ovani sit'q'va-tkmani. tbilisi: „merani“. [Figurative Dictionary, Tbilisi: “Merani”].
- Sharadzenidze, T., Meskhishvili, M. (Ed.)** (1960). kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni, rvat'omeuli, VI. tbilisi: „sakartvelos sss metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba“. [The Explanatory Dictionary of the Georgian Language, Eight Volumes, VI. Tbilisi: “Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR”].

ეპისტოლეთა ენის სტილისტიკა და
თვისებრივი ცვლილება ბაგრატოვანთა
მიმართ გამოყენებულ მიმართვებში
(იონა ხელაშვილის საარქივო მასალის
მიხედვით)

STYLISTICS OF EPISTOLARY LANGUAGE
AND QUALITATIVE CHANGE
IN THE ADDRESSES INTENDED FOR THE BAGRATIONIS
(ACCORDING TO THE ARCHIVAL MATERIAL
OF IONA KHELASHVILI)

ინგა სანიკიძე
Inga Sanikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნე, ეპისტოლეები, მიმართვის
ფორმები, ენობრივი სპეციფიკა

Keywords: 19th century, correspondence, address forms, language
specificity

ეპისტოლარული ჟანრის ტექსტთა არალინგვისტურ ფაქტორად წერილის ადრესატის განსაზღვრულობა, ანუ ვერბალური მასალის კონკრეტულ პირამდე მიტანის აუცილებლობა გვევლინება. სწორედ ეს განაპირობებს მასალის ხასიათსა და გარეგან ფორმას. მიმოწერა სრულიად განსხვავებული დიალოგური კომპოზიციისაა, რომელიც ნაწილებად დაშლილი მონოლოგის ფორმას იღებს. ამასთან, ნებისმიერი კორესპონდენცია ენობრივ-შინაარსობრივად ქრონოსის ჩარჩოში ზის და ფართო მკითხველისათვის გაუმიზნავი ტექსტი მეტი ენობრივი თავისუფლებით გამოირჩევა.

ძიების ფოკუსში იონა ხელაშვილის [1772-1837წ.წ.] ეპისტოლარული არქივი მოექცა, რომელიც კარგად წარმოაჩენს XIX საუკუნის დასაწყისის ქართული ენის მდგომარეობასა და იმ ეთიკურ ნორმებს, რომლებიც დასახელებული ეპოქისათვის იყო ნიშანდობლივი. მეცნიერული მსჯელობა მიმართვის ფორმებს შეეხება, რადგან მიმართვა, როგორც კომუნიკაციის წამომწყები ვერბალური კარიბჭე, მონოლოგური ტექსტის სათავეში ექცევა და არამხოლოდ მონოლოგის ავტორის მოსაუბრე პირთან დამოკიდებულებას გამოხატავს, არამედ მისი ენობრივი ფორმულირება კულტურული ეტიკეტის დაცვითაა შეპირობებული. იონა ხელაშვილის ეპისტოლეები ენის სირთულით გამოირჩევა და არსებითად ფსევდოარქაული ენობრივი ფორმებით ხასიათდება [მაგ., „უგანათლებულესო მეფის ძეო გრიგორი!“ / „უგანათლებულესო მეფის ძეო ილია!“ და მისთ.].

რა განაპირობებს მიმართვის ფორმულებში ფიქსირებული განსაზღვრების - უგანათლებულესო'ს - ექსკლუზიურობას? ის მხოლოდ „მეფის ძეთა“, ანუ ბაგრატიონთა სამეფო შტოს შთამომავალთა, ტიტულის შემადგენელია და მას იონა ხელაშვილი ფაქტობრივი უგამონაკლისობით ბატონიშვილთა მიმართ მოიხმარს. როგორც ჩანს, ასეთ მიმართვებს ბაგრატიონთა სამეფო უპირატესობა შეაპირობებს. მიმართვის ფორმები გაცილებით „რბილდება“ და რამდენადმე ინტიმურ-ფამილარულ სახეს იღებს, როცა სოლომონ დოდაშვილისადმი დაწერილი კორესპონდენციების კითხვას ვიწყებთ [მაგ., „სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანესო!“].

ბაგრატიონთა სამეფო სახლის სუბიექტთა ტიტულატურის, მათი ღირსებისა თუ წოდების გამომხატველი მიმართვის იონასეული ვერსიის მიღმა რუსული ენისა თუ ეთნოკულტურის გავლენა

იკითხება. ცხადია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად იცვლება ქართველთა ისტორიული სოციოდინამიკა. ქართველ ბაგრატოვანთა რუსეთში გადასახლებამ და სამეფო სახლის შვილთა რუსულ საიმპერატორო კარზე იძულებითმა მოღვაწეობამ მათივე „ახალ“ ტიტულში მოქცევის აუცილებლობა გამოიწვია, რამაც ქართული ტრადიციული დამოკიდებულებისა და ქცევითი ფორმის სახეცვლილებას შეუწყო ხელი. ეს ისტორიული ფაქტი იმპერიაში მიგრირებულ ქართველ ბაგრატიონებსა თუ მათ ამაღლას აიძულებდა, ფორმალურ დონეზე მაინც შეენარჩუნებინათ ბაგრატოვანთა გვაროვნობის უპირატესობა, რაც ტიტულატურ მიმართვებშიც აისახა. რუსული ენის მიმართვის ფორმების - „თქვენო ბრწყინვალეობავ“ [Ваше сиятельство], „თქვენო უმაღლესობავ“ [Ваше высочество] - ადგილი რუსული ეთნოკულტურაში ძვეს და არა - ქართულში, რომელიც ამგვარ ფორმებს 1801 წლის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ეპოქამდე არ იცნობდა.

ამგვარად, იონა ხელაშვილის ბატონიშვილთა მიმართ დაწერილი კორესპონდენციების მიმართვები, მათი ეპითეტური ფორმულირება, რიგით თუ სტანდარტულ ფორმებად არ უნდა შეფასდეს. ისინი ეპოქის სათქმელს ამბობენ და შეიძლება რამდენადმე რუსული ენის კალკს არიან დაქვემდებარებულნი, მაგრამ თავიანთი შინაარსით მცირეოდნად მაინც აყალიბებენ ეროვნულ საზრისს.

ლიტერატურა:

დედაბრიშვილი, გ. (2000). წინასიტყვაობა. იონა ხელაშვილის

ეპისტოლარული არქივი (1809-1835 წ.წ.). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

კორპუსი (1984). 1170 - სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი. „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, 1. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

რუსთაველი, შ. (1966). „ვეფხისტყაოსანი“; საიუბილეო გამომცემა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

სურგულაძე, მ. (1995). ბაგრატიონთა სამეფო სახლი. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“.

შარაძენიძე, თ. (1974). ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ცხოვრება... (1946). ცხოვრება გრიგოლ ხანძთლისაჲ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, 1. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხელაშვილი, ი. (2020). იონა ხელაშვილის ეპისტოლარული არქივი (1809-1835 წ.წ.). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

The definiteness of the addressee or the need for the delivery of the verbal material to a particular person represents a non-linguistic factor of texts of the epistolary genre. This is what determines the nature and the external form of the material. Correspondence is a completely different composition of dialogical character which takes a form of a monologue that is divided into parts. In addition, any correspondence is within the framework of linguistic-contextual Chronos and the text that is not intended for a wider audience is distinct due to its greater linguistic freedom.

The focus of our study lies in the examination of the epistolary archive of Iona Khelashvili [1772-1837], which thoroughly demonstrates the state of the Georgian language in the early 19th century as well as those ethical norms characteristic to the above-mentioned period. The scholarly discussion is concerned with the forms of address, since an address, as a communication starter verbal opening, appears at the beginning of a monologic text and not only expresses the attitude of the author of the monologue to the addressee but also determines the way its language is formulated through the compliance with the cultural etiquette. The correspondence by Iona Khelashvili is distinguished by the complexity of its language and is essentially characterized by pseudo-archaic language norms [for instance, “Your Royal Highness, Prince Grigory!” / Your Royal Highness, Prince Ilia! and so on].

What determines the exclusive character of the attribute – Your Royal Highness – attested in address formulas? It is a constituent of the title of only Princes or descendants of the branch of the Bagrationi dynasty, and Iona Khelashvili applies it without exception when addressing Princes. Apparently, such addresses are determined by the royal supremacy of the Bagrationi family. The address forms significantly soften and become somewhat intimate and unceremonious when reading the correspondence

addressed to Solomon Dodashvili [for instance, “my spiritual son, Solomon, son of Ioane!”].

The influence of the Russian language or ethnic culture could be identified behind Iona Khelashvili’s version of addresses expressing the titles of subjects of the Bagrationi royal house and their honour or title. The historical sociodynamics of the Georgians undergoes significant changes at the beginning of the 18th century. The exile of the Georgian Bagrationis to Russia and forced careers of sons and daughters of the royal house at the Russian Imperial court led to the need for them to acquire a “new” title. This contributed to changes in the traditional Georgian attitude as well as the form of conduct. The very historical fact forced the Georgian Bagrationis or their accompanying persons, who immigrated to the Empire, to maintain the supremacy of the Bagrationi descent, at least, formally, which has been reflected in titular address forms. The Russian address forms – “Your Grace” [Ваше сиятельство], “Your Highness” [Ваше высочество] belong to the Russian, rather than Georgian ethnic culture which was not acquainted with such forms prior to the 1801 annexation of Georgia by Russia.

Thus, the address forms in the correspondence by Iona Khelashvili to Batonishvili (Princes), their epithet formulation should not be regarded as ordinary or standard forms. They convey the message of the era and maybe somewhat subordinate to the Russian calque, however, through their content, they, at least, slightly form the national thought.

References:

- Corpus** (1984). 1170 - sigeli giorgi mepisa mghvimsadmi. „kartuli ist’oriuli sabutebis k’orp’usi“, 1. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. [1170 - Royal Charter Issued by King George to Mghvime Monastery. “Corpus of Georgian Historical Documents”, 1. Tbilisi: Publishing House “Metsniereba”].
- Dedabrishvili, G.** (2000). ts’inasi’t’q’vaoba. „iona khelashvilis ep’ist’olaruli arkivi (1809-1835 ts’ts’t.)“. tbilisi: tsu gamomtsemloba. [Foreword. “Epistolary Archive of Iona Khelashvili (1809-1835)”. Tbilisi: TSU Press].
- Khelashvili, I.**, (2020). iona khelashvilis ep’ist’olaruli arkivi (1809-1835 ts’ts’t.). tbilisi: tsu gamomtsemloba. [Epistolary Archive of Iona Khelashvili (1809-1835). Tbilisi: TSU Press].

- Rustaveli Sh.** (1966). „vepkhist'q'aosani“, saubileo gamotsema. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“. [“The Knight in the Panther's Skin”, the anniversary edition. Tbilisi: Publishing House “Soviet Georgia”].
- Sharadzenidze, T.** (1974). enisa da met'q'velebis urtiertobis p'roblema. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. [The Problem of Relationship between Language and Speech. Tbilisi: Publishing House “Metsniereba”].
- Surguladze, M.** (1995). bagrat'ionta samepo sakhli, tbilisi: gamomtsemloba „k'andeli“. [The Royal House of Bagratoni. Tbilisi: Publishing House “Kandeli”].
- Tskhovreba...** (1946). tskhovreba grigol khandztlisaq. „dzveli kartuli lit'erat'uris krest'omatia“, 1. tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Life of Gregory of Khandzta. “The Chrestomathy of Ancient Georgian Literature”, 1. Tbilisi: TSU Press].

სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“ –
ბარათაშვილის პოეტური ბიოგრაფიის ცდა
SIMON CHIKOVANI'S "GANJA DIARY" - AN ATTEMPT FOR
BARATASHVILI'S POETIC BIOGRAPHY

თეა სუმბაძე

Tea Sumbadze

წმიდა ანდრეას სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Georgian University of Saint Andrew

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი
Faculty of Humanities and Law

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, სიმონ ჩიქოვანი,
ნიკოლოზ ბარათაშვილი

Keywords: Georgian literature, Simon Chikovani, Nikoloz Baratashvili

„განჯის დღიური“ არის ციკლი ლექსებისა, რომლებშიც სიმონ ჩიქოვანმა გააცოცხლა ბარათაშვილის პოეტური ბიოგრაფია. ეს პოემა ავტორმა შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულს შექმნა. „განჯის დღიური“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ 1964 წელს. სრული სახით გამოცემულია ცალკე წიგნად 1966 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში. „განჯის დღიური“ პოემის ჟანრს მიეკუთვნება და, ამავე დროს, ახლოს დგას ლექსების ციკლთან. ჩიქოვანი ერთ-ერთი პირველია, ვინც საფუძველი დაუდო ლირიკული პოემის ტრადიციას.

„განჯის დღიურში“ ცოცხლდება ბარათაშვილის სულიერი და პოეტური სამყარო, ოჯახური და სამსახურებრივი მოვლენები. პოემაში მოქცეული ლექსები თითქმის სრულად ასახავენ ბარათაშვილის ბიოგრაფიულ ცხოვრებას. პოემის ლექსების სათაურებიც მიგვანიშნებს ამაზე: „წინათქმა“, „სიმღერა სინანულისა“, „ქართლში დავკარგე“, „დასჯილი“, „მემკვიდრის ვარამი“, „პირველი ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „გონჩა-ბეგუმის სიმღერა“, „პირველი ბარათი სატრფოსადმი მიწერილი“, „მეორე ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „უცხო საყურე“, „სოფლის სამდურავი“, „სიყვარულის სიმღერა“, „ოცნება თბილისზე“, „ქალაქგარეთ გასეირნება“, „ცხელება“, „მოთქმა განჯაში“, „ნინო“, „უკანასკნელი ღამე“, „გამოთხოვება“...

პოემის ცენტრში დგას ლირიკული გმირი, ბარათაშვილი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ჩიქოვანის პოეტური ფიქრები. იგი წარმოსახვით აცოცხლებს ბარათაშვილის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს, განსაკუთრებული სიმძაფრით აშუქებს მის სულიერ ობლობას, ახდენს ინტერპრეტირებას ბარათაშვილის შემოქმედებითი სამყაროსი.

„განჯის დღიურს“ აერთიანებს ერთი საერთო მოტივი, ესაა სევდის მოტივი. ბარათაშვილის სულიერი სევდა შინაარსობრივი და თემატური თვალსაზრისით კრავს და ამთლიანებს ნაწარმოების მიზანდასახულობას. პოემაში რამდენიმე ქვეთემა გამოიყოფა: სევდიანი სიყვარულის, წუთისოფლის სამდურავის, მარტოობა-მიუსაფრობის.

სიმონ ჩიქოვანისთვის მთავარი წყარო პოემის შექმნისას იყო „მერანის“ ავტორის პოეზია და მისი პირადი წერილები.

ბარათაშვილის პირადი წერილების გამოცხილია ჩიქოვანის ლექსები: „პირველი ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „მეორე ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „გონჩა-ბეგუმის სიმღერა“. საოცრად პოეტურია მაიკოსადმი მიწერილი ბარათები. როგორც ვიცით, მაიკო ორბელიანი იყო ბარათაშვილის თანატოლი, მასთან შეზრდილი და მისი სულიერი მეგობარი. მხოლოდ მასთან შეეძლო დაუფარავად ესაუბრა სულიერ მარტოობაზე და ტკივილიანი დარდები განექარვებინა.

ჩიქოვანი ბარათაშვილის ცხოვრების შესახებ ცნობებს იყენებს იონა მეუნარგიას ვრცელი მონოგრაფიიდან „ცხოვრება და პოეზია ბარათაშვილისა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1893 წელს. ეს იყო იმდროისათვის პირველი სერიოზული მონოგრაფია ბარათაშვილზე. იონა მეუნარგია დაწვრილებით გვესაუბრება ბარათაშვილის ცხოვრების ბიოგრაფიულ დეტალებზე: მის წარმომავლობაზე, სწავლა-განათლებაზე, ცხოვრებისეულ ბედუკუღმართობაზე.

ჩიქოვანი კარგად იცნობდა, აგრეთვე, პავლე ინგოროყვას ვრცელ მონოგრაფიულ კვლევას „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც გამოქვეყნდა 1969 წელს. ინგოროყვა ცდილობს, მაქსიმალურად აღადგინოს ბარათაშვილის ცხოვრების ბიოგრაფიული დეტალები და შემოქმედებითი ნიუანსები.

„განჯის დღიური“ თითქოს მართლაც ბარათაშვილის დღიურის ჩანაწერებია, მისი სულიერი ვითარების ამსახველი დოკუმენტია. სადაც თავის პიროვნულ მსაჯულს, საკუთარ თავს, საკუთარ სინდისს ესაუბრება პოეტი. მართალია, მთავარი წყარო სიმონ ჩიქოვანის შთაგონებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ახლობლების მოგონებანი და მისი პირადი წერილებია, რომელთა ცალკეული მოტივი თუ მხატვრული ანტურაჟი გაიელვებს „დღიურის“ ფურცლებზე, მაგრამ მასში ძირითადი მაინც სიმონ ჩიქოვანის მხატვრული წარმოსახვის შედეგად შექმნილი სახეებია.

ჩიქოვანმა „განჯის დღიურში“ ახალი ფორმით წარმოადგინა სიმწიფის ხანაში შექმნილი ნაწარმოებების ცალკეული ფრაზები და მხატვრული სახეები. განსაკუთრებით ეს ითქმის ბარათაშვილის პოეზიით შთაგონებულ პოემაზე „ფიქრები მტკვრის პირას“, რომელიც შექმნა პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში. ჩიქოვანმა ამ პოემიდან

„განჯის დღიურში“ გამოიყენა მთელი წყება ფრაზისა:

„შენს სავარძელზე ზის პოეზია, / შენს სავარძელზე ზის გაზაფხული,
სულს ვარსკვლავები შემოესია, / ხან მოცაბცახე, ხან დაზაფრული.“

(„შენს სავარძელზე“).

საინტერესოა, აგრეთვე, ფუტურისტული ლექსის, „ცირას“, მოდელირებული ტაეპები:

„ნარბი თითქოს წარბენილი, / ბაგე - შინდით დაფერილი,
ლექსი, ღამე აფრენილი, / შენი ეშხის ნაკვესია.“

(„სიყვარულის სიმღერა“)

როგორც ვხედავთ, პოეტმა ზურგი არ აქცია ფუტურისტულ პერიოდში შექმნილ პოეტურ სახეებს, ჩანს მათი შექმნის იმპულსები დაუვიწყარი იყო. ფუტურისტული პერიოდის რუდიმენტი კიდევ ბევრ სხვა ლექსში ფიქსირდება.

სიმონ ჩიქოვანმა შემოქმედებითი მოღვაწეობის დასასრულს პოემა „განჯის დღიურით“ კიდევ ერთხელ გაიხსენა „მერანის“ ავტორი და როგორც მისმა მემკვიდრემ და პოეზიის დიდმა თაყვანისმცემელმა უკანასკნელი პატივი მიაგო დიდ წინაპარს, პოემის ლექსებში უკვდავი მგოსნის უკანასკნელი სუნთქვაც კი გვესმის. „განჯის დღიურის“ შექმნის შემდეგ თავადაც მალე გამოეთხოვა წუთისოფელს.

ლიტერატურა:

ნიკოლეიშვილი, ა. (1979). სიმონ ჩიქოვანის ლირიკა. თბილისი: თბილისის უნივერსტეტის გამომცემლობა.

ჩიქოვანი, ს. (1963). თხზულებანი, ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

“Ganja Diary” is a cycle of poems in which Simon Chikovani revived Baratashvili’s poetic biography. This poem was created by the author at the end of his life. “Ganja Diary” was first published in *Mnatobi* magazine in 1964. It was published in full in a separate book in 1966, a few months after the poet’s death. “Ganja Diary” belongs to the genre of epic poetry and at

the same time stands close to the cycle of poems. Chikovani is one of the first to lay the foundation for the tradition of lyrical poetry.

Baratashvili's spiritual and poetic world, family and work events come to life in Ganja Diary. The poems in the epic poem almost fully reflect Baratashvili's biographical life. The titles of the poems also indicate this: "Preface", "A Song of Repentance", "I Lost in Kartli", "Punished", "The First Card Written to Maiko Orbeliani", "Goncha-Begumi Song", "The Second Card Written to Maiko Orbeliani", "A Foreign Earring", "Love Song", "Dream on Tbilisi", "Walking out of Town", "Fever", "Nino", "Last Night", "Demand"...

In the centre of the poem stands the lyrical hero, Baratashvili, around whom Chikovani's poetic thoughts revolve. It imaginatively brings to life the important episodes of Baratashvili's life, covers his spiritual orphanhood with special intensity, interprets Baratashvili's creative world.

The Ganja Diary has one common motive, which is the motive of sadness. Baratashvili's spiritual melancholy wraps and completes the purpose of the work in terms of content and theme. There are several sub-themes in the poem: sad love, the sadness of the world, loneliness.

The main source for Simon Chikovani in creating the poem was the poetry of the author of "Merani" and his personal letters. Baratashvili's personal letters echo Chikovani's poems: "The first card is addressed to Maiko Orbeliani", "The second card is addressed to Maiko Orbeliani", "Goncha-Begumi Song". The cards written to Maiko are amazingly poetic. As we know, Maiko Orbeliani was Baratashvili's peer, she grew up with him, and his spiritual friend. Only with her could he speak openly about spiritual loneliness and relieve painful sorrows.

Chikovani uses information about Baratashvili's life from Iona Meunargia's extensive monograph "Life and Poetry of Baratashvili", published in the newspaper *Iveria* in 1893. This was the first serious monograph on Baratashvili at that time. Iona Meunargia talks about the biographical details of Baratashvili's life: his origin, education, life misfortune.

Chikovani was also well acquainted with Pavle Ingorokva's extensive monographic study "Nikoloz Baratashvili", published in 1969. Ingorokva tries to restore the biographical details and creative nuances of Baratashvili's life as much as possible.

“Ganja Diary” seems to be Baratashvili’s diary entries, a document reflecting his spiritual condition. Where the poet speaks to his personal judge, to himself, to his own conscience. The main source of inspiration for Simon Chikovani is indeed Nikoloz Baratashvili’s poetry, memoirs of relatives and his personal letters, the motifs or artistic entourage which appear on the pages of the diary, but the main ones are the faces created by Simon Chikovani’s artistic imagination.

Chikovani presented separate phrases and artistic forms of the works created in the period of maturity in a new form in “Ganja Diary”. This is especially true of the poem “Thoughts on the Edge of the Mtkvari” inspired by Baratashvili’s poetry, which he created at the beginning of his poetic career.

At the end of his creative career, Simon Chikovani recalled the author of “Merani” with the poem “Ganja Diary” and as his successor and a great admirer of poetry paid his last respects to his great ancestor, we can even hear the last breath of the immortal poet in the poem. After the creation of the “Ganja Diary”, he soon left the world.

References:

Nikoleishvili, A. (1979). *simon chikovanis lirik’a*. tbilisi: tbilisi univerist’et’is gamomtsemloba. [Lyrics by Simon Chikovani. Tbilisi: TSU Press].

Chikovani, S. (1963). *tkhzulebani, t’3*. tbilisi: sabch’ota sakartvelo. [Works, Vol.3. Tbilisi: “Soviet Georgia”].

**სახალხო მასწავლებლები – ეკატერინე
გაბაშვილი და ანასტასია თუმანიშვილი**
**PUBLIC TEACHERS - EKATERINE GABASHVILI AND
ANASTASIA TUMANISHVILI**

ნესტან ლამბაშიძე
Nestan Ghambashidze

წმიდა ანდრეას სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Georgian University of Saint Andrew

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი
Faculty of Humanities and Law

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, პედაგოგიკა,
ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი
Keywords: Georgian literature, pedagogics, Anastasia Tumanishvili,
Ekaterine Gabashvili

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საზოგადოებრივი აზროვნების ფუნდამენტური მოდერნიზაციის პერიოდში, ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებამ თავის მწვერვალს მიაღწია. აღნიშნული ეპოქა, მსოფლიოში მოცემული სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალთა გააქტიურებით ხასიათდება. ქართველ ქალებსაც უჩნდებათ მოთხოვნილება საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჩნდებიან ქალები, რომლებსაც სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. მთავარ საკითხად განათლების აუცილებლობა იქცა. დიდწილად მასწავლებლობის მძიმე ტვირთი ქალებმა იკისრეს,

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქალთა გათავისუფლების იდეა ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევა. საზოგადოებაში ნელ-ნელა გამოჩნდნენ ექიმი ქალები, ქალთა დიდი ნაწილი მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. მართალია, ეს მძიმე შრომა იყო, მაგრამ ქალებისთვის ხელსაყრელ პროფესიას წარმოადგენდა, რადგან ნაკლები კონფლიქტი მოჰქონდა ოჯახში. ქართველ ქალთა ძირითადი საქმიანობა მასწავლებლობა გახდა. ეკატერინე გაბაშვილი პრაქტიკული მიდგომით სწავლისადმი ინტერესის გაღვიძებას ცდილობდა გლეხებში, იგიძალისხმევასარიშურებდა, დაერწმუნებინა ისინი, რომ მათ შვილებს ესწავლათ. მხოლოდ სწავლას შეეძლო, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოეყვანა ხალხი, ოღონდ ამ ხალხს დაენახა და შეეგნო სწავლის აუცილებლობა, არ დაეშალათ შვილებისთვის განათლების მიღება.

ეკატერინე გაბაშვილი თავისი შემოქმედებითაც ცდილობდა, სწავლისადმი ინტერესი გაეღვიძებინა ბავშვებში. ამიტომაც მისი შემოქმედების ცალკე ნაწილია საბავშვო მოთხრობები: „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“, „კონა“, „ჩვენი კაკლის ხე“, „საახალწლო სურათები“, „საახალწლო საჩუქარი“, „როგორ შეხვდა სვიმონიკა ახალ წელს“... ეკატერინე გაბაშვილი თავისი მოთხრობებით ცდილობს, ბავშვებს დაანახოს რეალობა. მას, როგორც ადამიანის სულის სიღრმის მკითხველს, ბავშვების სათუთი სულიერი სამყაროს ამოცნობაც არ უჭირს. ეკატერინე გაბაშვილმა, როგორც გამოცდილმა პედაგოგმა, იცის, რომ ბავშვს ყველაფერი უნდა მიაწოდო, მოამზადო მომავალი ცხოვრებისთვის, დაანახო

სიკეთე და ბოროტება, არ მოარიდო რეალურ ფაქტებს. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრების გზაზე დაბრკოლება ბევრია, ბედნიერება მიიღწევა მიზანდასახულობითა და შრომით. ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობების ხიბლი იმაშია, რომ ის არა მარტო შავ-თეთრ ფერებში ხატავს ფაქტებს, არამედ აფერადებს მათ; მძიმე ამბავს ისე გადმოსცემს, მოქმედების ადგილი და გარემო ზედაპირული და მშრალი არ არის, ბავშვის წარმოსახვისთვის ადვილად მისაწვდომია. ეკატერინე გაბაშვილი, როგორც დედობრივი განცდის მქონე მწერალი, მეტი გულისხმიერებით ეკიდება ბავშვის ბუნებას. ზუსტად ასახავს ბავშვების უმნიშვნელო ტკივილსაც კი. განსაკუთრებული ემოციებითაა დატვირთული მისი საახალწლო მოთხრობების სერია. გადამდებია განცდა, ის სიხარული და ბედნიერება, რაც ახალი წლის დღესასწაულს ახლავს თან. ზოგიერთი ბავშვისთვის კი ეს ყოველივე ტანჯვაა და ვერ აღიქმება დღესასწაულად. ეკატერინე თავისი მოთხრობებით აჩვენებს ბავშვებს, რომ ერთმანეთის მიმართ კეთილი დამოკიდებულება არის ის, რასაც მოაქვს ბედნიერება. „ხედავთ, სხვისი სიხარული ჩვენთვის რა ბედნიერებაა!“ - ხშირია მის საბავშვო მოთხრობებში მსგავსი შინაარსის ფრაზები. ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობების პერსონაჟი ბავშვები მზრუნველები არიან, უპირისპირდებიან დაბრკოლებებს, ებრძვიან უსამართლობას.

ეკატერინე გაბაშვილიც ცდილობდა, წერა-კითხვა ესწავლებინა ბავშვებისთვის, განათლების დონე ამაღლებინა გლეხებისთვის, ყოფილიყო სოფელში და თავისი წვლილი შეეტანა სოფლის განვითარებისა და განათლების საქმეში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ძნელად შეიძლება მოიძებნოს ისეთი ქალი, რომელსაც ისე აწუხებდა ბავშვების სწავლა-განათლების საკითხზე ზრუნვა, როგორც ანასტასია თუმანიშვილს.

ანასტასია თუმანიშვილი ადრიდანვე დაინტერესებული იყო ბავშვების აღზრდის პროცესით, ეცნობოდა სათანადო ლიტერატურას. ხშირად სწერდა წერილებს ძმას და სთხოვდა, დაწვრილებით ეცნობებინა რუსეთის ამბები სწავლების სისტემაზე. ასეთმა დიდმა ინტერესმა ბავშვების აღზრდის მიმართ და უცხოური ლიტერატურის კითხვამ საზღვარგარეთ წასვლის სურვილი ანასტასიასაც გაუღვიძა. პირველი მცდელობა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა იყო. 1876 წელს ანასტასია თუმანიშვილი

ჟენევაში გაემგზავრა (შვეიცარია). ის ძირითადად ბავშვების აღზრდის მეთოდებს ეცნობოდა. ჟენევიდან საფრანგეთში წავიდა. საფრანგეთში განსაკუთრებულად აინტერესებდა, თუ როგორი იყო იქ ბავშვთა აღზრდის მეთოდიკა. იმყოფებოდა რამდენიმე სკოლაში, აინტერესებდა, თუ როგორ იმართებოდა პროცესები პრაქტიკულად. გაეცნო სკოლამდელი აღზრდის მეთოდებსაც.

1884 წელს გახსნა სოფელ ხელთუბანში სკოლა. სკოლის გახსნისთვის ანასტასიამ ბევრი დაბრკოლება გადალახა. 1886 წელს ანასტასია თუმანიშვილმა საკუთარი სახსრებით იყიდა ნაკვეთი, სადაც ბავშვებისთვის საერთო საცხოვრებელი, საფუტკრე და ბაღი გააშენებინა. 1883 წელს ანასტასიამ სხვა ქალებთან ერთად შექმნა საზოგადოება, რომელიც ეხმარებოდა გაჭირვებულ მასწავლებლებს. ანასტასია თუმანიშვილი მუდამ ქალი მასწავლებლების ქომავი იყო, მუდამ ცდილობდა, სათანადოდ დაფასებულიყო მათი შრომა, ამიტომაც აირჩიეს იგი „მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ.

ეკატერინე გაბაშვილისა და ანასტასია თუმანიშვილის მაგალითით ბევრმა ქართველმა ქალმა მიზნად დაისახა, რომ თავიანთი პედაგოგიკური მოღვაწეობით ხელი შეეწყოს მომავალი თაობის წინსვლისათვის. ისინი მიდიოდნენ სასწავლებლად უცხოეთში, სამშობლოში დაბრუნებულები კი აარსებდნენ სკოლებს, ხელმძღვანელობდნენ სასწავლო პროცესს, ქმნიდნენ ყველა პირობას ბავშვების განათლებისთვის.

ლიტერატურა:

ბოცვაძე, ი. (1973). 70-80 -იანი წლების ქართული პრესა. თბილისი.

ქარელიშვილი, ი. (1980). ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი.

ჩიხლაძე, ნ. (1976). ღვანლმოსილი ქართველი მანდილოსნები. თბილისი.

ხელთუბნელი, მ. (1941). ანასტასია თუმანიშვილი (მონოგრაფია). თბილისი.

In the second half of the 19th century, during the period of fundamental modernization of public thinking, the development of literary and public thinking reached its peak. This era, considering the socio-political situation

in the world, is characterized by the activation of women. Georgian women also have a demand to appear in the public field. Women who want to contribute to the development of the country appear in the field of Georgian public life.

Ekaterine Gabashvili also tried to arouse children's interest in learning with her work, that is why children's stories are a separate part of her work. Ekaterine Gabashvili tries to show children the reality with her stories. For a reader of the depths of the human soul, it is not difficult to recognize the delicate spiritual world of children. Ekaterine Gabashvili, as an experienced teacher, knows that she should provide everything to the child, prepare him for the future life, show good and evil, and how not to shy away from real facts. The child should know that there are many obstacles in the way of life, happiness is achieved through purposefulness and hard work. The characters in Ekaterine Gabashvili's stories are children who are caring, face obstacles, fight injustice. Ekaterine Gabashvili also tried to teach literacy to children, raise the level of education among peasants, be in the village and contribute to rural development and education. In the second half of the nineteenth century, it is difficult to find a woman who was as concerned about the education of children as Anastasia Tumanishvili.

Anastasia Tumanishvili was interested in the process of raising children from the very beginning, she was acquainted with the relevant literature. She often wrote letters to her brother asking him to read more Russian news about the teaching system. Such a great interest in raising children and reading foreign literature also aroused Anastasia's desire to go abroad.

In 1876 Anastasia Tumanishvili left for Geneva. She was mainly familiar with the methods of raising children. Later, she went from Geneva to France. France was particularly interested in the method of raising children there. Visited several schools, wondering how the processes were run in practice. She also got acquainted with the methods of preschool education.

In 1884, she opened a school in the village of Kheltubani. Anastasia overcame many obstacles to open the school. In 1886, Anastasia Tumanishvili bought a plot of land with her funds to build a dormitory and a garden for children. In 1883, Anastasia, along with other women, formed a community that helped teachers in need. Anastasia Tumanishvili has always been a supporter of female teachers. She always tried to appreciate

their work, that's why she was elected as the chairperson of the "Society of Women Teachers".

The need for education became a major issue and a burden of a teacher's profession, which was largely taken by women. From the eighties of the nineteenth century, the idea of liberating women was advancing step by step. Doctor women gradually appeared in society, and many women mastered the profession of a teacher. It was hard work, but it was a favourable profession for women, as it caused less conflict in the family. Educating themselves and raising new generations was positive for the country. This article discusses the pedagogical activities of Ekaterine Gabashvili and Anastasia Tumanishvili, who were not motivated by narrow personal interests, their thinking and aspirations were the future prosperity of the country. Teaching became the main job of Georgian women (teaching handicraft, weaving, cutting and sewing, beekeeping, gardening and working in the field of education, mainly translating and collecting books to open libraries). Ekaterine Gabashvili tried to arouse interest in peasants with a practical approach; she did her best to convince them that their children should study. Only education could bring people out of a difficult economic situation. Following the example of Ekaterine Gabashvili and Anastasia Tumanishvili, many Georgian women aimed to contribute to the advancement of the next generation with their education. They went to study abroad, and when they returned to their homeland, they established schools, led the educational process, and created all the conditions for the education of children.

References:

- Botsvadze, I.** (1973). 70-80-iani ts'lebis kartuli p'resa. Tbilisi: 1973. [Georgian press of the 70s and 80s. Tbilisi].
- Chikhladze, N.** (1976). ghvats'lmosili kartveli mandilosnebi. Tbilisi. [Meritorious Georgian women. Tbilisi].
- Karelshvili, I.** (1980). ek'at'erine gabashvilis tskhovreba da shemokmedeba. Tbilisi. [Life and work of Ekaterine Gabashvili. Tbilisi].
- Kheltubneli, M.** (1941). anast'asia tumanishvili (monografia). Tbilisi. [Anastasia Tumanishvili (monograph). Tbilisi].

იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდოლოგიის
საღვთისმეტყველო წინამძღვრები

THE THEOLOGICAL PREMISES OF IAKOB
GOGEBASHVILI'S METHODOLOGY

მედეა ლლონტი

Medea Ghlonti

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია, ღვთისმეტყველება,
სასკოლო სახელმძღვანელო

Keywords: methodology, theology, schoolbooks

I. ყოველგვარი საქმის კეთილად განხორციელების საწინდარია სათანადო წესების სისტემურობა, მისი მეთოდური თანმიმდევრობით მომარტვება, ანუ მეთოდისკა. ამ თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს წმიდა წერილის პირველ წიგნში აღბეჭდილი ღრმა საღვთისმეტყველო იგავთმეტყველებითი უწყება მიუნვდომელი საიდუმლოებით მოცულ სამყაროს შექმნაზე – „სოფლის შესაქმნებ“ (შესაქმე, თ. I-II).

განიმარტება, რომ მრავალმონყალე და ყოვლადბრძენ ზეციერ შემოქმედს, ვითარცა დახელოვნებულ ხუროთმოძღვარს (ბასილი დიდი, 2002), თავისი უზენაესი საქმის განსახორციელებლად ხელთ უპყრია ის შესაქმისეული ღვთაებრივი მეთოდოლოგია, რომელიც მან გვიბოძა ჩვენ, თავის ხატსა და მსგავსებას, რათა იგი სათანადო წესითა და რიგით მოვიმარტვოთ და ყოველგვარი საღმრთო თუ კაცობრივი საქმე ღვთივმოსაწონად აღვასრულოთ.

წმიდა მამის მიერ საგულისხმოდაა მონიშნული ყოველგვარი მეთოდისკის (მეთოდოლოგიის) 3 უმთავრესი მასაზრდოებელი პრინციპი:

- აზრის პრინციპი, ანუ შესასრულებელი საქმის განხორციელება – მიზანდასახულობის (მიზეზისა და მიზნის) წინდანინ გააზრებითა და საკუთარი ნება-სურვილის განხილვა-გადასინჯვით:

- რა (რომელი) საქმე მაქვს განსახორციელებელი?
- რატომ უნდა განვახორციელო ეს საქმე?
- როგორ უნდა განვახორციელო ეს საქმე?

- კეთილია თუ არა ეს საქმე და შემიძლია თუ არა მე ამის განხორციელება?

- იერარქიული პრინციპი, ანუ – ამგვარად გააზრებული საქმის:
 - თანამიმდევრობით, ერთიმეორიდან გამომდინარე წესითა და რიგით განხორციელება,

- დროულად, შესაბამისი დრო-ჟამის გათვალისწინებით განხორციელება,

- ღვთივმოსაწონად განხორციელება;

- „მოხილვის“ პრინციპი („აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“ – წმიდა ილია მართალი), ანუ შესრულებული ან განუხორციელებელი საქმის გადახედვა,

შდრ. ყოველი შესაქმისეული დღის დასასრულს ჩაწერილი დასკვნითი ფორმულირება: „... და იხილა ღმერთმან, ... რამეთუ კეთილ ...“, სადაც „კეთილი“, წმიდა ბასილი დიდის სარწმუნო სწავლებით: „აქ შესაქმის გონებით განსჯაზე მიუთითებს“ (ბასილი დიდი, 2002 : 251).

II. X საუკუნიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე, ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდს შეადგენდა 4 პრინციპი; მათაგან სამი – სინთეზური, ანალიზური და ანალიზურ-სინთეზური – გოგებაშვილმა ერთ მთლიანობად პირველად „დედა ენაში“ დანერგა და იგი ქვაკუთხედად დაუდო ანბანური სწავლების ბგერით-ანალიზურ მეთოდს, შემდეგი თანამიმდევრობით:

სიტყვა > მნიშვნელობა („აზრი“) > ასობგერა.

ამ მეთოდს გოგებაშვილი უფრო მაღალნაყოფიერად მიიჩნევდა, უწინარესად იმ მიზეზითა და მიზნით, რომ: „ყმანვილმა სწავლაში ჭერ დაინახოს აზრი, რათა სწავლების პროცესი გონივრულ „საგნად“ ეჩვენოს და წახალისდეს“ (თალაკვაძე მ., 1952).

III. მოხსენების წარმართველი მიზანია, წარმოჩნდეს ის საღვთისმეტყველო წანამძღვრები, რითაც საზრდოობს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ აგების მეთოდოლოგია, რომლის „აზრისა“ და „სწავლების თანამიმდევრობის“ მრჩობლად შეწყვილებული მეთაური პრინციპიდან არის აღმოცენებული სწავლება-შესწავლის ათეულზე მეტი წესი:

ეკონომიისა და მრავალფეროვნებისა (ერთიდან – მრავალი),

გენეტიკური (შესასწავლის გვარსახეობრივი შესწავლა);

შეგნებულობისა (ადვილიდან – ძნელზე, მარტივიდან – რთულზე, ნაცნობიდან – უცნობზე),

მრავალჯერადი განმეორებისა,

დიდაქტიკური და სხვ., რაც ესოდენ აუცილებელია სწავლება-შესწავლის „მიზეზის განსამართლებლად და მიზნის აღსასრულებლად“ (იაკობ გოგებაშვილი).

ლიტერატურა:

ბასილი დიდი. (2020). – თხზულებანი: ფსალმუნთა განმარტება; ჰომილიები ექვსი დღისათვის. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

თალაკვაძე მ. (1952). ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, საკვალიფიკაციო ნაშრომი პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

The rules of the systemic character, their methodological usage are the preconditions for accomplishing any work successfully. From this point of view, we pay attention to the anno mundi (creation of the world) told in the first book of the “Holy Writ” in the secret note, in fact, the highly mystical and divine message of the unfathomable mystery of the Creation

(Shesaqme - “The book of Creation”): first of all, towards the note in the first book of the holy writing, delivered in the wisest and deepest note expressing the creation of the Universe. (the book of Creation, I-II).

The explanation (Basil the Great, 2002) says that the skilful architect, the all-forgiving and the wisest, holds the divine methodology of creating. He gifted it to us whom he considers being like him; it will help to fulfil all the human and divine deeds as pleasant and praisable. The Saint father showed three important methodological principles:

- The principle of sense – implement the work purposefully, think over in advance about the reason and purpose and over the own wills and aims carefully;

- What (what I am going to do)?
- Why (why should I do it)?
- How (how should I do it)?
- Is this a good deed and can I do it or not?

- The principle of hierarchy:

- Implement the work in sequence;
- Implement the work in the proper time;
- Implement it regarding as it would be likeable for God;

- The principle of “revision” - implies a revision of the job done and not done; comp.: with the formulations in the “Book of Creation” (Basil the Great 2002: 251).

II. During the 10th-19th centuries, the methods of teaching, reading and writing in Georgian were based on the four principles; three of them – synthetical, analytical and complex (analytic-synthetical) were united by

Gogebashvili as one. It was established in the Georgian ABC book “Deda Ena”. This book became the basis on which the vowel-analytical method was based in the sequence:

word > meaning > sound and letter

Gogebashvili considered this method more productive and full of aims “young people should see the meaningfulness in studying, to be motivated” (Talakvadze M., 1952).

III. This paper aims to discover the basic Christian theological preconditions nourishing the methodology on which the book “Deda Ena” bases - the wisely selected principles:

Economy and Diversity (going from one to many);

Genetical (studying the diversity of the unit);

Comprehension (from simple – to complex, from familiar to unknown);

Multiple repetitions;

Didactical and others.

All principles are necessary “to justify the reasons and reach the aims of education” (I. Gogebashvili).

References:

- St. Basil the Great.** (2020). Ts'mida Basili Didi, Tkhzulebani: psalmunta ganmart'eba; homiliebi ekvsi dghisatvis. tbilisi: sakartvelos sap'atriarqos gamomtsemloba. [The writings, explanations to the psalms; homilies for six days. Tbilisi: Georgian Patriarchate Press].
- Talakvadze, M.** (1952). I. Gogebashvilis anbanis sakhelmdzghvanelota agebis p'rintsip'ebi. disert'atsia. tbilisi [The principles of compiling the ABC books by I. Gogebashvili. The dissertation work for the scientific degree of the candidate of the pedagogical sciences. Tbilisi].

**მრავალგზისობის კატეგორიის ისტორიის
ზოგი საკითხი ქართულში**

**SOME ISSUES ON THE HISTORY OF THE CATEGORY
OF RECURRENCE IN GEORGIAN**

ხათუნა ყანდაშვილი

Khatuna Kandashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვამო სიტყვები: ზმნა, მრავალგზისობა, ხოლმეობითის
მწკრივები

Keywords: verb, iterative, iterative screeves

მრავალგზისობა გამოხატავს წარსულში შესრულებულ განმეორებით (ჩვეულებრივ) მოქმედებას; ის ძველ ქართულში გადმოიცემოდა ხოლმეობითის მწკრივებით. ძველსავე ქართულში დასტურდება მრავალგზისობის ორგანული წარმოების მაგალითები; ვხვდებით ასეთ შემთხვევებს: „მარადის მოვიდოდის“ და „მრავალგზის წარიტაცის“, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს აზრობრივ ტავტოლოგიად, რადგან აღწერიითი საშუალებები – „მარადის“, „მრავალგზის“ – ხოლმეობითების მწკრივთა სემანტიკას ემთხვევა. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია ნათარგმნ ძეგლებში. გვინტერესებს, მრავალგზისობის ორმაგი გამოხატვის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა ორიგინალურ თხზულებებში. საკითხის შესასწავლად მივმართეთ ქართული ოთხთავის რედაქციებს: „ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“ (1945), „ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, (1979). შესადარებლად გამოვიყენეთ „ოთხთავის“ ბერძნული დედანი (1904). ორიგინალური თხზულებებიდან მასალა შევისწავლეთ „ძველი ქართული აგიორგაფიული ძეგლების“ I ტომის მიხედვით (1963). ახალი ქართულის შემთხვევაში მივმართეთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებას.

შევეცდებით, ვუპასუხოთ კითხვას, მნიშვნობარსამუბიძგაიმისკენ, რომ მრავალგზისობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებთან ერთად ხოლმეობითის მწკრივები გამოეყენებინა: **DE, C:** „მრავალ ჟამ წარიტაცის იგი, და შებორკილიან“ (ლკ., 8; 29); ბერძნულში „**πολλοῖς γὰρ χρόνοις**“ ნიშნავს „მრავალი დროის განმავლობაში“, „წარიტაცის ...შებორკილიან...“ შეესაბამება პერფექტის დრო, ხოლო განხეთქნის“ – მოქმედებითი გვარის მიმღეობა: „**διαρρήσων**“. **FG** და **HIK** რედაქციები: „მრავალგზის წარიტაცის იგი, და შებორკილიან“ (ლკ. 8.29). ბერძნულში რადგან მრავალგზისობა ორგანულად არ გადმოიცემა, ამიტომ განმეორებითი მოქმედების შინაარსს ლექსიკური ერთეული ქმნის, ხოლო ქართულად მთარგმნელს გადმოაქვს ის ლექსიკური ერთეულისა და ორგანული წარმოების მეშვეობით. ფაქტია, ნათარგმნ ძეგლებში მრავალგზისობის ორმაგი გამოხატვის სიხშირე დედნის გავლენით უნდა აიხსნას.

ასეთი დარღვევები ორიგინალურ ძეგლებში იშვიათად ჩნდება: „მრავალგზის ისრაჴლიცა მისცის უფალმან“ (ძვ. ქართ აგიორგაფიული ძეგლები, ტ. I, 1963: 47). ეს მიუთითებს, რომ მრავალგზისობის ორგანული

წარმოება ნელ-ნელა ქრება. ხოლმეობითის მწკრივების გაქრობაც სწორედაც მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც გრამატიკული საშუალებების გვერდით ლექსიკური ერთეულების მოშველიება გახდა საჭირო. გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ ხოლმეობითის კონტექსტურად გამოხატვის შესაძლებლობის არსებობა შეიძლება გამხდარიყო ხელშემწყობი ფაქტორი (და არა მიზეზი) ორგანული წარმოების მოშლისა და აღწერითი წარმოების ჩამოყალიბებისა.

ენაში მრავალგზისობის გადმოსაცემად დამკვიდრდა აღწერითი წარმოება და მე-19 საუკუნის მწერლებთან (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი) მრავალგზისობა გადმოიცემა ხოლმე ნაწილაკის მეშვეობით, რომელიც შესაძლოა ნებისმიერი მწკრივის ფორმას დაერთოს:

„ერთი-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მოიხედავდა უკან“ (წერეთელი, 1985: 57).

ზოგჯერ ხოლმე გამოიყენება იქ, სადაც საჭიროება არ მოითხოვს... მრავალგზისობას ასევე გადმოსცემს უწყვეტლის მწკრივი.

ლიტერატურა:

აბულაძე, ი. (გამომც.). (1963). ძველი ქართული ლიტერატურის

აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი I. თბილისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

გიორგობიანი, თ. (1998). ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ბერძნულში.

თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

გოგოლაშვილი, გ. (2010). ქართული ზმნა (ფორმანარმოების საკითხები).

თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

Gospe, (1904). Novu, Testamentum Graecae, Stuttgart: „Privilegierte

Vürttembergische Bibelanstalt“.

სარჯველაძე, ზ. (1997). ძველი ქართული ენა. თბილისი: „თბილისის

სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

იმნაიშვილი ი. (გამომც.) (1979). ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია.

თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ყაუხჩიშვილი, ს. (გამომც.), (1953). ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი:

„თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

შანიძე, ა. (გამომც.) (1945). ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია.

თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

შანიძე, ა. (1930). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენა. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჩიქობავა, არნ. (2010). შრომები. I. „ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“. თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ნერეთელი, ა. (1985). ქართული პროზა, ტ. IX. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ჭავჭავაძე, ი. (1989). ქართული პროზა, ტ. VIII. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

Recurrence expresses repetitive (usual) actions performed in the past. It was expressed through the iterative screeves in Old Georgian. Examples of organic formation of recurrence are attested even in Old Georgian; we can find such cases as “maradis movidodis” and “mravalgzis tsaritatsis” that can be considered as a semantic tautology because the descriptive means “maradis”, “mravalgzis” coincide with the semantics of the iterative screeves. Such cases are more common in translated monuments;

We would like to know what the situation is in terms of the double expression of recurrence in the original works. To study the issue, we used the editions of the Georgian Four Gospels: “Two Old Editions of the Four Gospels” (1945), “Two Last Editions of the Four Gospels” (1979); we used the Greek original of the Four Gospels (1904) for comparison; we studied the material from the original works “Monuments of Old Georgian Hagiographic Literature” (vol. I, 1963). For New Georgian, we used the works by Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli. We will try to answer the question, why the scribe decided to use the iterative screeves along with lexical units expressing recurrence: DE, C: “mraval zham tsaritatsis igi, da sheborkilian” (Luke 8:29). In Greek, “πολλοῖς γὰρ χρόνοις” means “for a long time”, the words “tsaritatsis, sheborkilian” are in perfect tense while “gankhetknis” is an active participle: “διαρρήσων”. FG and HIK editions: “mravalgzis tsaritatsis igi, da sheborkilian” (Luke 8:29). In Greek, since recurrence is

not organically expressed, the repetitive action is expressed by a lexical unit, while in Georgian the translator translates it through the lexical unit and the organic formation. Clearly, the frequency of double expression of recurrence is explained by the influence of the original.

Such irregularities are rare in the original monuments, e.g. “mravalgzi israelitsa mistsis upalman” (“Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”, vol. I, 1963: 47). This indicates that the organic formation of recurrence is slowly disappearing. The disappearance of the iterative screeve should have started exactly when it became necessary to use lexical units next to grammatical means. G. Gogolashvili notes, that the existence of the possibility to express the iterative contextually (or lexically, descriptively) could be a contributing factor (and not a cause) to the disruption of organic forms and the beginning of descriptive one”.

The descriptive formation was established to convey recurrence in the language, and with 19th-century writers (Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli) recurrence is conveyed through a particle “kholme” that may be attached to any screeve, e.g. „erti-ors ro gadakhteboda, shecherdeboda kholme da moikhedavda ukan“ (Tsereteli, 1985: 57). Sometimes this particle is used without any need. Recurrence is also expressed by the continuous screeve.

References:

- Abuladze, I.** (Publisher). (1963). *Dzveli kartuli lit'eraturis agiografiuli dzeglebi, I.* tbilisi: tbilisis sakhelmt'sipo universit'et'is gamomtsemloba. [Monuments of Old Georgian Hagiographic Literature”, vol. I. Tbilisi: Tbilisi University Publishing].
- ChavChavadze, I.** (1989). *Kartuli proza.* tbilisi: sabch'ota sakarvelo. [Georgian Prose, Vol. VIII. Tbilisi: Soviet Georgia].
- Chikobava, Arn.** (2010). *Works. I. Q'e nats'ilak'i pereidnulshi da misi mnishvneloba gramat'ik'a-logik'is tvalsazrisit.* tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [The Particle of qe in Fereydanian and its Importance in Terms of Grammar – logic. Tbilisi: Tbilisi State University Publishing].
- Giorgobiani, T.** (1998). *Zmnis dziritadi k'at'egoriistvis berdznulshi.* tbilisi: tbilisis sakhelmt'sipo universit'et'is gamomtsemloba. [For the main Categories of verb in Greek. Tbilisi: Tbilisi State University Publishing].

- Gogolashvili, G.** (2010). kartuli zmna (pormatsa'rmoebis saki'tkhebi). tbilisi: tbilisis sakhelmt'sipo universit'et'is gamomtsemloba. [Georgian Verb (formation issues)]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing].
- Gospe,** (1904). Novu, Testamentum Graecae, Stuttgart: „Privilegieerte Württembergische Bibelanstalt“.
- Imnaishvili, I.** (Publisher). (1945). Kartuli otkhtavis bolo ori redaktsia. tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [The Last two Editions of the Georgian Gospel. Tbilisi: Tbilisi University Publishing].
- Kaukhchishvili, S.** (Publisher). (1953). Kartlis tskhovreba, I. tbilisi: tbilisis sakhelmt'sipo universit'et'is gamomtsemloba. [Life of Kartli, I. Tbilisi: Tbilisi University Publishing].
- Sarjveladze, Z.** (1997). Dzveli kartuli ena. tbilisi: tbilisis p'edagogik'uri universit'et'is gamomtsemloba. [Old Georgian Language. Tbilisi: Tbilisi Pedagogic University Publishing].
- Shanidze, A.** (1939). Kartuli enis gramat'ik'is sapudzvebi. tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Basics of Georgian Language Grammar. Tbilisi: Tbilisi University Publishing].
- Shanidze, A.** (1976). Dzveli kartuli ena. tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Old Georgian Language. Tbilisi: Tbilisi State University Publishing].
- Shanidze, A.** (Publisher). (1945). Kartuli otkhatvis ori dzveli redaktsia. tbilisi: tbilisis sakhelmt'sipo universit'et'is gamomtsemloba. [Old Editions of the Georgian Gospel. Tbilisi: Tbilisi University Publishing].
- Tsereteli, A.** (1985). Kartuli proza, t. IX. tbilisi: sabch'ota sakartvelo. [Georgian Prose, Vol. IX. Tbilisi: Sabchota Sakartvelo].

ვაჟა-ფშაველა ტიპისა და ტიპურობის შესახებ
VAZHA-PHAVELA ON THE TYPE AND TYPICALITY

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, რეალიზმი, ტიპი, ტიპურობა
Keywords: Vazha-Pshavela, realism, type, typicality

ლიტერატურული მიმართულების - რეალიზმის - განვითარებასთან ერთად ქართულ სალიტერატურო კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებსა და თავად მწერლობაშიც დაისვა ტიპისა და ტიპურობის საკითხი. თავდაპირველად ის დაუკავშირდა მრავლის, დამახასიათებლისა და არსებითის ცნებებს; მოგვიანებით კი ამ ცნებებში გამოიკვეთა ინდივიდუალობის გაგება, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა მხატვრული სახე. ამას დაემატა სოციალური მოვლენის მთავარი არსის ჩვენების ფუნქცია. ტიპის გამოვლინების იდეალურ მაგალითად წარმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე და ოთარაანთ ქვრივი; ხოლო ტიპურობის განსამარტავად ილიას „კაცია-ადამიანის?!“ წინასიტყვაობა, მის მიერ მრავალთაგან ერთის ამორჩევის პრინციპი.

როგორც ვიცით, ილიამ და აკაკიმ 60-იან წლებში დაამკვიდრეს ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, შექმნეს მთლიანად ლიტერატურული გარემო, ამიტომ 80-იან წლებში მოღვაწე ვაჟასთვის სხვა რამ გახდა პრიორიტეტი. მას უკვე შექმნილი სხვაგვარად უნდა წარმოეჩინა, თავისი „მე“ გამოეხატა.

ჩვენ განვიხილავთ ვაჟას მიერ აღქმულ ტიპს და ტიპურ გარემოს, რომელთა დეფინიცია საკმაოდ განსხვავებულია სხვათაგან და მხოლოდ ვაჟასეულია, მწერლის ორიგინალური აზროვნებისა და სიტყვიერი გამოხატვის წარმომჩენია. მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნებრიობა ვაჟასთვის ბუნების მიბაძვაა და მით უფრო ძლიერად ხატავს მწერალი თავის მიერ არჩეულ ტიპს, რაც უფრო მეტად ბაძავს ეს ტიპი ბუნებას. ვაჟას მსოფლხედვით, „ჩვენ ბუნებაში ვარ, ბუნება ჩვენშია“. ბუნებაში მრავლად შევხვდებით ადამიანის მსგავს ტიპებს ცხოველთა სახით. მწერალი გვეუბნება, რომ ისინი კაცთა საზოგადოებაშიც არიან. ტიპური აერთიანებს ღირსებასაც და ნაკლსაც. უნაკლო პერსონაჟი ხელოვნურია, მასში არ აისახება ბუნება.

მწერალი ზუსტად აღიქვამს, რომ ტიპური, ადამიანის გარდა, შეიძლება იყოს იდეები, მოვლენები, გრძნობები და ა.შ. ვაჟა ბუნების თითოეულ მოვლენას უსადაგებს მსგავს მდგომარეობასა და გრძნობას ადამიანთა ცხოვრებაში და, თუ ეს უკანასკნელნი ბუნების ქმედებათა შესაბამისია, ტიპურად მიიჩნევს. ვაჟას ლიტერატურათმცოდნეობითი შეხედულებანი არსობრივად არ განსხვავდება 60-იანელთა შეხე-

დუღებებისგან, თუმცა ვაჟა სათქმელს მაინც განსხვავებულად აყალიბებს და ზოგიერთ მომენტში სცდება კიდევ სამოციანელთა ნააზრევს.

ლიტერატურა:

ბენაშვილი, დ. (1961). ვაჟა-ფშაველა. თბილისი.

ვაჟა-ფშაველა. (1964). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 9.

თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

„კაი ყმა“. (1986). კაი ყმა, მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

The issue of the type and typicality was raised in Georgian literary criticism-publicist letters and literature itself, with the development of the literary direction – Realism. Initially, it was related to the notions of many, characterizing and substantial; later, the understanding of individuality was outlined in the aforementioned notions, without which a fictional character was impossible to be created. In addition, the function to show the main essence of social events. An ideal example of the expression of the type appeared to be Ilia Chavchavadze’s *Luarsab Tatkaridze* and *Otaraant Widow*; while an example of the clarification of typicality was the Foreword to Ilia’s *Is a Human a Man?!*; his principle of selecting one from the many.

As we are aware, Ilia and Akaki established literary-aesthetic visions in the 1860s; created the whole literary environment; therefore, Vazha, who wrote his works during the 1880s, had a different priority. He was to represent the already created differently and to express his “I”.

We discuss the type and typical environment perceived by Vazha, the definition of which is quite different from those of others and is uniquely Vazha’s; it represents the original way of thinking and verbal expression of the writer. In short, for Vazha, naturality is imitating nature and the more the type selected by the writer is close to nature, the more powerfully the writer creates the type selected by him. According to Vazha’s worldview – “We are within nature and nature is within us”. There are many animals in nature with human-like types. The writer tells us that they are also present

in human society. The typical unites both dignity and weaknesses. A perfect character is artificial; he does not reflect nature.

The writer perceives exactly that aside from a human, ideas, events, feelings, etc can also be typical in nature. Vazha applies each natural event with a similar condition and presents a feeling in human life and if the latter is relevant to natural events, believes it to be typical. Vazha's literary views are not fundamentally different from those of the 1860s, although Vazha still expresses his thoughts differently and at certain moments exceeds the ideas of the sixties.

References:

Benashvili, D. (1961) Vazha-Pshavela. Tbilisi.

„Kai Kma” (1986) kai q'ma, mogonebebi vazha-pshavelaze [Memoirs about Vazha-Pshavela. Tbilisi: TSU Press].

Vazha- Pshavela (1964) tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad, t'. 9. tbilisi: sabch'ota sakartvelo. [Complete collection of works in ten volumes, vol. 9 Tbilisi: Sabchota Sakartvelo].

**ონომასტიკური ლექსიკის ვარიაციები
„ამირანდარეჯანიანის“ უკრაინულ თარგმანში**
**VARIATIONS OF ONOMASTIC LEXIS IN THE UKRAINIAN
TRANSLATION OF “AMIRAN-DAREJANIANI”**

სოფიო ჩხატარაშვილი
Sophio Chkhatarashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanities

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკური ლექსიკა, გეოგრაფიული
სახელები, ეპოსის ინტონაცია თარგმანში

Keywords: onomastic lexis, geographical names, intonation of the epic
in translation

1990 წელს კიევში გამომცემლობა „დნიპროს“ მიერ კრებულის სახით გამოიცა ვასილ მისიკის თარგმანები „დასავლეთი და აღმოსავლეთი“, რომელშიც დაბეჭდილია „ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანი. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია: ომარ ხაიამის, ნიზამი განჯელის, უილიამ შექსპირის, ჯორჯ ბაირონის, პერსი ბიში შელის პოეზია. დასავლეთითა და აღმოსავლეთით დაინტერესებული უკრაინელი მწერალი „ამირანდარეჯანიანს“, ბუნებრივია, აღმოსავლეთის ბლოკში პირველ გვერდზე ათავსებს.

ვასილ მისიკის, როგორც მთარგმნელის, როლი რომ აღვნიშნოთ, დავასახელებთ იმ ფაქტს, რომ 1995 წელს უკრაინის მწერალთა ეროვნულმა კავშირმა დააწესა ვასილ მისიკის სახელობის ლიტერატურულ პრემია ორიგინალური პოეტური კრებულებისა და ლექსების თარგმანებისათვის. ვასილ მისიკი თარგმნიდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ბელორუსული, არაბული, აზერბაიჯანული და სხვა ენებიდან.

„ამირანდარეჯანიანის“ უკრაინულ თარგმანზე დაკვირვებისას ირკვევა, რომ მთარგმნელს მცდელობა არ დაუკლია საგმირო ეპოსის ზემოაღნიშნული ძეგლის სათარგმნელად, მისი ინტონაციის გადმოსატანად. დედანში არსებული ონომასტიკური ლექსიკა, ეროვნულ რეალიებთან ერთად, უკრაინელი მთარგმნელისთვის დიდ გამოწვევად იქცა. მას უნდა ეთარგმნა: ბალხეთი, ალგეთი, ყამარი, დალი, ბაყბაყდევი და ა.შ., თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადო სახელებსა და სხვა გეოგრაფიულ ერთეულებს მისიკი საკუთარი სახელებით მოიხსენიებს, მაგ.: გველეშაპი - დრაკონი, დევი - ბოროტი სული, კოშკი - სასახლე, ყურშა - გოშია და ა.შ., რაც საინტერესო ფაქტია ონომასტიკური ერთეულების თარგმანზე დაკვირვების კუთხით.

ვფიქრობთ, „ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული კულტურის აღქმისათვის. ვასილ მისიკის თარგმანი კი, უდავოდ, იმსახურებს შესწავლას და ახალ სიტყვას ამბობს მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის მთარგმნელობითი ხაზის კვლევის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

- ბუდნი, ვ. და ილნიცკი, მ.** – Budnyy, V., Il'nyts'kyy, M. (2008) Porivnyalne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychiy dim «Kyievo-Mohylyanska akademiya» [Будний, В., Ільницький, М. Порівняльне літературознавство. Київ: видавничий дім «Києво-Могилянська академія»].
- გაჩეჩილაძე გ.** (2014). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გრიციკი, ლ.** – Hrytsyk, L., (1973). Gruzinskaya khudozhesvennaya proza v sovremennikh ukrainskikh perevodakh. Avtoreferat dissertatsii na soiskaniye uchenoy stepeni kandidata filologicheskikh nauk. Kyev [Грицик, Л. Грузинская художественная проза в современных украинских переводах. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Киев].
- კეკელიძე კ.** (1981). ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- კვინაძე ზ.** (2001). ქართული ხალხური ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
- მისიკი ვ.** – Mysyk V. (1990), Zakhid i skhid. Pereklady. Kyiv Dnipro. [Мисик В. Захід і схід. Переклади. Київ Дніпро].
- ჩიქოვანი მ.** (1947). „მიჯაჭვული ამირანი«. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- წიბახაშვილი გ.** (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხალიძონიძე გ.** (2020). ქართული ლიტერატურის ისტორია. კიევი.

In 1990, Dnipro Publishing House published a collection of translations of Vasyl Mysyk's "West and East" in Kyiv, in which the Ukrainian translation of "Amiran-Darejaniani" was printed. The book also features poetry by Omar Khayyam, Nizami Ganjavi, William Shakespeare, George Byron, Percy Bish Shelley. The Ukrainian writer, interested in the West and the East, naturally places "Amiran-Darejaniani" in the Eastern part and puts it on the front page as well.

To emphasize the role of Vasil Misik as a translator, the fact that in 1995 the National Writers' Union of Ukraine established the Vasil Misik Literary Prize for translations of original poetry collections and poems is enough. Vasil Misik translated from English, German, French, Russian, Belarusian, Arabic, Azerbaijani and other languages.

Observing the Ukrainian translation of "Amiran-Darejaniani", it is clear that the translator did not spare any effort to translate the above-mentioned work of the heroic epic, to convey its intonation. The onomastic vocabulary in the original, along with the national realities, became a major challenge for the Ukrainian translator. He had to translate: Balkheti, Algeti, Kamari, Dali, Bakbakdevi, etc. However, it should be noted that common names and other geographical units are referred to by Mysyk by their own names, e.g., gveleshapi - dragon, devi - evil spirit, tower - palace, etc., which is an interesting fact in terms of observing the translation of onomastic units.

We think that the existence of the Ukrainian translation of "Amiran-Darejaniani" is an important fact for the perception of Georgian culture. And the translation of Vasyl Mysyk undoubtedly deserves to be researched as it says a new word in the translation of the twentieth-century Ukrainian literature.

References:

- Budnyy, V., Ilnytsky, M.** (2008). Porivnyal'ne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychiy dim «Kyyevo-Mohylyanska akademiya». [Comparative literature, criticism. Kyiv: Publishing House "Kievo-momylyanska akademya"].
- Chikovani, M.** (1947). „mijach'vuli amirani“, tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [“Chained Amiran”. Tbilisi: TSU Press].
- Gachechiladze G.** (1954). targmanis teoriis shesavali. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [Issues of the Theory of Literary Translation. Tbilisi: TSU Press].
- Hrytsyk, L.** (1973). Gruzinskaya khudozhesvennaya proza v sovremennikh ukrainskikh perevodakh . Avtoreferat dissertatsii na soiskaniye uchenoy stepeni kandidata filologicheskikh nauk. Kiyev. [Georgian literature in contemporary Ukrainian translations. Phd theses synopsis. Kiyv].

- Kekelidze, K.** (1981). kartuli lit'erat'uris ist'oria, II. tbilisi: „metsniereba“ [History of Georgian Literature, II. Tbilisi: “Science”].
- khalimonenko G.** (2020). k'ievi lit'erat'uris ist'oria. k'ievi.[History of Georgian Literature. Kyiv].
- Kiknadze, Z.** (2001). kartuli khalkhuri ep'osi, tbilisi: „logos p'resi“. [Georgian Folk Epic. Tbilisi: “Logos Press”].
- Mysyk, V.** (1990) Zakhid i skhid. Pereklady. Kyiv: Dnipro. [East and West. Translations. Kyiv: Dnipro].
- Tsibakhashvili, G.** (2000). targmanis teoriisa da p'rakt'ik'is sak'itkhebi. Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [Issues of the Theory and Practice of Translation. Tbilisi: TSU Press].

მხატვრული თარგმანი საქართველოში:
XX საუკუნის 20-იანი წლები

LITERARY TRANSLATION IN GEORGIA:
TWENTIES OF THE 20TH CENTURY

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მხატვრული თარგმანი, XX საუკუნე
Keywords: literary translation, 20th century

20-იანი წლები ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიაში მეტად საინტერესო და საყურადღებო პერიოდია. როგორც გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს: „საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველი წლების თარგმანები ...ბევრ შემთხვევაში გამოირჩევიან თავისი სრულყოფით და სტილისტური მთლიანობით. ფორმის თავდაპირველი გაურკვეველი და ამღვრეული ძიება თანდათან ინმინდება და გარკვეულ სახეს ღებულობს რამდენიმე მთარგმნელის ხელში, რომლებიც ამ პერიოდის დამახასიათებელ ფიგურებს წარმოადგენენ. 20-იანი წლების მიწურულიდან შეიმჩნევა თარგმანთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. განსაკუთრებით თვალში საცემია მოძმე ხალხების ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმანების სიმრავლე და მრავალფეროვნება. ითარგმნება აგრეთვე უცხოეთის კლასიკოსები და პროგრესული მწერლები, იზრდება თარგმანის ტექნიკაც. ფართოვდება იმ ხალხების წრე, რომელთა ნაწარმოებებიც ითარგმნება ქართულად. გამოდის თითქმის ყველა კულტურული ქვეყნის ლიტერატურის მეტნაკლებად დამახასიათებელ ავტორთა ნაწარმოებები“ (გაჩეჩილაძე, 2014: 313-314).

პერიოდული გამოცემა „ნიგნის მათიანე“ მთელ ქვეყანაში გამოცემულ ნიგნთა და ბეჭდური პროდუქციის ბიბლიოგრაფიული ცნობარია, რომელიც მკითხველს სთავაზობს სამეცნიერო, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სააგიტაციო ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და პედაგოგიური ლიტერატურის, სამეცნიერო-პოპულარული, საცნობარო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული მწერლობისა და საბავშვო მწერლობის დარგში გამოცემულ ნიგნთა ნუსხას. მრავალფეროვანია პერიოდული გამოცემების ჩამონათვალიც. 20-იან წლებში საგამომცემლო საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობდა და სოციალისტური სახელმწიფოს კულტურულ აღმშენებლობაში მას წარმმართველი პოზიცია ეჭირა. საქართველო საბჭოთა რესპუბლიკათა შორის გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა. მხატვრული, სამეცნიერო თუ ტექნიკური ლიტერატურა შესაბამის გამომცემლობაში იბეჭდებოდა.

20-იან წლებში თარგმნილი და გამოცემული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები ძალზე მრავალფეროვანია. მოქმედ გამომცემლობებს შორის აღსანიშნავია: „ბაკკინგა“, „სახელგამი“,

„სახკინმრეწვის სტამბა“; ნაყოფიერად მუშაობდა „ტფილისის სახელმწიფო გამომცემლობა“, „პროფკავშირების გამომცემლობა“ და სხვ. ერთ-ერთ მათგანზე, „სახელგამზე“, 1924 წელს კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „სახელგამმა“ უნდა შეადგინოს საგანგებო სპეციალისტების კომისია, უნდა გამოიცეს მთელი სერია ევროპული ახალი და უახლესი ლიტერატურისა, კლასიკოსებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ლიტერატურა თარგმანებით ძლიერ ღარიბია... ქართველი ხალხი ჯერაც წყვიდადშია. მას წიგნები უნდა დავუშინოთ ისეთი სიძლიერით, როგორც ციხეში ჩასაფრებულ მტერს დაუშენენ ხოლმე ზარბაზნებს“ (გამსახურდია, 1985: 382). საილუსტრაციო მაგალითად წარმოვადგენთ 1926 წლის მე-4 ნომრის ბიბლიოგრაფიულ ცნობარს, სადაც გამოვყოფთ ამავე წელს თარგმნილ შემდეგ წიგნებს, ესენია: ა. ვოინიჩის „კრაზანა“ (თარგმ. ს. კლდიაშვილის), ს. ესენინის „ლექსები“ (თარგმ. მ. პატარიძის), გროსი გეორგ და გერცფელდ ვოლანდის „ხელოვნება განსაცდელშია“ (თარგმანი. ბ. გორდუზიანის), ლევ ტროცკის „ლიტერატურა და რევოლუცია“ (თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის), ჟოზეფ ბედიეს „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ (თარგმანი გ. ქიქოძის), რაბინდრანატ თაგორის „მემკვიდრეობის დარაჯი“ (თარგმანი ს. თავართქილაძის), ანტონ ჩეხოვის „მოთხრობები“ (თარგმანი ს. ბარნოვის), მაქსიმ გორკის „მოთხრობები“ (თარგმანი ნ. ხუციშვილის). ამავე წელს გამოიცა კონსტანტინე განსახურდიას მიერ თარგმნილი უ. უიტმენის „რჩული პოემები“ და ვ. შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობა“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად თარგმნა.

ვახტანგ კოტეტიშვილი თავის ნაშრომში - „ქართული ლიტერატურის ისტორია XIX საუკუნიდან დღევანდლამდე“ - წერდა: „იქნებ მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს, რომ ლიტერატურის ისტორიაში მთარგმნელი მოვაქციეთ, მაგრამ ეს ჩვენება სრულიად გაუმართლებელია. თარგმანი უბრალო მექანიკური გადმოღება კი არ არის. კარგი თარგმანი - იგივე შემოქმედებაა, რადგან მას სჭირდება ავტორთან ზიარება და საკუთარი პოეტობა ლექსიკური მასალის შესარჩევად“ (კოტეტიშვილი, 1925: 240).

კონსტანტინე გამსახურდია ლიტერატურული გაერთიანება „აკადემიური ასოციაციის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამავე გაერთიანებაში აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგ კოტეტიშვილი. „აკადემიური

ასოციაციის“ მიერ გამოცემულ ლიტერატურულ ჟურნალებში – „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ – განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თარგმნილ ლიტერატურას და სისტემატურად ქვეყნდებოდა მხატვრული თარგმანის ახალი ნიმუშები.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1922 წელს დაარსებული მთავლიტი – ლიტერატურის და საგამომცემლო საქმეთა მთავარი სამმართველო – აქტიურად მუშაობდა და მკაცრად აკონტროლებდა ნებისმიერ ბეჭდურ გამოცემას.

ლიტერატურა:

გამსახურდია, კ. (1985). თხზულებანი. ტ. IX. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გაჩეჩილაძე, გ. (2014). მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: თსუ

გამომცემლობა.

კოტეტიშვილი, ვ. (1925). ქართული ლიტერატურის ისტორია XIX საუკუნიდან დღევანდლამდე. ნაწ. II. ქუთაისი.

The history of the Georgian literary translation of the 1920s is an extremely interesting and significant period. “Translations of the early years after the establishment of Soviet power in Georgia, in the majority of cases, they are distinguished by the perfection and stylistic integrity. The initial unclear and confusing search for the form gradually refines and finds its way in the hands of a few translators who are typical men of letters in this period” (Gachechiladze, 2014:133).

The periodical “A Chronicle of the Book” is a bibliographic reference of the books and printed products published throughout the country, offering the reader a list of books published in various fields which cover scientific, political-economic and agitational literature, textbooks and pedagogical literature, popular scientific, reference literature, children’s literature. The list of periodicals is also diverse. In the 1920s, the publishing activities were also in full swing and occupied a leading position in the cultural reconstruction of the socialist state. In this respect, Georgia enjoyed outstanding authority among the Soviet republics.

Georgia was distinguished by a high level of translation and also by a wide variety of publishing activities. Among the operating publishing houses of that period, they are: Zakkniga, Sakhelgami, Sakhkinmretsvi Stamba, Tbilisi State Publishing House and Publishing House of Trade Unions also worked fruitfully. The books were published in the printing houses “Red Cross of Georgia” and “Polygraftrest”. For clarity, we can mention the 4th number of the bibliographic reference from 1926. Of the books translated in the same year, the following editions are noteworthy: Voynich’s “The Gadfly” (translated by S. Kldiashvili), “Poems” by S. Yesenin (translated by M. Pataridze), George Gross and Weiland Herzfelde’s “Art is in Danger” (translated by V. Gaprindashvili), Joseph Bedier’s “Tristan and Iseult” (translated by G. Kikodze), Rabindranath Tagore’s “The Guard of Heritage” (translated by S. Tavartkiladze), Anton Chekhov’s “Novels” (translated by S. Barnov). Maxim Gorky’s “Short Stories” (translated by N. Khutsishvili). In the same year, W. Whitman’s “Selected Poems” (translated by Konstantine Gansakhurdia) and V. Shklovsky’s “A Sentimental Journey” (translated by Vakhtang Kotetishvili).

Vakhtang Kotetishvili in his work “The History of Georgian Literature from the 19th Century to the Present” wrote: “It may seem strange to the reader that we have included a translator in the history of literature, but this is totally unjustified. Translation is not just a simple mechanical transfer. A good translation is the same as creativity, because the selection of lexical material requires communication with the author and knowledge of the poetic word to select lexical material”(Kotetishvili 1925: 240).

Konstantine Gamsakhurdia was one of the leaders of the Literary Union “Academic Association”. Vakhtang Kotetishvili was active in the same union. In the literary magazines “Kavkasioni” and “Axali Kavkasioni”, published by the “Academic Association”, special attention was paid to translation. New specimens of literary translation were published on a regular basis. It should be certainly noted that the Main Administration for Literary and Publishing Affairs (Glavlit) founded in 1922 actively worked during this period and strictly controlled any printed publications.

References:

- Gachechiladze, G.** (2014). mkhat'vruli targmanis teoriis shesavali. tbilisi: „tsu gamomtsemloba“. [The Theory of Literary Translation. Tbilisi: TSU Press].
- Gamsakhurdia, K.** (1985). tkhzulebani. t'.IX. tbilisi: „sabch'ota sakartvelo“. [Essays, Vol. IX. Tbilisi: Soviet Georgia].
- Kotetishvili, V.** (1925). kartuli lit'erat'uris ist'oria“ XIX sauk'unidan dghevandlamde. nats'. II. kutaisi. [History of Georgian Literature from the 19th century to the present, part. II. Kutaisi].

**საკითხავი ტექსტების შედგენა-შერჩევის
გოგებაშვილისეული პრინციპებისა და
მეთოდოლოგიის აქტუალურობა**

**/ქართული ენის დაწყებითი კასების
სახელმძღვანელოების მაგალითზე/**

**URGENCY OF IAKOB GOGEBASHVILI'S PRINCIPLES
AND METHODOLOGY OF COMPILING AND SELECTING
READING TEXTS**

**/ON THE EXAMPLE OF GEORGIAN LANGUAGE TEXTBOOKS
IN ELEMENTARY SCHOOLS/**

მარინე წიკლაური

Marine Tsiklauri

თბილისის სსიპ N147 საჯარო სკოლა
LLEPL Tbilisi N147 public school

საკვანძო სიტყვები: დაწყებითი განათლება, ლიტერატურა,
სასკოლო სახელმძღვანელოები

Keywords: elementary education, literature, textbooks

დღეისათვის უაღრესად აქტუალურია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების საკითხავი ტექსტების თემატიკა და მათი მოსწავლეთათვის მიწოდების მეთოდოლოგია. საკითხავი ტექსტების შერჩევისას იაკობ გოგებაშვილი ეყრდნობოდა რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს, რომელთაგან უმთავრესია „აზრის სიმაღლისა“ (ზნეობრიობის) და „ენის ჰარმონიის“ (ენობრივი გამართულობის) პრინციპები. „ბუნების კარის“ ლიტერატურულ ნაწილში მან მოათავსა ქართველ ავტორთა ლექსები და მოთხრობები, რომლებიც „დანერილნი არიან ნამდვილი და წმინდა ენით, სავსენი არიან მაღალი მისწრაფებით, მხატვრული სურათებით“. გარდა ამისა, საკითხავი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ბუნებრივ ინტერესს. პუბლიცისტურ წერილში „უმეცრების ამაყობა“ გოგებაშვილი სიღრმისეულად მსჯელობს ბავშვის ინტერესის საგანზე და დაასკვნის: „ბავშვისთვის საინტერესოა ის საგანი (თემატიკა), რომელიც მისთვის „ნახევრობით ცნობილია და ნახევრობით კი არა“.

ვგიქრობ, კთილ ნაყოფს გამოიღებს, თუკი საკითხავი ტექსტების შერჩევისას სახელმძღვანელოს ავტორი გაითვალისწინებს გოგებაშვილის მეთოდოლოგიის თეორიულ წანამძღვართაგან რამდენიმე ამოსავალ პრინციპს:

- ზნეობრიობა („აზრის სიმაღლე“, „მაღალი მისწრაფება“)
- ენობრივი გამართულობა
- ბავშვის ინტერესი (ასაკობრივი თავისებურების მიხედვით)
- მაღალმხატვრულობა

იაკობ გოგებაშვილისეული კლასიფიკაციის ამოსავალი, ფუნდამენტური პრინციპია ზნეობრიობა, რომელიც ემსახურება ყმაწვილის ყურადღების საგანგებოდ გამახვილებას მარადიულ ღირებულებებზე. „დედა ენის“ ავტორმა სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე შეარჩია სახელმძღვანელოს საკითხავი ტექსტების თემატიკა, რომელიც შესაბამისი ტექსტების გათვალისწინებით ამგვარად კლასიფიცირდება:

სიკეთე, თანაგრძნობა / უღმობლობის გმობა: „სანდროს ლოცვა“; „ვანო და ჩიტი“; „კეთილი სანდალა“; „რწყილი და ჭიანჭველა“, „კატო და კატა“, „მეთევზე და თევზი“, „ბავშვი და ჭრიჭინა“ და სხვ.;

სწავლის მოყვარეობა, სიბეჯითე/სიზარმაცის გმობა: „ნუცას სკოლა“, „ყაყაჩო და ყმანვილი“ „სწავლაზე ზარმაცი, ცეკვაზე მამაცი“, „მონვევა სწავლაზე“, „ღორმუცელა და ბეჯითი“, „თხა და გიგო“, „ვანო და ჩიტები“ და სხვ.;

ერთობა, მეგობრობა / ურთიერთშუღლის გმობა: „გვრიტი“; „ძალი და კატა“; „ცალი ხარი“, „ჩხუბი არაფერზე“, „ორი ირემი“ და სხვ.;

შრომის მოყვარეობა / უსაქმურობის გმობა: „მუქთამჭამელა“, „ორი სახნისი“, „უგუნური მოცურავე“ „პური, ღვინო, მჭადი“ და სხვ.;

სამყაროს (ბუნების) კანონზომიერების შეცნობა: „ალექსი და აქლემი“, „ჩიტი და მელა“, „მელია და მამალი“, მწყერი და მწყემსი“, „ქორი და წინილა“ და სხვ.;

მშვენიერების, ჰარმონიის სიყვარული (ბუნებასთან მიმართებით): „პატარა ქალის ნატვრა“; „ვარდი და ბუღბული“; „მძინარე ნიბლია“; „მეცხვარე“, „მერცხალი და მეცხვარე“ და სხვ. (იხ. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, ანბანი და საკითხავი წიგნი, I, II და III კლასი. გამომცემლობა „დედაენა“, 2007. მოთხრობების თემატური კლასიფიკაცია ჩემ მიერაა შედგენილი).

უდიდესი ოსტატობითაა გააზრებული ტექსტების სათაურები, რომლებიც მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ, ხშირად – ორი საგნის დაწყვილებითაა (მაგ.: „მერცხალი და მეცხვარე“, „მწყერი და მწყემსი“ და ა.შ.) წარმოდგენილი და ყმანვილს ცნობის მოყვარეობას უმძაფრებს. სიუჟეტები გამოირჩევა ბუნებრიობითა და სიმარტივით. მათგან უმრავლესობა აგებულია გაპიროვნების პრინციპით, კერძოდ, ცხოველებისა და უსულო საგნების მაგალითზე ადამიანის თვისებებია მოცემული. ასევე, გოგებაშვილი კეთილნაყოფიერად მიმართავს ანტითეზის (კონტრასტის) ლიტერატურულ-სტილისტიკურ პრინციპს და, ამა თუ იმ ზნეობრივი თუ სულიერი ღირებულების უკეთ, სათანადოდ გააზრების მიზნით პარალელურად წარმოაჩენს შესაბამის ანტიღირებულებას, ვითარცა საგმობსა და მიუღებელს. პედაგოგიკაში ეს მეთოდი უაღრესად მნიშვნელოვანია სწორედ სწავლების დაწყებით საფეხურზე. ამასთანავე, საკითხავ ტექსტებს არცთუ იშვიათად აგვირგვინებს შემაჭამებელი ანდაზა, აფორიზმი ან შეგონება, რომლებიც მთავარი სათქმელის გამოკვეთას ემსახურება. ეს მეთოდი ამჟამადაც ეფექტურად გამოიყენება დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში.

მოხსენების მიზანია, კონკრეტულად განისაზღვროს დღემდე საჭირობოროტოდ ქცეული საკითხი: ა) მართლაც მოძველებულია თანამედროვე პედაგოგიკისთვის დაწყებითი კლასის საკითხავ ტექსტთაგოგებაშვილისეულითემატიკა?ბ)რამდენადთანხვედნილია თუ უპირისპირდება დაწყებითი სწავლების სახელმძღვანელოს ტექსტების შერჩევის თანამედროვე მოთხოვნები იაკობ გოგებაშვილისეულ ფუნდამენტურ პრინციპებს?

მოხსენებაში ამ თვალსაზრისით იქნება წარმოდგენილი 2018 წლის დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოთა გრიფირებისას გოგებაშვილის პრინციპებით აგებული სახელმძღვანელოების შემფასებელი კომისიის ზოგიერთი მოსაზრება და დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა გამოკითხვის (ანკეტირების) შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემები.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი ი. (2012). თხზულებანი, ტ. 4. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

გოგებაშვილი ი. (1989). ბუნების კარი. თბილისი: „განათლება“.

გოგებაშვილი ი. (2007). დედა ენა. თბილისი: „გამომცემლობა დედა ენა“.

გრიფირება (2018). ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების გრიფირება, <https://mes.gov.ge/content.php?id=7148&lang=geo>

The issues of reading texts in elementary school textbooks and the methodology of presenting them to students are extremely urgent today. When selecting reading texts, Iakob Gogebashvili used to follow several fundamental principles, the most important of which were the principles of “Depth of Thinking” (morality) and “harmony of a language” (linguistic correctness). In the literary part of “The Door to Nature/Bunebis Kari” he included poems and stories by Georgian authors, which “are written in **a true and sacred language, full of high aspirations, and literary images.**”

Moreover, the reading text should be in line with a child’s natural interest. In the publicistic letter “Pride in Ignorance”, Gogebashvili carefully reflects on the subject of a child’s interest and concludes:

“A child is interested in the subject (themes), which is half known to him and half not known”.

I think it will be of benefit if the author of the textbook takes into account some of the key principles from the theoretical guide of Gogebashvili’s methodology when selecting reading texts:

- Morality (“depth of thinking”, “high aspiration”)
- Linguistic correctness
- Child’s interest (according to age)
- High *artisticity*

The key point of Iakob Gogebashvili’s classification is a fundamental principle - morality, which serves to draw a youth’s special attention to eternal values. Based on these principles, the author of “Deda Ena” (Mother Language) has selected the topics of the textbook reading passages, which are classified according to the relevant texts as follows:

Kindness, empathy/condemnation of mercilessness: “Sandro’s Prayer”; “Vano and the Bird”; “Kind Sandala”; “Flea and Ant”, “Kato and a Cat”, “Fisherman and a Fish”, “Baby and Dragonfly”, etc.;

Epistemophilia/seeking for knowledge, diligence / condemnation of laziness: “Nutsa’s School”, “Poppy and the Boy”, “Lazy in Study, Brave in Dance”, “Invitation to Study”, “Glutton and Diligent”, “Goat and Gigo”, “Vano and Birds”, etc.

Unity, friendship / condemnation of mutual enmity: “Turtle-Dove”; “A Dog and a Cat”; “A single Bull”, “Fight for Nothing”, “Two Deer”, etc.;

Diligence/condemnation of idleness: “Sponger”, “Two Plowshares”, “Reckless Swimmer”, “Bread, Wine, Mchadi” etc.;

Cognition of the laws of the universe (nature): “Alex and the Camel”, “Bird and Fox”, “fox and cock”, “Quail and Shepherd”, “hawk and chicken”, etc.;

Love of beauty, harmony (in relation to nature): “The Dream of a Little Girl”; “Rose and Nightingale”; “Sleeping chaffinch”; “Shepherd”, “Swallow and Shepherd”, etc. (See: Iakob Gogebashvili’s “Deda Ena”, alphabet and reading book, I, II and III grades. Publishing House “Dedaena”, 2007, thematic classification of stories compiled by me – M.T).

The titles of the texts are thought over with great skill, and are often presented briefly, concisely and clearly by pairing two words (for example,

“Swallow and Shepherd”, “Quail and Shepherd”, etc.), which strengthens the curiosity of children. The stories are characterized by naturalness and simplicity. Most of them are built on the principle of personification, in particular – on the example of animals and inanimate objects human qualities are revealed. Also, Gogebashvili successfully applies the literary-stylistic principle of antithesis (contrast) and, in order to better understand this or that moral or spiritual value, at the same time presents the corresponding anti-value as reprehensible and unacceptable. In pedagogy, this method is extremely important at the very beginning of teaching. At the same time, reading texts are not infrequently adorned with a concluding proverb, aphorism or admonition, which serves to highlight the main message. This method is still used effectively in elementary school textbooks.

The aim of the present work is to define specifically the issue that has become an urgent today: a) Are Gogebashvili’s themes of reading texts for elementary school really outdated for modern pedagogy? B) To what extent do the modern requirements for the selection of textbooks in elementary schools contradict to Iakob Gogebashvili’s fundamental principles?

In this regard, the paper will present some of the opinions of the committee, which was evaluating textbooks of elementary schools, compiled according to Gogebashvili principles, during the approval process of 2018 and also the empirical data obtained as a result of the survey of teachers of elementary schools.

References:

Gogebashvili, I. (2012). tkhzulebani, 4. tbilisi: palit’ra L. [Works, 4. Tbilisi: Palitra L].

Gogebashvili, I. (1989). Bunebis k’ari. tbilisi: “ganatleba”. [The Door to Nature. Tbilisi: “Education”].

Gogebashvili, I. (2007). Deda ena. tbilisi: “deda ena”. [Mother language. Tbilisi: “Deda ena”].

Approving (2018), Approving of elementary school textbooks, <https://mes.gov.ge/content.php?id=7148&lang=geo>

ახალი ცნობები ათონზე ქართველთა
მოღვაწეობის შესახებ

NEW DATA ON THE ACTIVITIES OF GEORGIANS
ON MOUNT ATHOS

ლელა ხაჩიძე

Lela Khachidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ანიანის მონასტერი, გიორგი ციხისჯვარელი,
ყურსალი

Keywords: Atsiani Monastery, George of Tsikhisjvari, Qursali

ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებს შორისაა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები. Ath.38 ერთ-ერთი მათგანია. ხელნაწერი ათონური კალიგრაფიითაა შესრულებული და დათარიღებულია XI საუკუნით. ეს კრებული შეიცავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“. ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ შესასწავლად და ტექსტის დასადგენად.

ხელნაწერი ყურადღებას იმსახურებს მასზე დართული კოლოფონების თვალსაზრისითაც, რომლებშიც შემონახულია ახალი, აქამდე უცნობი ისტორიული ფაქტები ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.

Ath.38 იწყება კოლოფონით, რომელშიც დასახელებულია სამი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული – „პარაკლიტონი“, „სადღესასწაულო“ და „მარხვანი“. ანდერძის მიხედვით, სამივე მათგანის შექმნის ინიციატორი და („მომგებელი“) ყოფილა გიორგი ციხისჯვარელი, რომლის საგანგებო ხსენება დაუნესებიათ აწიანის მონასტერში. ათონზე არსებული ამ მონასტრის შესახებ ცნობები თითქმის არაა შემორჩენილი. აღნიშნული კოლოფონის მიხედვით, იქ დაცული ყოფილა სამი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული. ამ მონასტერთან დაკავშირებული ყოფილა გიორგი ციხისჯვარელი. ამ ცნობას ადასტურებს ათონის „სააღაპე წიგნშიც“, რომლის მიხედვით, გიორგი ციხისჯვარელს შეუძენია და გაუშენებია მიწა აწიანის მონასტრისათვის (მეტრეველი, 1998: 255).

Ath. 38-ის ანდერძი ახალ ცნობებს შეიცავს ამ ისტორიული პიროვნებისა და აწიანის ქართული მონასტრის შესახებ.

ათონურ ხელნაწერზე დართულ დართულ ამ კოლოფონში ორჯერაა ნახსენები სიტყვა „ყურსალი“, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ეროვნებას უნდა აღნიშნავდეს. ამ ყურსალებს აწიანის ქართული მონასტრიდან მოუტაციათ („ყურსალთა წარიღეს“) გიორგი ციხისჯვარელის მიერ „მოგებული“ წიგნები („პარაკლიტონი“, „სადღესასწაულო“ და „მარხვანი“). ანდერძის ავტორს, რომელიც, სავარაუდოდ, ანჩელი მოღვაწეა, მათგან გამოუსყიდია ისინი.

სიტყვა „ყურსალი“ ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში არ გვხვდება. ეს სიტყვა არაა შესული სულხან-საბა ორბელიანის

„ლექსიკონში,“ არც ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში“ .

როგორც კვლევამ გვიჩვენა, სიტყვა „ყურსალი“ (Qursali) აღნიშნავდა დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონს, რომელიც ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზეა და აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. ეს სიტყვა კომპოზიტია და ნიშნავს „ალის სოფელს ყურსის (Khurs) ტომისთვის“ (Qeybullayev, 1990: 101-104). ალი, როგორც ცნობილია, მუსლიმთა გამორჩეული წმინდანია.

სომხური წყაროების მიხედვით, სიტყვა „Qursali“ თურქული წარმოშობის ხალხს აღნიშნავს (Qeybullayev, 1990: 101-104). სწორედ ამ ეროვნების წარმომადგენლებს („ყურსალთა“) წაუღიათ ათონის მთაზე მდებარე ანთანის ქართული მონასტრიდან სამი კრებული. ანდერძის ავტორს ეს წიგნები კვლავ „ყურსალთაგან“ შეუძენია და დაუბრუნებია ანთანის მონასტერში.

„ყურსალთა“ გენეალოგია და ათონის მთაზე მათი გამოჩენა, ბუნებრივია, შემდგომ კვლევას მოითხოვს. მათ შორის, ისტორიული თვალსაზრისით, დღეისათვის კი ნათელი ხდება, რომ - XI საუკუნის ქართულ ხელნაწერში - Ath. 38 გამოვლინდა მათი არსებობა და წარმომავლობის აღმნიშვნელი იშვიათი ტერმინი „ყურსალი“; თავად Ath. 38 ხელნაწერი კი ამ „ყურსალთაგან“ წაღებული და შემდგომ გამოსყიდული სამი ხელნაწერიდან ერთ-ერთია.

ლიტერატურა:

მეტრეველი, ე. (1998). ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი.

თბილისი: გამომცემლობა „სკოლა“.

Qeybullayev, G. (1990). *Ethic and Political History*. Baku: Publishing House “Elm”.

Among Georgian manuscripts of the Athonite collection, there are liturgical and hymnographic collections. MS Ath. 38 is one of them. The manuscript is written in Athos writing style and dates from the 11th century. This collection contains “Lenten Triodion” of George the Athonite’ redaction. It appears to have been one of the most important manuscripts for studying this unique liturgical-hymnographic collection.

The manuscript deserves attention from the viewpoint of the colophons attached to it, in which new, hitherto unknown historical evidence of monastic activities of the Georgians on Mount Athos are kept.

MS Ath. 38 begins with a colophon, in which the three most important liturgical-hymnography collections are named – “Parakliton”, “Menaion” and “Lenten”. According to this colophon, the initiator and (“commissioner”) of all three of them appears to have been George of Tsikhisjvari, whose special commemoration was established in the Atsiani Monastery. Almost no information has survived about this monastery on Mount Athos. According to the mentioned colophon, the three important liturgical-hymnography collections were stored there. George of Tsikhisjvari seems to have been related to this monastery. This information is also attested in the “Book of Agapes” of Athos, according to which he purchased and cultivated some land for the Atsiani Monastery (Metreveli 1998: 255).

MS Ath. 38 contains new data concerning this historical person and the Georgian monastery of Atsiani.

In this colophon attached to the Athos manuscript, the word “Qursali” is mentioned twice, which, according to the context, indicates nationality. These Qursals stole the manuscripts “commissioned” by George of Tsikhisjvari from the Georgian monastery of Atsiani. The author of the colophon, who was presumably a monk from the monastery of Anchi, bought them back and returned them to Atsiani Monastery.

The word “Qursali” is not found in other monuments of ancient Georgian literature. This word is not included in the “Dictionary” by Sulkhan-Saba Orbeliani, it is not given in Ilia Abuladze’s or Zurab Sarjveladze’s dictionaries of Old Georgian either.

As the study shows, the word “Qursali” indicated the region in the western part of present-day Azerbaijan, which is currently on the territory of Armenia and is populated by Azerbaijanis. This word is a composite and means “Ali’s village for the Qursali tribe” (Qeybullayev,1990: 101-104). Ali is known as a prominent saint of Muslims.

According to Armenian sources, the word “Qursali” refers to people of Turkish origin (Qeybullayev,1990: 101-104).

The genealogy of the “Qursali” and their emergence on Mount Athos requires further study, including from a historical point of view. Today,

it becomes clear that the 11th-century Georgian manuscript - Ath. 38 has revealed their existence on mount Athos and a rare term denoting their origin – “Qursali”. The manuscript Ath. 38 itself is one of the three manuscripts taken by these “Qursals” and later bought back by a historical person - George of Tshkhisjvari.

References:

- Metreveli, E.** (1998). *Atonis kartvelta monast'ris saaghap'e ts'igni. tbilisi: gamomtsemloba “sk'ola”*. [The Book of Agapes of the Georgian Monastery of Athos. Tbilisi: Publishing House “Skola”].
- Qeybullayev, G.** (1990). *Ethic and Political History*. Baku: Publishing House “Elm”.

წმინდა საყდრის უნიატური პოლიტიკა და
რუსეთის დიპლომატიური მისია ვატიკანში
(1878-1903)

THE UNIATE POLICY OF THE HOLY SEE AND RUSSIAN
DIPLOMATIC MISSION IN THE VATICAN (1878-1903)

ლეილა (ია) ხუბაშვილი
Leila (Ia) Khubashvili)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლეო XIII, უნიატური, ეკლესია, ცარიზმი, პაპი,
ენციკლიკა, დიპლომატია, რუსეთი

Keywords: Leo XIII, Uniate, church, Tsarism, Pope, encyclical,
diplomacy, Russia

ვატიკან-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოირჩევა პრობლემათა მთელი რიგით, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მათი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ ორივე მხარისმიერძირითადი პრინციპების გადახედვით. პაპობა, რომელმაც სახელმწიფოებრიობა 1870 წელს დაკარგა, თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ხედავდა „რომის საკითხის“ გადაწყვეტასა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთთან ურთიერთობის საკითხსაც. 1054 წლის დიდი სქიზმის შემდეგ რომის პონტიფეებს თავის მსოფლიო მისიას ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებაში ხედავდნენ. ამ მისიის შესრულებაში აღმოსავლეთ ევროპას, პირველ რიგში, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ამიტომაც იყო, რომ უნიატური ეკლესიის შექმნის საკითხი ვატიკანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ვექტორს წარმოადგენდა და რომის პონტიფეებს მის გადაჭრას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე, გამეანალიზებინა ვატიკანისა და რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები 1878-1903 წლებში. მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გამიწია ე.ა. ადამოვის წიგნმა „Дипломатия Ватикана в начальную эпоху империализма“, რომელშიც ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული ვატიკანში მყოფი რუსი დიპლომატების ანგარიშები, მათ შორის ა.პ. იზვოლსკის. მნიშვნელოვნად ინფორმაციული იყო ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ვინტერის მონოგრაფიები გერმანულ და რუსულ ენებზე: Winter E. Russland und das Papsstum. Berlin. Bände, Berlin: Akademie-Verlag 1960-1961, Winter E. 1950 Russland und die slawischen Volker in der Diplomatie des Vatikans 1878-1903. Berlin: Akademie-Verlag. თავის გამოკვლევაში „Политика Ватикана в отношении СССР (1917-1968)“, რომელიც ძირითადად ევროპის ქვეყნების არქივებში მოპოვებული წყაროების საფუძველზეა დაწერილი, ედუარდ ვინტერი ამტკიცებს, რომ XX საუკუნეში ვატიკანის მთავარ პოლიტიკურ ორიენტირებად რჩებოდა: ანტიკომუნისმი, ანტისოვიეტისმი და უნია (ნებისმიერი ფორმით კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება), რასაც სავსებით ვეთანხმები. სხვა ავტორების მო-

ნოგრაფიებზე მუშაობამ ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამიმყარა. ვატიკან-რუსეთის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა უღრუბლო. რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ბერძნულ-კათოლიკურ (უნიატურ) ეკლესიაზე მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციული დამოკიდებულებით ჩამოყალიბდა. 1596 წელს, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკეებს შეუერთდა, ამიტომაც მათი დაბრუნება მართლმადიდებლობის წიაღში კანონიერად ჩანდა. 1839- 1875 წლებში უნიატური მოსახლეობა ფორმალურად გადავიდა მართლმადიდებლობაზე, რამაც საბოლოოდ გააუარესა სიტუაცია. რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაში ნათლად იყო გამოკვეთილი მართლმადიდებლობის პრიორიტეტი სხვა კონფესიებზე და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ვატიკან-რუსეთის ურთიერთობებს. რუსეთის ხელისუფლება რომაულ-კათოლიკურ სამღვდელოებას იღებდა ისე, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფ ჩინოვნიკებს, რასაც ისინი აპროტესტებდნენ. ამიტომაც პაპობამ საჭიროდ ჩათვალა მხარდაჭერა აღმოეჩინა ტრადიციული კათოლიკური მოსახლეობისათვის, თუნდაც საგარეო პოლიტიკური ინტერესების საზიანოდ.

მაგრამ მარტივი არც დიპლომატიური ურთიერთობები აღმოჩნდა. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: რუსული მხარე ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინა მეორის დროიდან ცდილობდა შეეზღუდა რომის კურიის ჩარევა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში. ამასთანავე, მას ეშინოდა „პოლონური ელემენტის“ ისედაც ძლიერი გავლენის რომაულ-კათოლიკურ სამღვდელოებაზე. ამის გამო წმინდა საყდარს უარი ეთქვა როგორც დიპლომატიური ურთიერთობების სრულ აღდგენაზე, ისე კონკორდატულ ურთიერთობებზე, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები ორივე საკითხზე არაერთხელ განახლებულა. რუსმა არისტოკრატიამ რევოლუციის შიშით მხარი დაუჭირა ვატიკანის იდეას, შექმნილიყო „რუსული კათოლიკური ეკლესია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე რომის ეკლესიას ცარიზმთან ნორმალური ურთიერთობები ჰქონდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა პაპმა ლეო XIII-მ (1878-1903), რომლის პონტიფიკატი იწყება ახალი პერიოდი რომის ეკლესიის ისტორიაში.

ლეო XIII თითქმის 25 წლის განმავლობაში ეწეოდა რთულ პოლიტიკურ თამაშს, რათა აეღორძინებინა „საღვთო კავშირი“, რომლისიდეურიმეთაურიპაპიიქნებოდა.ამკავშირშიმნიშვნელოვანი ადგილიუნდაჰქონოდარუსეთს.რომანოვებშიპაპიხედავდასაიმედო დასაყრდენს ევროპაში რევოლუციასთან ბრძოლაში და ამიტომაც ცდილობდა მეგობრული ურთიერთობების დამყარებას მათთან. პაპი რუსეთის იმპერატორს სთავაზობდა დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, რომელიც 1867 წელს შეწყდა და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერას პოლონეთსა და ბალკანეთში. და, რაც მთავარია, გამოცდილ დიპლომატ პაპს არც მთავარი მიზანი – უნიატური ეკლესიის შექმნა ავიწყდებოდა. ლეო XIII თავისი დაუღალავი დიპლომატიური საქმიანობის შედეგად იმედოვნებდა, რომ მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანებით პროტესტანტებსაც დააბრუნებდა კათოლიკობის წიაღში. ამ მიზნით პაპი რუსი დიპლომატების მეშვეობით აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის სამ მონარქთან: ალექსანდრე მეორესთან, ალექსანდრე მესამესთან და ნიკოლავი მეორესთან. 1884 წლის მარტში ლეო XIII-მ წერილი გაუგზავნა პოლონელ ეპისკოპოსებს და მოუწოდა მათ რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ. პაპი განსაკუთრებით გულმხურვალედ მოუწოდებდა რუსეთის კათოლიკეებს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მორჩილებისკენ. პაპის ენციკლიკასა და დიპლომატიას სანქტ-პეტერბურგში კმაყოფილებით შეხვდნენ. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 1894 წელს წმინდა საყდარში აღდგენილ იქნა რუსეთის დიპლომატიური მისია, რომელმაც 23 წელი, 1917 წლამდე იარსება (1990 წლამდე რუსეთს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ვატიკანთან აღარ ჰქონია). პ. ა. იზვოლსკი დაინიშნა ვატიკანში მინისტრ-რეზიდენტად. თითქმის ოცდაათწლიანი პაუზის შემდეგ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ პონტიფექსი იმედოვნებდა, რომ მიიღებდა მეფის თანხმობას სანქტ-პეტერბურგში ნუნციატურის გახსნაზე, მაგრამ ალექსანდრე III-ის გარდაცვალებამ ჩაშალა პაპის გეგმები. ცარიზმთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობდა ლეო XIII-ის მემკვიდრე ბენედიქტუს XV, მაგრამ მის დიპლომატიას მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

ამგვარად, ლეო XIII-მ, მიუხედავად აქტიური დიპლომატიისა, ვერ შეძლო სლავური სამყაროსა და კათოლიკობის დაკავშირება, ვერც რუსეთი გახადა წმინდა საყდრის თანასწორუფლებიანი მოკავშირე და ვერც ნუნციატურა გახსნა პეტერბურგში, უნიატური ეკლესიის შექმნის საკითხი კი დღემდე აქტუალობას არ კარგავს ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში.

ლიტერატურა:

- Adamov, Ye.** (1931). *Diplomatiya Vatikana v nachal'nyuyu epokhu imperializma.* M.-L: Sotsekgiz. [Адамов, Е. Дипломатия Ватикана в начальную эпоху империализма. М.-Л: Соцэкгиз].
- Andriyanova, O.** *Otnosheniya Rossii i Vatikana v kontse XIX - nachale XX vv.* Dissertatsiya. Sankt-Peterburgskiy Gosudarstvennyy universitet [Андрьянова, О. Отношения России и Ватикана в конце XIX - начале XX вв. Диссертация. Санкт-Петербургский государственный университет].
- Breza, T.** (1960). *Bronzovyye vrata. Rimskiy dnevnik.* Moskva: "Labirint". [Бреза, Т. Бронзовые врата. Римский дневник. Москва: "Лабиринт"].
- Daim, W.** (1967). *Der Vatikan und der Osten.* Wien: Europa Verlag.
- Falkoni, C.** (1979). *I papi del ventesimo secolo.* Feltrinelli in Milano.
- Gergey, Ye.** (1996). *Istoriya Papstva.* Moskva: „Respublika.“ [Гергей, Е. История Папства. Москва: „Республика“].
- Grigulevich, I.** (1978). *Papstvo. Vek XX.* Moskva: Izdatel'stvo politicheskoy literatury. [Григулевич, И. Папство. Век XX. Москва: Издательство политической литературы].
- Lozinskiy, S.** (1986). *Istoriya papstva.* Moskva: Izdatel'stvo politicheskoy literatury. [Лозинский, С. История папства. Москва: Издательство политической литературы].
- Serova, O.** (2009). *Papa Lev XIII v otsenke rossiyskikh diplomatov. Voprosy istorii.* 12. [Серова, О. Папа Лев XIII в оценке российских дипломатов. Вопросы истории. 12].
- Sheyman, M.** (1958) *Vatikan i Rossiya v period mezhdu fevralem i oktyabrem 1917 g.* Moskva: „Progress“ [Шейман, М. Ватикан и Россия в период между Февралем и Октябрем 1917 г. Москва: „Прогресс“].
- Vinter, E.** (1964). *Papstvo i tsarizm.* Moskva: „Progress“. [Винтер, Э. Папство и царизм. Москва: „Прогресс“].

- Vinter, E.** (1977). *Politika Vatikana v otnoshenii SSSR (1917-1968)*. Moskva: „Progress“. [Винтер, Э. Политика Ватикана в отношении СССР (1917-1968). Москва: „Прогресс“].
- Winter, E.** (1950) *Russland und die slawischen Volker in der Diplomatie des Vatikans 1878-1903*. Berlin: Akademie-Verlag.
- Winter, E.** (1960-1961). *Russland und das Papsstum*. Berlin. 2 Bände. Berlin: Akademie-Verlag.
- Zonova, T.** (2000). *Diplomatiya Vatikana v kontekste evolyutsii yevropeyskoy politicheskoy sistemy*. Moskva: Izdatel'stvo politicheskoy literatury. [Зонова, Т. Дипломатия Ватикана в контексте эволюции европейской политической системы. Москва: Издательство политической литературы].

The history of the Vatican-Russian diplomatic relations, in the late nineteenth and early twentieth centuries, is marked by many issues in both domestic and foreign policy. They could be solved only by reconsidering the basic principles by both parties. It had been the most important goal for the papacy, which lost its statehood in 1870, to resolve the “Roman Issue” and return the lost territories. The relations with Russia also played an important role in the Vatican’s foreign policy. After the Great Schism of 1054, the Roman pontiffs saw their world mission in the unification of Christian churches. Eastern Europe, primarily the Russian Orthodox Church, played a key role in carrying out this mission. That was one of the main vectors of the Vatican’s foreign policy to create the Uniate church and the pontiffs of Rome tried to resolve it at different times, in different ways.

In this article, I have tried to analyze the diplomatic relations between the Vatican and Russia in 1878-1903. The book by E. A. Adamov, “Diplomacy of the Vatican in the Age of Imperialism” helped me to do more complex research on the topic. The book covers the reports of Russian diplomats in the Vatican, including the reports of A.P. Izvolski. Academician E. Winter’s (Berlin Academy of Sciences) monographs in German and Russian languages were significantly informative (Winter E. *Russland und das Papsstum*. Berlin. Bände, Berlin: Akademie-Verlag 1960-1961, Winter E. 1950 *Russland und die slawischen Volker in der Diplomatie des Vatikans 1878-1903*. Berlin: Akademie-Verlag). In his study “Policy of Vatican in relation to

the USSR in 1917-1968,” which is based on resources of archives of European countries, Edward Winter argues that anti-communism, anti-Sovietism and unification of Catholic and Orthodox Churches remained the main political orientation of the Vatican in the twentieth century, which I completely agree with. In the process of working on monographs by other authors, I further strengthened my point of view.

Vatican-Russian relations have always been problematic. The Russian policy towards the Greek-Catholic (Uniate) Church was based on the traditional attitude of the Orthodox Church. Due to the political situation in 1596, a significant part of the Orthodox population united with the Catholics, so their return to the roots of Orthodoxy seemed to be legal. Between 1839 and 1875, the Uniate population formally converted to Orthodoxy, which made the situation worse. The Russian legislation clearly showed the priority of Orthodoxy over other confessions, and the protection of those interests was taken up to the state level. This attitude greatly complicated Vatican-Russian relations. The Russian authorities treated the Roman Catholic clergy in the same way as bureaucrats. For the above reason, the papacy tried to show support for the traditional Catholic population, even if it could make bad effects on foreign policy interests. But neither diplomatic relations turned out to be common; there were several reasons for this. Russia was still trying to limit the interference of the Roman Curia in Russian domestic policy from the time of the Empress of Russia, Catherine II. At the same time, Russia feared that Poland would have a strong influence on the Roman Catholic clergy. Because of this, the Holy See has refused to fully restore both diplomatic and concordant relations, even though negotiations on both issues had been conducted several times.

The Russian aristocracy feared revolution and supported the Vatican’s idea of establishing a “Russian Catholic Church”. It should also be noted that before the end of the First World War, the Roman Church had normal relations with Tsarism. Pope Leo XIII (1878-1903) played a major role in beginning a new era in the history of the Roman Church. Leo XIII was involved in a complicated political game for almost 25 years in order to revive the “Divine Union”, the ideological leader of which would be the Pope. Russia should have played an important role in this union; The Pope

considered the Romanovs a reliable supporter in the struggle against the revolution in Europe and therefore sought to establish friendly relations with them. The pope offered the Russian emperor to restore diplomatic relations, which had been ended in 1867, as well as support the Catholic Church in Poland and the Balkans. And most importantly, the Pope who was a good diplomat always remembered the main goal - the creation of the Uniate Church. Leo XIII hoped that by the unification of the Orthodox and Catholic Churches, he would also bring Protestants back into the roots of Catholicism. For this purpose, the Pope held active negotiations with three Russian monarchs: Alexander II, Alexander III, and Nicholas II.

In March 1884, Leo XIII sent a letter to the Polish bishops urging them to cooperate with the Russian, German, and Austro-Hungarian authorities. The Pope was urging Russian Catholics to obey the local government. Authorities of St. Petersburg liked the pope's encyclical and diplomacy. After many years of negotiations, a Russian diplomatic mission was restored in the Holy See in 1894, which lasted for 23 years, until 1917 (until 1990, Russia no longer had official diplomatic relations with the Vatican). P.A. Izwolski was appointed Minister-Resident in the Vatican. In exchange for the restoration of official diplomatic relations almost thirty years later, the pope hoped to obtain the king's consent to the opening of a nunciature in St. Petersburg, but the death of Alexander III became the hindering factor to the pope's plans. Benedict XV, the successor of Leo XIII, tried to sort out relations with Tsarism, but his diplomatic activities did not bring significant results.

Thus, Leo XIII, despite active diplomacy, was unable to unite the Slavic world and Catholicism, nor did he make Russia an equal ally of the Holy See, or open a nunciature in St. Petersburg. The issue of creating the Uniate Church is still actively discussed in the frames of the foreign policy of the Vatican.

References:

- Adamov, E.** (1931). *Dplomatiya Vatikana v nachal'nuiyu epoxu imperializma*. M.-L. Sotsekgiz. [Vatican Diplomacy in the Early Era of Imperialism. M-L: Sotsekgiz].
- Andriyanova, O.** (2008). *Otnosheniya Rosii i Vatikana v konce XIX i nachale XX v. disertacia*. Sankt-peterburgskii gosudarstvenni universitet. [Relations

between Russia and the Vatican in the late 19 th and early 20 th centuries.
Thesis. Saint Petersburg State University].

- Breza, T.** (1960). *Bronzovie vrata. Rimski dnevnik*. Moskva: "labirint." [Roman diary. Moscow: "Labyrinth"].
- Daim, W.** (1967). *Der Vatikan und der Osten*. Wien : Europa Verlag. [The Vatican and the East". Vienna: Europa Verlag].
- Falkoni, C.** (1979). *I papi del ventesimo secolo*. Feltrinelli in Milano. [The popes of the twentieth century].
- Gergey, E.** (1996). *Istoriya papstva*. Moskva: "Respublika." [History of the Papacy. Moscow: "Republic"].
- Grigulevich, I.** (1978). *Papstvo. Vek XX*. Moskva: Izdatel'stvo politicheskoi literaturi. [Papacy. Century XX. Moscow. Political Literature Publishing House].
- Lozinsky, S.** (1986). *Istoriya Papstva*. Moskva: Izdatel'stvo politicheskoi literaturi. [History of the Papacy. Moscow: Political Literature Publishing House].
- Serova, O.** (2009). *Papa Lev XIII v ocenke rossiiskikh diplomatov*. *Voprosi istorii*. 12. [Pope Leo XIII in the assessment of Russian diplomats. *Issues of history*. 12].
- Sheiman, M.** (1958). *Vatikan i Rassia v period mezhdu fevralem I oktyabrem 1917 g.* Moskva: "Progress". [Vatican and Russia in the period between February and October 1917." Moscow: "Progress"].
- Winter, E.** (1950) *Russland und die slawishen Volker in der Diplomatie des Vatikans 1878- 1903*. Berlin: Akademie-Verlag. [Russia and the Slavic peoples in the diplomacy of the Vatican 1878-1903. Berlin: Akademie-Verlag].
- Winter, E.** (1960-1961). *Russland und das Papsstum*. Berlin. 2 Bände, Berlin: Akademie-Verlag. [Russia and the papacy. Berlin: Akademie-Verlag].
- Winter, E.** (1964). *Papstvo i Tsarizm*. Moskva: "Progress". [Papacy and Tsarism. Moscow: "Progress"].
- Winter, E.** (1977). *Politika Vatikana v otnoshenii sssr (1917-1968)*. Moskva: "Progress". [Vatican policy towards the USSR (1917-1968). Moscow: "Progress"].
- Zonova, T. V.** (2000). *Diplomatiya Vatikana v kontekste evolutsii evropeiskoi politicheskoi sistemi*. Moskva: Izdatel'stvo politicheskoi literaturi. [Diplomacy of Vatican in the context of the evolution of the European political system. Moscow: Political Literature Publishing House].

